


თ ბ ა კ ი ს

თ ბ ა კ ი ს



წელიწადი პირველი

№ IV

დეკემბერი, 1897



თბილისი

Типографія Е. И. Хеладзе. ||| სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა
1897

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 ноября 1897 г.

შინაგარსი

განეცნულება

	83.
I ბეგერი, ლექსი	1
II უბრალო საუბარი („კრებულის ფოსტა“) .	3
III კახეთიში მოგზაურობა	13
IV მცხვესის სიმღერა, ლექსი	39
V მცირე უადევები	41
VI ჭ სამძიმარი	46

განეცნულება

II

VII პატარა კახი, ისტორიული დრამა. 1—112

განეცნულება

III

VIII სატრაპიალო ლექსები (შეკრებილი სოსიქო მერკვილაძისაგან)	1
IX ს. ჭოლევი (მასალა დ. ო—ძისა)	17
X მუშური ლექსები (შეკრებილი ს. მერკვილა- ძისაგან)	33
XI გაცხადება.	

ბ ე ბ ე რ ი

რა სინათლეა სინათლე
დამცხოალი, ძველი მთვარისა?
ვინ თქვა, რომ რქაც-კი კარგათ სწავს
ნაცად, ბებერი ხარისა?!

მოსუცის სანუგეშებლათ
ეს უთქვამს ვიღაც ცტიქისა
და ჭვონებია მართალი
გულ-ნაკლულ, საწყალ სნიერსა!..

მე-კი არ მჯერა, რადგანაც
გამოცდილი მაქვს სიპერე:
გულს არ ვიტენდი, ფაფურით
ბევრი ვიჰიმე, ვიბერე...

თმაც შევიძინე, კბილებიც,
ბევრი რამ გამოვიგონე
და მაინც ვერ დავიბრუნე
ახალ-გაზდობის ძალ-ღონე!..

ქალებიც მიტატანებენ:
გასწი, შე ბებრუცანაო!..
სხვაც ბევრი არის ურგები
აქ, ჩვენში, შენისთანაო...

მართალს ამბობენ: სიბერეს
აღარას არგებს წვალება!..
ნათქვამი არის: «ხალთამი
შები არ დაიძალება».

Շ Ճ Խ Ա Ծ Ո Տ Ա Շ Տ Ա Բ Ո

(„ԿՐԵՑՈՒԼՈՒ“ ՇռԱԲՐԱ)

Հյանելիքմիա—ջանմյ ևցտն՛։ ո՛վյրցիութ: „Եվյենո „ԿՐԵՑՈՒԼՈՒ“ ցամովյրա մեսրուս, մագրամ Շեմլցիա առ մաժլցաւ նյօթաս յրտած Շեմոցուրանո դպրուուն.“ յև սուրբուու և նույնական գամուապեածու և հիշեն ամուտու նյասատ ճազգուցու Շեմլցիու: մեսրուցու Շեմլցիա մոմարտուս Յուր-ճա-Յուր հյօթայցուաս, ան մուս ացեն ըցիս և Նվարու-Նվարուատ, նվաս ցանմացլունանու, ռուս յմարչազեծու և յերեխեծու և պատ-պատածու Շեմուրանու եռլմյ. ացրաց, զոն ու ույ լարունա, հռմ զերու ամաս Շեմլցիս և առայցրու սամուալցիա առա պյաս, ուման մեռլուտ տցուտոննու ոյուսրու դուստրու ցասացնացնու յիրուս ցածածու և հիշենո „ԿՐԵՑՈՒԼՈՒ“-յու ուսասկութլուտ մուրտցաւ եռլմյ պազցու տցյ և տցյ. սաեալեան ծոծլուուցյեցիս-յու ճայտմունատ մուցու նվաս նաեցար դուսատ—4 մանցտած.

յուտ իցեն ացեն գուրացանու. ցցուրիցու, զելուածու, հռմ գուցիա և Յարարաս պազցու մուսվոնցու հիշենո „ԿՐԵՑՈՒԼՈՒ“ և հռմ Շոյ սամուցնու առա զուսու և ութեզցու և յուտ առայս մոցցացոնցիս: յրտու զոնմյ ծառոն-յացու մուտանա մուշրացու յցիթա, հռմ սամուրացունու պազցու մոցմածլուուրցիս. յև առ մույրեցաւ և սումուշրացու լարիա. յրտեցլ մոցուա մաստան յրտու զոնմյ և մոաեսցնա: մյ զոյուսրց ոյշենու մուշրացոնցիս, ույ ամ սակութացնյ մունասութեցուու: 1) լարու չունաս ույ ացլարուու?

და 2) დღე უკეთესია თუ ლამეო? — რა თქმა უნდა, დღე ლამეზე უკეთესია და ავდარს დარი ჯობიაო — უპასუხა ბატონ-კაცმა. არ დაეთანხმა პირველი და თავ-თავის აჩ- რის დასამტკიცებლათ დაიწყეს აქეთ-იქით სიარული და შეჰქნეს მოკითხულობა. მივიდენ ერთ ოჯახში. აქ ცველა, ქალი და კაცი, ცხვირ-პირ ჩამოშვებული დაუხვდა და უკმაყოფილოთ წუწუნობდენ: რა კარგი იქნებოდა, რომ იმ დალოცვილ ლმერთს ერთი ორი დღე კიდევ დაეც- ლია და დარი ყოფილიყონ?! ახლა ხომ დავიღუპეთ და ამოვვარდითო!.. შევიდენ მეორე ოჯახში — მეზობლისას. აქ კი ცველა მხიარულათ იყო: მადლობა ლმერთს! გვეწ- ველა, ძლივს არ გაწვიმდაო!.. ერთი ორი დღე რომ კი- დევ დარები დაეჭირა, შენი მტერი ამოვარდნილა, ჩვენ ამოვვარდებოდითო!.. გამოიკითხეს მიზეზი და რა გამოდ- გა: პირველი თურმე მექურქლე ყოფილიყო და ქოთნე- ბის გაშრობა ეჩქარებოდა, მეორე-კი — მეწალკოტე (მე- ბალე) და გვალვას შეეშინებია!.. ასე, ამ გვარათ, მთელი დღე იარეს და სადაც-კი იკითხეს, ზოგს დარი ენატრე- ბოდა და ზოგს ავდარი!.. მიზეზსაც სულ სხვა-და-სხვას ამბობდენ. რომ დაილალენ, — იმ მოურავობის მსურველმა ბატონი ერთ ნანგრევ ციხე-დარბაზში შეიყვანა: „ცოტა შევისვენოთო!“ აქ ბატონს უჩვენა კედლებზე და თალზე აქა-იქ მიკრული, შკვდარივით ჩამოკიდებული, ლამურები და იქვე მჯდომი, მომაკვდავსავით აფუღული, ბუ და უთხ- რა: ამ საწყლებს ვერ ხედავთ, როგორ შეუწუხებია დღე- სო, მაშინ როდესაც სხვა ფრინველები-კი გარეთ მოილ- ხენენ და ურიამული გააქვთო? აბა, მოვიცადოთ დაღამე- ბამდი და ვნახავთ ამათაც აფრთქიალებულს და იმ ჩიტებს კი ხმა ჩაწყვეტილებსო. მართლაც, რომ დაღამდა, აფ- რთქიალდენ ლამის ჩიტები და მათთან ერთად ლამურებიც;

დღის ფრინველები კი მიიმაღალენ. მაშინ შიუბრუნდა ბატონს მოურავი და ბოახეენა: ახლა ხომ ხედავო? თუ კი ყოვლის-შემძლებელს ვერ მოუხერხებია, რომ ერთსა და იმავე დროს, ერთითა და იმავეთი ქვეყანაზე ყველა დაკმაყოფრლოს, შენი მოურავი როგორლა მოახერხებს ყველა მოიმაღლიეროსო?.. ამისი არ იყოს, შექსპირსა ჰყავს დამწუნებელი და ჩვენი „კრებული“ როგორ შეიძლებს, რომ ყველას მოსწონდეს და ყველა მოიმაღლიეროს? კაცმა თავისი მოვალეობა უნდა გულ-წრფელათ მოიხადოს ხოლმე და — კმარა, თორემ, თუ იმას გამოუდგა და აჰყავა, ვინ რას ამბობს, ვის სწყინს და ვის არაო, —ის ვეღარას გააკეთებს!..

თყვილისში — ბ. ა... ას. გვიბძანებთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ დღეიდან „კრებული“ თქვენი მსახურის სახელობით ვაგზავნოთ ხოლმე? თქვენი ნება გახლდესთ! აქამდი პირ-და-პირ თქვენ მიტომ გიგზავნიდით, რომ თქვენი სახელით იყო გამოწერილი და დარწმუნებული მაშინაც-კი ვიყავით, რომ ლაქიას მიუდიოდა.

ჩვენს კრიტიკოსს. ზეპირ-სიტყვაობის შესახებ რაც მოგეწერათ, ვიგულისხმეთ და ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ თქვენც, სხვებსავით, „ვითომდა ინტელიგენციურ“ ენის ქავილს გაუტაცნიხართ!.. თქვენ გამკეთებელი გვიბძანეთ, თვარა გამოუჭებელი და ხელის შემშლელი ბევრია. ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ერთმა ვინმემ, თუ საქმეს მოჰკიდა ხელი, სხვები, მოხმარების ნაცვლათ, ხელს უშლიან!.. იწერებით: „სახალხო ნაწარმოების“ გამოცემა თქვენი საქმე არ იყო, რადგანაც არც პროგრამმა გაქვთ და არც სისტივმათ და უმჯობესი იყო სხვების-

თვის დაგეცლიათო! ვინ მოგახსენათ, რომ პროგრამმა არა
გვაქვს?! ჩვენი პროგრამმა გასაგებათ იყო გამორკვეული
„კრებულის“ პირველ ნომერში და თქვენი შენიშვნებიც
იქიდან არის ამოწერილი, მაგრამ, რადგანაც თქვენ ბო-
ლომდი არ წაგიკითხავთ, მიტომ კოჭლობს თქვენი რჩე-
ვა და დარიგება.

„უსისტემოთ ბეჭდავთო“ — პძანებთ!.. გაგიგონიათ
პრეკენო და სად და როდის, ის კი აღარ იცით!.. მე მხო-
ლოთ მასალას ვაგროვებ ზეპირ-სიტყვიაობისას და ვბეჭ-
დივ, რომ ერთად, ყველასათვის ხელ-მოსაკიდებლათ, იყოს
შეგროვილი და მერე, თუ თვითონ მე ველი მოვესწრე-
ბი, — გამოჩენდებიან სხვები ჩვენზე უზრუ კარგები და გა-
არჩევენ სისტემატიკურათ. ჯერ მასალა არ მოგროვებულია
და თქვენ კი შენობას თხოულობთ! აბა, რომელი ჰქუა-
თა მყოფი ეტყვის ხუროთ-მოძლეარს, როცა ის ჯერ მა-
რტო მასალას აგროვებს, რომ შენ უბლანოთა და უსის-
ტემოთ შედგომიხარ საქმესო? და რაც შეეხება თქვენს
მესამე დარიგებას: „სხვებს აცალეთო“ — სწორე მოგახსე-
ნოთ, ეგეც უსაფუძვლო რჩევაა და ერთ არაკს მოგვაგო-
ნებს: ერთ სახლში ქურდი მიიბარებოდა, ყველას ეძინა
და ბებერმა გაიგო; მეტი რომ ველარა შეიძლო რა, ყეფა
დაიწყო და გააბრუნა შეშინებული ქურდი. მეორე ღღეს
შვილებმა უსაყვედურეს: ყეფა რა შენი საქმე იყოვო? რა
მექნაო — უბასუხა ბებერმა — თქვენ ყველას გეძინათ... ის
ოხერი ძალლებიც არა ჰყეფდენ და მეც რომ მანამდი მო-
მეცადა, სანამ ან თქვენ გამოილვიძებდით და ან ძალლე-
ბი გაიგებდენ, აღარათერს შეგვარჩენდა ქურდიო. მისი
არ იყოს, მეც როდემდის უნდა გიცადოთ? ღღემდი ცო-
ტა ხანმა გაიარა, რომ თქვენ ხელი არაფრისთვის მიგი-
ყვიათ?!.. და თუ მიგიყვიათ, ნაყოფი სად არის?

მახსოვს, და თქვენც იცით, ჩემ სიყმაწვილეში ერთმა
ახალგაზღა ქართველმა შეაგროვა ბევრი ხალხური ზეპირ-
უადმონაცემი. ერთხელ დავეკითხე მე: ეს კარგი, რომ
შეგიგროვებია, მაგრამ რაღას უცდი, რატომ არ გამოს-
ცემ-მეთქი? დინჯათ ხელი მალლა აიღო და მიპასუხა:
„ფაფა გგონიაო?.. ჰალა-ჰალა ხომ არ არის ამის გამოცე-
მაო?! ამას გარჩევა უნდა, გარკვევა, შესწავლა და მერე
დაბეჭდვაო“. მას აქეთ აგერ ნახევარი საუკუნე გარბის,
სიბერით მეტაც და იმასაც ორივეს წვერ-ულვაში დაგვ-
ცვივდა და „ფაფა“ კი ისევ უხარშავია! ამ დღეებში შე-
ვხვდი და ვახოვე: თუ შენ არას აპირობ, მე გადმომეცი
და დავბეჭდავ-მეთქი. დარბაისლურათ ბოდიში მოიხადა
და მითხრა: „ნუ გეწყინება და ვერ გადმოგცემ—მე თვა-
თონ მინდა გამოვსცეო.“ კეშმარიტათ რომ მიამა და ვჰკი-
თხე: მალე გამოვა-მეთქი? იმ დალოცვილმა ისევ ისე
ძველებურათ დინჯათ აიღო ხელი მალლა და მითხრა: ვა!
ფაფა გგონიაო?! ჰალა-ჰალა ხომ არ არის იმის გამოცე-
მაო? ამას გარჩევა უნდა, გარკვევა, შესწავლა და მერე
გამოცემაო!“ გამეცინა და გამახსენდა „ჰაჯის აბანო.“
ერთი ჰაჯია იყო, აბანოს აშენებდა და არ იქნა, არ გა-
ათავა! რომ ჰკითხავდით: რას შვრები, რატომ არ გაათა-
ვებო? ის სულ იმას იძახოდა: „მოიცადეთ, გავათავებო!“
თურმე მკითხავს ეთქვა: „სანამ ეგ შენი შენობა არ გა-
თავდება,—არც შენ მოკვდებიოდა მიტომ აგვიანებდა!..
ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს ეს ჩვენი ქართველი, ამას
შეგროვილი მაინც აქვს რამოდენიმე და თქვენ რომ ჯერ
ხელიც არ მიგიყვიათ, როგორ უნდა გიცადოთ და რო-
დემდის?!.. ზეპირ-სიტყვაობა ისეთი დაულეველი ზღვა არის,
რომ არა თუ ერთი-ორი, ათასი შემკრებელიც ვერ დაა-
შრობს. თქვენც შეუდეექით და იმუშავეთ, ვინ გიშლისთ?!

იმ განძრახვით-კი ნუ გამოდიხართ, რომ სხვასაც ხელი შეუშალოთ და თქვენც არა გააკეთოთ რა! და ჩვენ, ჩვენი მხრით, კიდევ და კიდევ ვთხოვთ ყველას, ვისაც-კი ამ დიდ საზოგადო საქმეში დახმარება შეუძლია, ნუ აპყვებიან ცუდ მითქმა-მოთქმას და შემწეობას ნუ მოგვაკლებენ.

ახალგაზდა მწერალს. ღიღი სიამოვნებით ვასრულებთ თქვენს თხოვნას და გაძლევთ რჩევას. იწერებით, მწერალს რა ეჭირვებაო? და ამ რა: 1) უნდა ნიჭი ჰქონდეს, 2) დრო და უამის შესაფერათ უნდა იყოს ნასწავლი და განვითარებული, 3) უნდა შესწავლილი ჰქონდეს ის ენა, რომელზედაც აპირობს წერას, 4) გულ-წრფელი უნდა იყოს და კალამი ისე არ აიღოს ხელში, რომ არ გაიხსენოს: „გული წმინდა დაბადე ჩემთან, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსაო;“ თავის თავს ისე უნდა უყურებდეს, როგორც მოციქულსა და ქვეყნის მოძღვარს: უშიშარი უნდა იყოს, შეუპოვარი, მტერ-მოყვრობის გადუყოლელი, რასაც ხალხს ეუბნება, ის უნდა გულის-წმინდით იყოს ნათქეამი, ისე როგორც აღ-სარებაა ქრისტეს წინაშე, პირადობა შესწიროს საზოგადოს და მზათ იყოს, რომ გაჭირვება და უსამართლობა აიტანოს ხოლმე. აი, თუ ამას ყოლიფერს გრძნობ შენ-ში, მაშინ აირჩიო საზოგადო ასპარეზი და უამისოთ კი რომ შენც, სხვებსავით, ნახირში გამოერიო მეცამეტე გო-ჭივით,—რა სარგებელია? და თუ საზოგადო მოღვაწეობას ისე უყურებ, როგორც ცხოვრებაში გამოსადევ იარაღს, რომ მითი ქვეყნის თვალში ძალა შეიმატო, უმეტესობას თვალი აუხვიო და, ზოგიერთებსავით, მარტო შენ პირად კეთილ-დღეობაზე იფიქრო, ეს ხომ ყოველ გვარ

დამნაშაობაზე უარესია და ღმერთმაც გაშოროს!.. მასთა-
ნაც ამ გვარათ მოპოებული ღირსება და დიდება ხან-
გრძლივი საგზალი არ არის... საშვილიშვილო ბარგათ
არავის გამოაღგება და უმჯობესია ასე თავის საკუთარ,
საოჯახო და საპირადო საქმეებზე იფიქროს კაცმა მშვი-
დათ და კეთილათ. რაც შეეხება თქვენს ლექსებს, ნიჭი
გეტუობათ, მაგრამ განვითარება გაკლიათ და გაუწვრთნე-
ლათ ნიჭი რა გამოსადეგია? ხომ გაგიგონიათ: უჭიულ,
მაგრამ ნასწავლი და განვითარებული — მაღლა-მაღლა მური-
ნავი კაჭკაჭიაო, ჭკვიანი, მაგრამ უსწავლელი და უცი-
ცა-ჯაჭვით დაბმული ლომიო!“ პირველი ღმერთს აუცი-
ლებია თქვენთვის, როგორც თქვენი ნაწერიდანა ჩანს;
და მეორე-კი თქვენ ხელთ არის. ეცადეთ რომ თავი აიშ-
ვათ!

ახალ კრიტიკოსის. ეს მეორეთ მოგვდის თქვენი რჩე-
ვისა და დარიგების წერილი. გმადლობთ! დარწმუნებუ-
ლი ვართ, რომ ჩვენთვის კეთილი გსურთ და მიტომ გვა-
მხილებთ ყოლიფერს გულ-წრფელათ... ვეცდებით, რომ
ჩვენც სამაგიერო გადაგიხადოთ და გულ-წრფელათვე მო-
გახსენოთ: ერთი ორათ და ერთი სამათ თქვენზე უხნესი
ჟართ, თქვენზე მეტი გვინახავს და გაგვიგონია, გამოც-
დილებაც მეტი გვაქვს და ორომ გგონიათ, რომ თქვენ
მართალი, შეუცდომელი ბრძანდებით და ჩვენ-კი მტყუა-
ნი და შემცდარი?! მაგრამ ჯერ ბევრი რამ მოგეთხოვე-
ბათ? თქვენს ხანში ჩვენც მეტი აზრის ვიყავით ჩვენს
თავზედ! უბრალო რამ გავგაკვირვებდა, ცოტაც დიდათ
მიგვაჩნდა და სხვებს დიდათ არ ვაგდებდი, ყველას წუნ-
სა ვდებდით!.. რასაც თვითონ ვერ მივწვდებოდით და
ცერ გავიგებდით, ის ყოველივე სისულელე გვეგონა. მა-

გრამ იმდენი ზდილობა კი გვქონდა, რომ ამაებს ყველას გულში ვინახავდით, თავხედათ არა ვყიროდით და, მაღლობა ღმერთს, რომ ასე ვიქცეოდით, თვარა დღეს, როდესაც შევიგენით მაშინდელი ჩვენი სიყმაწვილე, სანანებლათ გვექნებოდა იმ ღროინდელი ჩვენი თავხედობა!.. ეცადეთ, რომ საბოლოოთ თქვენც არ გაგაწბილოსთ დღეს ვანდელმა თქვენმა მეტიჩრობამ... ზდილობა. და მოკრძალვა კარგი თვისებაა!..

შემცდარი არიან ისინი საზოგადოთ, ვისაც თავზე მდაბლობა სულ-მდაბლობათ მიაჩნიათ და ხეპრული, თავზე უკავებელი პირდაპირობა, სიმართლის მოყვარეობა ჰგონიათ. ორიოდე გაცვეთილი წიგნის წაკითხვა, და ისიც წარამარათ გაგებული, საკმაო არ არის ჩვენთვის, რომ თავი დიდათ მივიჩნიოთ და სხვების სამოძღვროთ გამოვიდეთ. ჯერ ისწავლეთ, ისწავლეთ და თუ ღმერთმა შეგნება მოგცესთ, მაშინ მოგვთხოვთ პასუხი და მაშინ დასდეთ წუნი ჩვენს მოქმედებას. მაშინ ეგება ჩვენც ბევრი რამ დაგიჯეროთ და ჯერ კი ტყვილათ ნურც მარკების ფულსა ხარჯავთ და ნურც ჩვენ გვაცდენთ!..

ქუთათსს — ბ. დ. „ერთი ალილო მღვდელსაც შეეშლებაო — ბძანებთა — „ნამსახურ კაცსა და ნაერთგულარს ერთი-ორი დანაშაულობა როდი უნდა მოვუხსენოთო!“ ვერ გეთანხმებით: დანაშაულობაც არის და დანაშაულობაც! თუ კაცი უნებურათ და ან იძულებით შემცდარა, ის სხვა არის! მაგრამ, თუ განძრახვითა და გაუჭირვლათ, მხოლოთ საპირადო ანგარიშით გადაუხვევია სწორი გზიდან, იმისთანა მოღვაწის აღარა დაიჯერება რა!.. იუდა დიდი ერთგული და თავდადებული მოციქული იყო და მხოლოთ ერთხელ შეცლა; გასცა ქრისტე

და გაჰყიდა ჭეშმარიტება... ისევ მალეც შეინანა და თავიც ჩამოიღრჩო, მაგრამ მაინც „იუდათ“ დარჩა ქვეყნის თვალში სამარადისოთ.

ახალგაზდა მეგობარს. იწერებით „გამოცანები“ ავსენიო. მოხარული ვართ, რომ გამოგიცვნიათ. რაც შეეხება „მუზის“ გამოგზავნას, გაახლებდით, მაგრამ, ვაი, თუ ახლაც ასე მოგვივიდეს, როგორც აღრე. ზოგიერთებს ვაახელით ხოლმე ჩვენი „მუზა“, მაგრამ უკანვე მოგვადგა ხოლმე კარზე, დაბრუნებული! კარგათ ვერ მიმიღო მასპინძელმა, მწყრალათ დამიხვდა და ვეღარც მე მოვუცადეო!..

კახეთში მოგზაურობა

დიდი ხანია კახეთი აღარ მენახა და „საალავერდო-ბოთ“ დავაპირე წასვლა. იმ ერთი იმერლისა არ იყოს, რომ უთქვამს: „კვიცხაც გავხედნი და ნათლიდედასაც ვნა-ხავო,—მეც ვიუიქრე: კახეთს გავივლი, თელავში ერთ ჩემ მეგობარ სახლობას ვნახავ და „ალავერდობასაც“ დავეს-წრები-მეთქი.

აქა და კახეთში „ალავერდობა“ იციანო, თბილისში მეტოჯებს ქირა გაეორკეცებიათ და იძულებული გავხ-დი დილიუანსით წავსულიყავ; იქაც დიდი გაჭირვებით ვიშოვე, როგორც ოქნა, ერთი ადგილი. ჩემს გარდა, რა-საკვირველია, სხვებიც იყვენ და ზოგი მათგანი იარაღში იყო ჩამჯდარი. გამიკვირდა: ხოჯახნობა გადავარდა, შა-მილობა აღარ არის და, ესენი რომ ასე საომრათ გამო-წყობილან, რას ნიშნავს-მეთქი? „გზაში ყაჩაღების შიში-აო“ — მიპასუხეს თანამგზავრებმა. დაგელოცოს, ღმერთო, სამართალი!.. დიდებული რუსეთის მფარველობის დროს?! ეს ამდენი ჯარი, ამდენი პოლიცია, სამაგალითო კანონი და სამართალი... ეს ავაზაკები რაღას უყურებენ? გაგო-ნილა ამისთანა უშიშრობა?! ეჭ, თევზისა არ იყოს: „სა-თქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ პირი-კი წყლითა გვაქვს სავსე!“ ამ ფიქრებით რომ ვიყავი გართული, კონდუქ-ტორმა უცბათ დააძახა მისი საყვირი და დილიუანსაც მო-ადგა ერთი მგზავრი. ჯერ მუცელი შემოდვა შიგ და მე-რე თვითონაც თან შემოჰყვა; მიგვჭეჭე-მოგვჭეჭე და და-ეშვა დაბლა რუმბივით. საოცარ ლიპზე უზარ-მაზარი ხან-

ჯალი ჰქონდა არდი-გარდა გადებული ჭოლოკივით; იქით აქეთ გვერდზე რევოლვერები ჩამოეკოწიალებია, ხელშიაც თოფი ეჭირა და ისეც ეჭირა, თითქოს ნიშანი ამოლებული აქვს და ჩახმახზე შეეყნებას უპირებსო. თვალებსაც აბრიალებდა და ერთი შეხედვით, უეხ-ალაგობ, ჰაჯი-მურადი ეგონებოდა კაცს! „ვა, იქით, თუ ღმერთი გრწამს, ტუჩი აქეთ ნუ გიქნია!“ მიაძახა მის პირ-და-პირ მჯდომარებ.

— რას გიშლის? — დაეკითხა „ჰაჯი-მურადი.

-- რომ გავარდეს, ხომ შიგ პირში მომხედება?!..

— დალოცვილო!.. გატენილი რომ არ არის?!

— მაშ რათ გინდა ცარიელი? — დაეკითხენ სხვები.

— ეს ხომ ქართული თოფი არ არის? რა დიდი საქმეა ამის გატენა? მაღაზიაა ჩვენებურათ გადმოკეთებული, ხელათ გავტენი და მორჩა!.. პატრონების მეტი რა მაქვს?!

— ვა! ვა! იქით, შე დალოცვილო! ეგ კიდევ უარესი! ეგ რა გიქნია? ასე მცოდნოდა არ წამოვიდოდი... ერთი რომ გასქდეს, მერე ხომ გავფუჭდით ამთენი კაცი?!.. გადაყარე პოულუსტა!.. კონდუქტორ! კონდუქტორ! სტო პოულუსტა!.. ღრიალებდა დამფრთხალი მოქალაქე.

— რათა სწუხდებით, განა აქა მაქვს პატრონები? ჩამადანში მიყრია და ისიც ხომ დილიჯანის თავზეა. გასქდება — მაღლა წავა, აქეთ რა უნდა ჩვენსკენ?!

— მაინც რათ გინდა ეგ ეშმაკის მოგონილი? მიეცი პოულუსტა კონდუქტორს!.. ხათა არა მოხდეს რა, ერთი აქედან გაიტანოს — ეუბნებოდა ვედრების კილოთი მოქალაქე. — ნათქვამია: „წელიწადში სამჯერ ეშმაკი გატენისო!“ განა ცოტა მარცხი მომხდარა, რომ ცარიელი ყოფილა და უცბათ კიგავარდნილა?!

ზოგიერთებმა სიცილი აიტეხეს. ერთი ვიღაც ბოდ-
ბელი აზნაური იყო და მიუბრუნდა ამ სოფუკებით: „შენ,
ეს, ჩემო ძმაო, ისეთი რამა სთქვი, რომ სათქმელი იყოს!

— განა ტყუილია?!..

— თავისით რომ გავარდება, ის შენი საკუთარი
თოფი იქნება, მისი პატრონული შენ იქნები და ნასრო-
ლიც შენვე მოგახმაროს!.. შენც კიდევ, ეგ უარიელი თო-
ფი რომ ხელში დაგიჭერია, აბა რათ გინდოდა? მაგრამ
გეტყობა, რომ ძალლის არაქს ასრულებ. „ძალლსა ჰეთ-
ხეს: რათა ჰყეფო? — მინდა დათვი შევაშინოვო! კუდი რა-
ლათ ამოგიძუებიაო? — მე თვითონ მეშინიაო!“ იმისი არ
იყოს, გინდა განა შეაშინო ვინმე? ყაჩალები ნუ დაგიხ-
ვდებიან, თორემ ეგ შენი მაღაზია ველარას გიშველის.

— შენ კი რალათ გინდა ეგ თოფი?

— მე ცხვრების პატრონი ვარ: ფარა დაშყავს აქეთ-
იქით საძოვარზე და თოფსაც ვერ ვიშორებ. საჭიროა ნა-
დირს ვიგერებ და, თუ ყაჩალი სადმე დამიხვდა, იმასაც ჰე-
სუხს გავსცემ.

— თუ გასცემ და გამოგაჩნდება! აი, ამბობენ, რომ
ვაზიანის მახლობლათ ყაჩალები დადიანო.

— მე კი არ მჯერა და... კახეთის გზაზე ყაჩალები
ვჩს გაუგონია?

— ვა, როგორ არა?! — წამოიძახა მოქალაქემ — აკი ამ
ხუთის წლის წინათ მე დამიხვდენ!.. ეს ამბავი მაშინ ყვე-
ლა გაზეთებში ჩააგდეს. კახეთში მივდიოდი. და ოთხასი
თუმანი თან მიმქონდა. ისეთ ცხენზე კი ვიჯექ, რომ
ელვა იყო! გზაში სალამომ მოატანა; მზე ჩადის და მეც
დარდში ვვარდები: ვამბობ თუ, რომ დამიღამდეს, რაღა
ვქნა?! ამ დროს დავინახე, მოტის ერთი ვიღაც ცხენო-
სანი და უნაგირზე აღარ დგება, ინძრევა, თითქოს გად-

მოხტოშას აპირებსო. ვამბობ: ვა! ეს რას შვრება? რა
დროს ცხენიდან ჩამოხტომაა უუა გზაში, თუ ეს კარგი
ვინმე იყოს! ვიფიქრე, სიფრონილეს თავი არა სტკივა,
ერთი გავეცლები ამ გიჯს, ცხენს გავაჭენებ... მაგრამ
სად წახვალ? მარცხნივ ტყეა, მარჯვნივ — გადასავარდ
ნი, წინ ის მოდის და უკან დაბრუნება-კი ძნელია: ცხე-
ნი დამამტვრევს, — ორივე ხელით ძლივს მიჭირავს!..
ყოველი მხრით ხათა რაღა!.. „ტერ ვოლორმია!“ ვამბობ
გუნებაში, ეგება გაიაროს, ან გაბრუნდეს... რა ბძანე-
ბაა! მოდის პირ-და-პირ და აბრიალებს თვალებს, თვი-
თქოს დამცინისო. ახლოს რომ მოვიდა, „კნიაზს გა-
უმარჯოს-თქო“ — მივაძახე. ეს „კნიაზი“ მიტომ ვუთხარი,
ეგებ შეიფეროს და არ გაჯავრდეს-მეთქი. „შენც ლმერთმა
შეგარცხვინა და შენი კნიაზიცაო!“ — შემომიძახა — სად
მიხვალ, შე ქრისტეს ფეხის მომჭეროვო?!

— სოფელში გიახლები-მეთქი.

— ფულები ბევრი მიგაქვსო?

ეს რომ მკითხა, მე კინალამ გული წამივიდა: რათ
მკითხავს ამას, რა უნდა, რა ჩემი დახლიდარია-მეთქი? ვეუბ-
ნები თუ, მე ფული ვინ მომცა, ერთი-საწყალი კაცი ვარ...
ფეხზე ვვაჭრობ... დღიურათ ძლივს გამოვდიგარ-მეთქი!..

— მაშ, შენმა სიცოცხლემ, შენ კი ხარ, რომ უფუ-
ლოთ აქეთ-იქით სოფლებში სიარული დაიწყოო?! თუ
არ დაგიშლია!.. მირონი შეგაქვს გლეხების ოჯახში რა-
ლაო?.. მოიტა ეგ ეშმაკის გაჩენილი, რომ ცოდვა აღა-
რა ჩაიდინო რაო. ეს რომ მითხრა, ჩემ ცხენს ლაგამში
ჩავლო ხელი და მაგრათ დაიჭირა. ვსოდე თუ, ეს
კარგია: ცხენი აღარსად გამექცევა და მეც ერთ რასმე
ვილონებ, მეც კაცი ვარ, მეც ქუდი მხურავს და ულვა-
შები მასხია!.. ასე ჰალა-ჰალა არც მე დაგნებდები-თქო!..

— როგორ?! წინააღმდეგობა გაუწიე? — დაეკიახა გა-
ოცებით ბოლბელი.

— ვა, მაშ!

— ვეღარა წაგართვა რა?..

— აბა მეც რა შვილი ვარ, რომ მავცემდი?! ვახსენე
ღმერთი და დავუხვდი მარჯვეთ!

— რა ჰქენი?

ის, რაც ღმერთმა მაკონა და ჩემმა ჯეელობამ შემა-
ძლებია: ერთი ისეთი დავილრიცალე „ყარაულ“-მეთქი,
რომ მე თვითონ შემეშინდა და გული დამილონდა!. იქვე
ახლოს თურმე „პოსტი“ ყოფილიყო, ჩაფრებს გაეგონათ
და მომეშველენ. თვალები რომ გავახილე, ის ჰარავზადა
აღარსად იყო!.. ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ—ვეღარა გავიგეთ
რა!.. ჩაფრები გამოუდგენ, მაგრამ ვერ ნახეს. „ყაჩალი“
არსად არისო და ერთი ვიღაც მთვრალი ცხენოსანი კი
მიდის თავისთვისო. ეგება ისიც იყო უა სიმთვრალე მო-
იგონა!..

— შენ სადღა იყავ? ვერ იცანი?

— მე ხომ დასაჭერათ ვერ გამოვუდგებოდი? სამი ჩა-
ფარი იმას გამოვუყენე და მე კი იქვე დავრჩი ორი ჩაფ-
რით, ახლოს საღმე დამალული არ იყოს და კიდევ არ
გამომიხტესთქო. ჰაი, ნეტავი მართლა კიდევ გამოჩენი-
ლიყო, როგორ დაიჭრდენ ჩაფრები!.. სწორეთ ღმერთ-
მა შემიპრალა, რომ მაშინ გადავრჩი!.. რევოლვერი-კი
დამკარგოდა, არ ვიცი მე გადავაგდე სადმე იმ აყალ-მა-
ყალში, თუ თვალები რომ დახუჭული მქონდა, მაშინ
მომპარა იმ ყურუმსალმა! ადგილზე ბევრი ვაძებნიე და
ვერ ვნახეთ. ჩაფრები დავიჭირე ქირით და გომბორამ-
დი მიმაცილეს. იმ ლამეს იქ დავრჩი ერთი. ჩემი ნაცნო-
ბისას.

ამას ისეთის აღელვებით ლაპარაკობდა, თითქოს ხუთი წლის ამბავი არ ყოფილიყოს და გუშინ ან დღეს მომხდარიყოს. ბოდბელმა გაიცინა, გადააჭნია ნაღვლიანათ თავი და თქვა: „აი, შვილოსა, რა დრო მოგივიდათ?!. ჭიანჭველას ერიდებით, ბოზის გეშინიათ. და ეს საქართველო-კი დაიჭირეთ ხელშიო!..

— ეჭ, ეგ სულ ჭიუის საქმეა, ჩემო ძმალ! — წამოიძახა ერთმა მგზავრთაგანმა. — აი, გადააჭლეთ თვალი გალმა-გამოლმა ამ იორის პირებს!.. ეს სულ ერთ მებატონეს ეკუთვნის, კ. ჩ-ს; რამდენი ხანია, რაც სულ იმის მამულზე მოვდივართ და ჯერ კიდევ შორს არის! ამის პატრონი მილიონერი არ უნდა იყოს?

— განა ლარიბათ არის? — დავეკითხე მე.

— არა, მაგრამ არც-კი სსეა, რომ უნდა იყოს!.. იშაზეაც ის ითქმის, რაც იყან მალხაზიშვილმა თავის ერთ მეზობელზე სთქვა: „მდიდარი მე კი არა ვარ, ის ჩემი მეზობელიაო: მე აგერ ორმოცი წელიწადი ვაშენებ ოჯახს და ვერ ამიშენებიაო!.. ის კი ანგრევს, იმავე ხნის განმავლობაში და ჯერ კიდევ ვერ მორევიაო!“ აქ ვაჭრები იყვენ მოიჯარადრეები, ზოგს ტყე ეჭირა ხელში, ზოგს მიწები ჰქონდა აღებული და იცით როგორ დამდიდრდენ?.. ერთი ახლა პეტერბურგში ვაჭრობს და მილიონს ატრიალებს!.. რაღა ეგ გინდათ, მაგის მამულებზე აგერ ხომ ეს ზავოდია სხვისი, სხვაგანაც კიდევ ქალაქია გაშენებული!.. თვითონ კი მარტო კნიაზია...

ამ გვარი საუბრით მივედით გომბორამდი. გომბორის შესახებ ბევრჯელ გამეგონა, რომ თვალთათვის მის სანახაობას არა სჯობს რაო, მაგრამ მე კი იმაზედაც პეტრათ უკეთესი აღვილები შინახავს დასავლეთ საქართველოში. მე უფრო აქ დასახლებულებს, ანუ, როგორც

ეძახიან, „პოსელენიას“ მივაჭუიე ყურადღება. კარგად
არიან დასახლკარებული!..

საზოგადოთ ჩვენში ერთი შემცდარი აზრია შემდგა-
რი—და ეს ბეჭდვითაც ბევრჯელ გამოთქმულა, რომ ქარ-
თველი გლეხები სიზარმაცის გამო დარიბათ არიანო და
ამის დასამტკიცებლათ ყოველთვის ამ ჩამოსახლებულებ-
ზე მიგვითითებენ ხოლმე. იმ დალოცვილებს ავიწყდებათ,
რომ ქართველ მკვიდრს ორი ან სამი დღიურის მე-
ტი არა აბადია რა და ისიც კიდევ სხვისი საზიარო და
ჩამოსახლებულებს კი ასი და ორასი დღიური უჭირავთ
ხელში. აბა სად ნახულა ჩვენში გლეხი, რომ დიდი მემა-
მულე იყოს და ლარიბათ კი სცხოვრებდეს?.. მაგრამ ნა-
თქვამია: „ბატონმა რომ გიბძანოს; მუხას ვაშლი აბიაო,
შენც უნდა შაშინვე მოახსენო: კი, ბატონო, ასხია და
მერე კიდევ რამოდენაებიო!“ რა ფაქტურა, ჩვენც უნდა
გავჩურდეთ!.. გულ-ნატკენმა გადავიარე გომბორი. იმ
ლამეს თელავში მივედი ერთი ჩემი მეგობრისას და მეორე
დღესვე გავემგზავრეთ მე და ჩემი მასპინძელი „ალავერ-
დობას.“ შორიდან გამოჩნდა უზარ-მაზარი შენობა ტრი-
ალ მინდორზე, მაგრამ ახლოს რომ მივეღით, ის აღარ
დამირჩა; რასაც ველოდი და ის ველარ ვნახე, რაც გამე-
გონა და წამეკითხა მის შესახებ!

ბევრი რამ გაგვიგონია ამ დიდებულ ტაძარზე და,
სხვათა შორის, ისიც, რომ ალავერდა თათარს აუშენებია
და მიტომ დარქმევია „ალავერდიო“. ეს უკანასკნელი,
რასაკვირველია, ზღაპარია. ეს ტაძარი აგებულია საუც-
ხოვო ალაგას. მის წინ გადაშლილია ალვანის მინდვრე-
ბი; ალვანის სოფლებიც მისი შენაწირი და მოხარკე იყ-
ვენ და მიტომაც ერქვა ამ ტაძარს „ალვან-ვედრი“ ე. ი.
ალვანის სავედრებელი. ეს სიტყვა თათრებს გამოთქმის

ღროს გადაუკეთებიათ „ალავერდათ“ და იქიდან წამომ-
დგარა დღევანდელი სახელ-წოდება. ამისივე მიზეზი უნ-
და იყოს, რომ კახეთში მოსახლე თათრები დღესაც კი-
დევ თაყვანსა სცემენ ამ ტაძარს და შესაწირი მიაქვთ ისე,
როგორც მართლ-მადიდებლებს. ეს აღრინდელი ალვან-გვ-
დრი დღეს მართლა რომ „ალავერდიც“ გამხდარა და
„იახშოოლიც“. ძველებური ხელოვნება მოშლილა, ნახა-
ტები აღარა სჩანან და საყდარი. შიგნით და გარეთ თეთ-
რად არის შეფეთქილი. ზედ მისავალ კარებთან, სადაც
აღრე „საქალებო“ უნდა ყოფილიყოს, საყასბოა გამარ-
თული: იქ მიაქვთ ზვარაკის მხარ-ბეჭედი და ცხვრის ტყა-
ვები და აქვე ვაჭრობაა გახურებული. აღრე ამას ჰქონ-
და მნიშვნელობა: ღარიბ მლოცველებს ბერები უმასპინ-
ძლდებოდენ და თუ ამ გვარი შესაწირი არ მიელოთ, რა
უნდა ეჭამათ? მაშინ ის ადგილიც, სადაც საკლავი მიჰ-
ქონდათ, მოშორებით იყო ეკკლესიაზე და დღეს კი ყვე-
ლაფერი გადასხვაფერებულია. სახურავი გაფუჭებია ტა-
ძარს, აღმოსავლეთის მხრით წვიმა ჩამოდის და შიგ ტა-
ძარში ტბა დგება. გალავანს გარეთაც იმას ვეღარა ნა-
ხავთ, რაც ყოფილა. ძველათ აქ იყრიდენ თავს ამ „ალა-
ვერდობა“ დღეს, კახელებს გარდა, ყოველი კუთხის ქარ-
თველობაც: გადმოდიოდენ ქართლიდანაც, ჩამოდიოდენ
მთიულები სხვა-და-სხვა ნაწარმოებით და სულის საქმეს
რომ მოილევდენ, მერე სახორციელოსაც მიჰყოფდენ ხოლ-
მე ხელს. თხუთმეტი დღის განმავლობაში, სწორის-სწო-
რამდე, იარმარკა იმართებოდა. დღესაც კიდევ რამდე-
ნიმე ათასამდი იყო შეყრილი და დაბინავებული ხალხი
ტაძრის ირგვლივ ტრიალ მინდობაზე. თავთავის უბნე-
ბათ იდგენ: თუშები ცალკე, ქისტები ცალკე, თათრები
ცალკე, კახელები. კიდევ: ცალ-ცალკე გვარეულად და

სულ ამ გვარად. იმ ღამეს დიღი ლხინი იყო ყველგან
გამართული, მაგრამ მოლხენა კი უფრო გლოვასა ჰეავ-
და. აქა-იქ უსიამოდ ჭიჭინებდა ზურნა, თითქოს ნაძა-
ლადევიაო. სამაგიეროთ შარმან კა გაჰკიოდა თამამათ. და
გარმონიკეს ჭიჭინისაგან ყურთა სწენა აღარ იყო. სალ-
ლაც შორს, ერთ კარავში თათარი ბლაოდა, თითქოს
ყელში მვალი გახირებია და იღრჩობაო.

ცა

როცა შესწყვეტდა ხოლმე ამ საცოდაობას და სულს
მოიპრუნებდა, რამდენიმე ხმა მიაძახებენ ხოლმე გასამ-
ხნევებლათ: „ჰაჯან! ჰაჯან! სან იახშიო!“ და შეიქნებო-
და ტაშის კვრა. ესენი გახლდენ ახალგაზდა კახელი თა-
ვად-აზნაურები, „ზოლოტაია-მოლოდიოს“ რომ ეძახიან
და თვითონ ზოლოტოზე კი უკაცრავათ ბძანდებთან. შა-
თი მიხერა-მოხვრა, ქცევა და სიტყვა-პასუხი აღარც ქარ-
თული იყო და არც ევროპიული; ეტყობოლათ; რომ
„სააზნაურო“ კლასიდან იყვენ, ე. ი. გიმნაზიის მეობე
კლასიდან და მისი დიპლომიც ხელში ეჭირათ: წინ ხან
ჯალი, გვერდზე ხმალი, ქუდი განზე მოქცეული და ჰე-
რი-ჰან.

„ჩამოდექით სუკველა, კნიაზი მობძანდება!“

„მრავალ უამიერსაც“ სხვა და სხვა ახმინე ამლერე-
ბდენ, მაგრამ შიგ კი არა იღვა რა!.. დავუკვირდი, რომ
გამეგრ ან სიტყვები და ან კილო, მაგრამ საჩვენო ვერა
შევატყვე რა!.. და მომაგონდა ანჩის - ხატის დეკანო-
ზი, ერმოლოვმა რომ მკვდარი გაუგზვნა: წესი თუ-
გე და დაასაფლავეო! დეკანოზმა ვერ გაიგო — რა
რჯულის იყო მიცვალებული და, რომ ცოდვაში არ
ჩავარდნილიყო, წინ წაუძლვა საცეცხურის კმევით და
თანაც თათრულად მისმლეროდა, ვრთომდა ვგლოვობოს
„ნა ბიზიმ დურ, ნა სიზინ დირ, ჯანაბინ თრთასინდა“

ლურ!“ ე. ი. „არ ვიცი ჩვენია, არ ვიცი სხვისია, მაში
ისევ შუაგულ ჯოჯოხეთისა იყოსო“...

დიახ, ყველაფერმა იცვალა ფერი და დაპკარგა უ-
წინდებური ხასიათი!.. ჭიდაობა რა არის, ჭიდაობა? ისიც-კი უბრალო ხორხოზობათ და ჯიგლიგანაობათ გა-
დაქცეულა. მეორე დღეს გამართეს ვითომ ჭიდილი და
მაყურებლებმა ერთმანეთი ჯიგლიგით გაასივეს. სრულმა
უზდელობამ იჩინა თავი: აღარც ძველებური უფროს-
უმცროსობა, აღარც დიდ-პატარაობა და აღარც სქესო-
ბა!.. ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი ყოველთვის ზღილო-
ბით ყოფილა ქებული და დღეს კი ველური ხალხის უზ-
დელობას აღარ ჩამოუვარდება მათი უზდელობა და სიტ-
ყვა-პასუხი. აქა და თან-სწორობა შემოვიდაო, აღარც
მღვდელი იციან და აღარც ერი. ერთი ვიღაც უცხოე-
ლი დარბაისელი იყო აქ ქალებით და ჭიდაობის ყურე-
ბა უნდოდათ, მაგრამ ვინდა დააცალა? გაյინტოვებული
ბიჭ-ბუჭები წამოატყდენ თავზე და გადალახეს ის საცო-
დავები. აღრე მთიულებს ეძახდენ ჩვენში უზდელებს და
დღეს-კი მათთან შედარებით „არა მთიულები“ ბძანდები-
ან ჩამორჩენილი. ჭაზოგადოთ არავისი ხათრი და მორი-
დება აღარა აქვთ, თუ არ მოსამსახურე პირებისა და მა-
თაც, რასაკვირველია, რისხითა და შეშინებით უჭირავთ
ხელში. სხვათა შორის, იმ დღეს აქ ერთი უსიამო აძ-
ბავი მოხდა. მოჭიდავესათვის ჩოხა უნდა ეშოვნათ. ბო-
ქაული ერთ ვიღაც ჭიზიყელს მისწვდა და უთხრა: გაი-
ხადე ჩოხა, მოჭიდავეს უნდა ჩავაცვაო! ჭიზიყელმა იუ-
ცხოვა: დალოცვილო, ცხრა თვე ამ ჩოხაზე მიმუშავნია,
ჩემი ჭირი და ლხინი ეს არის და სხვას როგორ დავახე-
ვიოთ? არ მისცა. ბოქაულს, გული მოუვიდა, როგორ
გაბედა სიტყვის. შემობრუნებაო, და უბრძანა ჩაურებს:

გააძვრეთო! მისცინდენ და დაებლაუჭენ. გლეხი გაძალდა და ქამარ-ხანჯალზე მოივლო ხელი, რომ არ შემხსნანო. ჩაფრებმა აუკრიფეს მიზეზი: ხანჯლის ამოღება უნდოდათ და დაუწყეს ცემა!.. ხანჯალი წაართვეს, ქუდი მოხადეს და ოქმზე მიღდა საქმე. ატირდა გლეხი. მივიდა მასთან ერთი კაცი და უთხრა: რას შერები, შელაჩარო! მაგოდენა ვაშკაცი რომ დედა-კაცივით აქვითინებულხარ საკალრისიაო?

— „ეჭ, რავენათ — უპასუხა — თათრობა ან ლეკობა რომ იყოს, მაშინ მე ვიცი რასაც ვიზამდიო! — არც გავიქცეოდი, არც ავტირდებოდი! გულის ჯავრს მევე ამოვიყრიდი. თავს შევაკლავდი, მაგრამ ხელ-ცარიელი არც მე დავრჩებოდი და ჩემი სისხლიც ამოუგებელი არ დამრჩებოდა!.. ვაშკაცურად მოვჰკვდებოდი ქვეყნისთვის და ისიც ცხონებას შემომითვლიდა!. ახლა-კი ვისთვის დავიგდო ავაზაკისა და კაცის მკვლელის სახელი?... მე დროსა ვტირდ და მარტო ჩემ თავხო!... თუმცა მეც კი სატირალი ვარ ახლა და მკვდარზედაც უფრო უბედურიო: ხანჯალ-შესსნილი, ქუდმოხდილი და შერცხვენილი დავდივარ ამდენ ხალხშიო, ხატობაც ჩამწარებული მაჭვე და ერობაკო!“.

ამ სანახაობამ გული მომიკლა და მეც გამოვე-შურე ისევ თელავისაკენ. გზაში ფიქრებმა წამილო: ღმერთო ჩემო, ე რა სილარიბე ვნახე ამ დღეობაში?! რამ დაჩაგრა და დააკნინა ყოველ-გვარათ ეს ხალხი? საღ არის ის აღრინდელი კახელობა, მე რომ ჩემ სი-ყვაწვილეში მინახავს? ჩოლოქის ომში რომ კახელობა დაესწრო, მის სანახაობას არა სჯობდა რა!... თავდღი, აზნაური, გლეხი, ყველა ერთი მეორეზე უკეთესი!.. მოხდენილათ და მღიღრულათ მორთულ-მო-

კაზმულები!... ძვირფას იარაღითა და ბედაურებით გამო-
წყობილები!.. კაცი იტყოდა, რომ ამათ მტერიც ვერ
გაიმეტებსო. სადღა არიან?!.. სხანს, რომ წასულან, იმა-
ვე ბედაურებით გადგომიან გზას და თავის თავ-გადასა-
ვალიც აქ ზღაპრათ დაუგდიათ!.. ბევრ-გვარათ ვეკითხე-
ბოდი ჩემს თავს და მწარე პასუხი გულში მიკვდებოდა.

ხმა ამოულებლათ მიველ ისევ თელავში. ალარ და-
ვრჩებოდი და მეორე დღესვე გამოვეგზავრებოდი, რომ
სიტყვა არ მქონოდა მიცემული საზოგადოებისათვის. სა-
დილათ ვიყავ მათგან მიწვეული და სადღა წავიდოდი?

„ჩვეულება რჯულზედაც უძტკიცესია!“ ტყუ-
ილათ კი არ არის ნათქვამი. რაც ხალხს საუკუნოე-
ბის განმავლობაში შესისხლ - ხორცებია, მისი გადაგ-
დება ძნელია. მოწამებრივმა ცხოვრებამ სულით აამაღ-
ლა ჩვენი ძველები და ქრისტიანული გრძნობები გაუ-
დიდა. სხვათა შორის, ავის მიტევება და კარგის გა-
დახდა ზნეთ პქონდათ გადაჭცეული. თუ არ ამით,
მაშ რითი აიხსნება ჩვენს ისტორიაში ის გარემოება;
რომ ხშირათ ჩვენი მამა-პაპები მხარს აძლევდენ და ეხ-
შარებოდენ თავის საკუთარს შოსისხარს მტრებსაც კი:
ქართველები არ იყვენ რომ ვახტანგ-გორგასლანის დროს
სპარსელებთან ერთად ჭერძნებს მოერიენ? მეორეთ, ინ-
დოეთამდე ჩაჰყვენ. მესამეთ ყანდალარი-დააპყრობიეს და
სხვანი? ქართველ ბუნებას არ შეუძლიან, რომ კარგი რაშ
დაუვიწყოს, გინდ მტერიც იყოს მისი; და - სამაგიერო
არ გადაუხადოს!.. ეს თვისება რამდენათ გამოსაღევია
პოლიტიკაში და სახარგებლო ჩვენს უკულმართ ცხოვრე-
ბაში, ეს სულ სხვა არის!.. მაგრამ მარტივათ კი, რო-
გორც პირადი ლირიცბა, კარგია!.. ამის უარს ვერავთნ
იტყვის... ეს თვისება დღემდისაც კიდევ შერჩენია ჩვენ

ხალხს ყოველგან და არა მარტო კერძოსა და საპირადოში, საზოგადოშიაც კი. თუ კი გაუგონია და იცის ომი ესა და ეს რომელიმე ჩვენი მიწის შვილი საზოგადო მოღვაწეა და ქვეყნის მოსამსახურება, აღარ იცის როგორ ვამოუცხადოს თანაგრძნობა და რა რიგი პატივი სცეს!.. საზოგადოთ ყოველგან და, რასაკვირველია, ჩვენშიაც ამისთანა შემთხვევაში მიღებულია პურ-მარილით პატივის-ცემა გამასპინძლება, ლხინი და „მრავალუმიერი“. ძველით ამას პირად სიამოვნებას გარდა სხვა-რამ ქვეყნისათვის სასარგებლო მნიშვნელობაც ჰქონდა, მაგრამ დღეს კი, გარდა უნაყოფებ მოღებენისა, აღარას მოასწავებს. მართალია, ამ გვარი პატივის-ცემა ახალ-გაზდა, თავ-მომწონე კაცს გაამხნევებს და გაამაგრებს, მაგრამ დარჯაკში გამოსულ მოღვაწეს კი ბევრს ვერას შეჭმატებს... პირიქით, გულსაც დაწყვეტს, როდესაც ლაინახავს, რომ მისი გულისათვის უზომოსა და ნამეტიან ხარჯს ეწევიან იქ, სადაც, ვინ იცის, რამდენი საქველ-მოქმედო საქმეა ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო და სასარგებლო და უსაშუალობის გამო წინ ბიჯი ვერ წაულგამს ..— „სადაც ბევრი არ იყოს, ის კი ცოტაც კმარიყოს“ — ნათქვამია და ალბათ ამის მაზეზია, რომ მეც ჩვენი ხალხის თვალში საზოგადო მოღვაწეთ ვითვლები და ამ ორმოცი წლის განმავლობაში ბევრი ნიშანი მინახავს ჩემდამი თანაგრძნობისა და პატივის-ცემისა, მაგრამ ამ ყოველთვის გადაჭარბებულობას იმდენი სიამოვნება არ უგრძნობინებია ჩემთვის, რამდენიც უბრალო რამ მოულოდნელ და მოუმზადებელ შემთხვევას... და მართლაც ოფიციალური რამ მხოლოთ აბრუებს კაცს, გაამხიარულებს, ათრობს, როგორც შაგარი სამელი, მაგრამ გულს კი მაღამოთ არა ხვდება.

გავიხსენებ არ შემთხვევას, რომელიც უკეთ და-
ასაბუთებს ამ ჩემ აზრს. ერთხელ გრიგოლ გურიელმა მით-
ხრა ოზურგეთში, რომ ერთს მოხუცს, ნაკაშიძეს, შენი
ნახვა ენატრება და, თუ ნებას მომცემ, ცხენს გავუგზა-
ვნი, აქედან შვიდ ვერსტზე, და ჩამოვაყვანიებო. მარ-
თლა იმ ღამესვე მოვიდა ის მოხუცი და სიამოვნებით
შემომყურებდა, თუმცა კი ლაპარაკით თავს არ გვაწყენ-
და. გავაბით საუბარი ჩენებურ ლხინებ-შექცევაზე და
მე მაშინაც ის აზრი წარმოვსთქვი, რასაც ახლა აქ ვამბობ
და სხვათა შორის დავამატე: რა სჯობს იმას, როდესაც
მასპინძელი ისე მიგიღებს როგორც შინაურს-მეთქი?..
მოხუცი ნაკაშიძე ყურს გვიგდებდა, არას ამბობდა და როცა
გამოგვეთხოვა, დიდის მოწიწებითა გვთხოვა, რომ პარა-
სკევს იმას ვწვევოდით. ჩვენც, რასაკირველია, - სურ-
ვილი ავუსრულეთ, მიგვიღო შინაურულათ. საღილზე
სამარხეოს მეტი არა მოუტანიარა, მაგრამ იმ სამარხევოების
ჭამას არა სჯობდა-რა.. დღესაც კიდევ პირში მაქვს მა-
შინდელი გემო... სუფრაზე არც ტოლუმბაში, არც „მრა-
ვალუამიერი“ და არც საღლეგრძელოები... მაგრამ ისე-კი
გავშინარულდით ყველა, რომ ძალ-დაუტანებლათ შევ-
ზარხოშდით. თითქოს, რაღაც უმანკო ძალა გვხიბლავ-
და ყველას. ნასადილევს, წასვლის დროს, მასპინძელი
მიუბრუნდა გრიგოლ გურიელს და მადლი გადაუხადა:
ბატონიშვილო, ღმერთმა ნუ დაგივიწყოს, რომ გახსო-
ვარ და ეს ყმაწვილი გამაცანი.—კაცი დავბერდი და აქა-
მდი არ ვიცოდი ლხინის მნიშვნელობა... მე მეგონა, რომ
ღვინის ფამალება და სმა ახალისებდა კაცს, ახლა ჭამო-
დის, რომ მხიარულება და სიამოვნება ასმევს თურმე კაცს
დვინოს.—იცოცხლე, დღეს მე კი დაგიხვდებოდით, რო-
გორც ჩვეულება მქონდა; ძროხასაც თავს გავაგდებიებდი

და საკლავებსაც ბევრს მივაყოლებდი, მაგრამ თურმე სულ
ტუუილი ხარჯი იქნებოდა. ოქვენ ლობიო გრჩევნებიათ..
სხვა რომ ვინმე დამეპატიუნა, ასი მანეთით ვერ გადავრ-
ჩებოდი და ოქვენზე კი არა დამხარჯეთარა, მაგრამ, რა-
ვარც ვხედავ, არც ოქვენ, სტუმრები, დამირჩით ნაკლებ
ნასიამოვნები და მეც კმაყოფილი ვარ!.. ახლა, ჩემო ბა-
ტონიშვილო, ეს შესაწირი თქვენ რომ უფასო შკოლა
გამართეთ, მისი იყოს... იმას ცოტას წაეხმარება და მეც
მოგებაში ვარო... ეს უთხრა და ოცდა-ხუთმანეთიანი
გადასცა... მას აქეთ ბევრი ლხინი დამვიწყებია, მაგრამ
ეს კი საფლავის კარებამდი მიმყვება. მეორეთ ქვაში-
ხორში მოვხვდი დადიანისას. მართლა რომ ოჯახის საკა-
ლრისი მასპინძლობა იყო. სიძლერა, გალობა, ღილინი,
სადლეგრძელოები და შესხმითი-სიტყვები ერთი მეორეს
ენაცვლებოდენ. მეგრელები საზოგადოთ მქევრ-მეტყვე-
ლები არიან, მაგრამ იმ დღეს კი გადაამეტეს: მთავარი-
აზრის ლარი მარჯვეთ გაყვანილი, ზედ ფერად-ფერადათ
მიქსოვილ-მოქსოვილი, გადახვევ-გადმონახვევი ფრაზები
და ხელოვნურათ ერთი აზრის მეორესთან გადაბმა-გადა-
კვერვა სწორეთ სამაგალითო რამ იყო... ყურს ვუგდებ-
დი და მიკვირდა... დიდ ალტაცებასაც გამოვიჩენდი, რომ
ის შესხმითი-სიტყვები ჩემდამო არ ყოფილიყვენ მომარ-
თული. უნდა გამოვტყდე, რომ პირადათ სასიამოვნოთ
არ დამრჩენია მაინცა და მაინც ის მათი ქება-დიდება...
როგორლაც მეჩოთირებოდა და ჩემს ქრეჭში აღარ მაყე-
ნებდა. იმ ღამეს იქ დავრჩი. ჯერ უაძინებული არ ვი-
ყავი, რომ შემოვიდა ჩემთან ერთი ვიღაც ფეხ-შიშველა
ბიჭი და დამადგა თავზე.

რა გინდა, ჩემო ქმაო? ვკითხე.

— არაფერი!.. თქვენი მშვიდობა, — მიპასუხა ზღილობიანათ.

— მაინც?

— მინდა შევიტყო: როთი შემიძლია თქვენი სამსახური, რომ გასიამოვნოთ?

— მაღლობელი ვარ, ჩემო ძმაო! მიკვირს, რომ უცნობს მაგისთანა სურვილი აგძვრია!..

— თქვენ, ბატონო, არავისი უცნობი არ ბძანდებით. ბევრს არ უნახავხართ, მაგრამ გაგონებით კი იციან, რომ ბევრი რამ შეეგძლიათ!..

— მე?!.. ვიღაცას მოუტყუებიხარ, ჩემო ძმაო... მე რა საჭმე მიჭირავს ხელში, რომ შემეძლოს რამე?

— ვიცით, რაც გიჭირავთ და მეც მიტომ გიახელი. ოლონდ კი მომეხმარეთ და მიმსახურეთ!.. აქ, ამ სასახლეში ბაზიერათ გახლავარ და, თუ ინებებთ, ისეთ მიმინოს დაგიჭერთ და ისე გაგიწვრთნით, რომ ცაში ბუზიც არ გაუშვას.

— მიმინო?!.. მერე და რათ მინდა?!

მწყერი დააჭერინეთ და თვალის სეირს ნახავთ:

— ეგ არ მინდა და თუ მწყერს დაიჭერ მისთანას და ისეც გაწვრთნი, რომ შიმინო დაიჭიროს, იმას კი დაგიმაღლებ. გავეხუმრე მეც.

— თქვე დალოცვილო, მაგისთანა ბაზიერობა რომ შემეძლოს, რალა მიჭირდა?!. შესახვეწარიც ალარა მექნებოდარა და ალარც თქვენ შეგაწუხებდით.

— რა გაქვს მაინც შესახვეწი?

— რაი, შენი ჭირიმე და... ნოსირში ქრთი გოგოა; მისთანა ძლაბი სულ არ მოიპოვება ამ ჩვენ მხარეში, მისი შერთვა მინდა ცოლათ, ვცდილობ და არ იქნა, ვერა შევაგონე რა!.. არ გამიკითხა იმ ურჯულომ.

— მერე, მე რა ვქნა?

— უნდა მიშველოთ, მომეხმაროთ და ჩემი სიყვარული ჩაუგდოთ გულში!

— რას ამბობ, კაცო?!. კუდიანი ხომ არ გვინივარ, რომ შევულოცო?.. მე არც შელოცვა ვიცი და არც ჯადო მაქვს...

— კი ვიცი, რაც ჯადო გაჭვთ!.. თქვენ ერთი პატარა ლექსი დამიწერეთ და ის გაძირის!..

— ლექსი?!. მერე და რა გამოვა? თუ ჩემი ლექსები მაგრე სჭრიდენ, ჩემმა თავმა ქვა მკრა?.. მე კი არავინ მომწონს თუ?!.. ამ გვარი რამეები ბევრი ვუთხარი, მაგრამ ვერ შევასმინე, ვერ დავაჯერე, აღარ მეშვებოდა: უნდა დამიწერო და ისიც კიდევ მეგრულათო! რომ აღარა გამივიდა რა, პირობა მივეცი და ძოვიშორე. მე კი დიდ განსაცდელში ჩავვარდი!.. ვამბობ: რა ვქნა, ე მეგრული ლექსი რა ნაირათ დავწერო, რომ მეგრული არ ვიცი?.. ბოლოს ვიფიქრე, მოით ერთი დავამტვრევ ქართულს და ის იქნება-მეთქი. მართლაც, სახუმროთ დავწერე შემდეგი:

სქანი თოლი ჩემი სარკე,
ჩემი გური — სქანი ტახტი,
უსქანეთ ჩემი სიცოცხლე
ჯიხა რე დო ნაობახტი.

ესე იგი.

შენი თვალი ჩემი სარკე,
ჩემი გული — შენი ტახტი,
უშენოთ ჩემი სიცოცხლე
ციხეა და ნაობახტი.

მეორე დილას რომ წავუკითხე და მივეცი, მის აღტაცებას საზღვარი აღარა ჰქონია!.. ბეჯითად შემიყვარებ-

სო,—ამბობდა. იმას აუხდა სურვილი თუ არა, არ ვიცი,
მაგრამ მე კი იმ დღევანდელ შესხმებზე უფრო სასიამოვ-
ნოთ დამირჩა იმ ბაზიერის გულ-გასხნილობა, მოძღვრულ-
მოწაფური ნდობა. აი, ამ ხისიათის კაცი ვარ, საზოგადოთ
ლხინებში მე არა ვარ ხოლმე ჩემს ქერქში და იმ დღე-
საც თელავში თავს ავაშორებდი როგორმე ჩემთვის მომ-
ზადებულ ლხინს!.. მაგრამ ნათქვამია: „სტუმარი მასპინძ-
ლის ყურმოჭრილი მონააო“ და მეც ვიახელი გულ-უხვსა
და გულ-კეთილ მასპინძლებს. მათმა გულ-წრფელობამ და
ძველებურმა მოლხენამ, წინააღმდეგ ჩემის ჩვეულებისა,
გამიტაცა და დიდათ ნასიამოვნები დავრჩი, მით უფრო,
რომ ის „მრავალუამიერი“, რომელსაც დიდი და პატარა,
ანუ როგორც დათა გუგუნავა იტყოდა ჭოლმეტ ყველა-
ყაი მღერის, არ ისმოდა და მის ნაცვლათ ნამდვილ კა-
ხურ „მრავალ ჟამიერს“ გაჰქონდა გუგუნი! ლეკურიც ძა-
ლიან გახურდა და სხვათა შორის ერთი დავლა ტიტიკო
ვახვახიშვილმაც დაუარა. ერთ დროს ის პირველი მოთა-
შაცე იყო, აღტაცებაში მომყვანი და თვალის წარმტაცი,
მაგრამ ახლა კი შესანიშნავა არტისტი როსსი მომაგონა...
ამ ორი წლის წინათ ხარკოვში შევხვდით მე და როსსი
ერთმანეთს. ჩვეულებრივი მოკითხვის შემდეგ, მკითხა ჩე-
მი შეილის პირით:

გახსოვთ ტფილისში რომ. მითხარით ერთხელ: ჩემი
დედა-ენის შემდეგ, იტალიანურ, ენას არა მირჩევნია რაო?
თუ მართალი იყო, რატომ აქამდი არ შეგისწავლიათ ის
ენა ისე, რომ მე და თქვენ დღეს თავისუფლათ შეგვძლე-
ბოდა ერთმანეთთან საუბარი?

— მაესტრო!.. არა გვყვარებიათ მისთანა ვინშე,
რომ მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა ვერ დაახლოებო-

დეთ, ხელში ვერ ჩაგეგდოსთ და გულში კი დღესაც გე-
დვასთ?..

— როგორ არა!.. როგორ არა!.. ეგ რომ არ გამო-
ეცადოს მისთანა ბედნიერი კაცი ძვირია!.. გამომიცდია
და წარმოდგენით ხომ კიდევ უფრო მეტჯერ წარმომიდ-
გენია!.. თითქმის ყველა პიესები მაგაზედ არიან დამყარე-
ბული!.. შართლა, ისევ ისე აღრინდულათ მოგწონთ ჩემი
თარჩიში?

— დღესაც ისევ ისე სწორ-უპოვარი ხართ მოხუცის
როლებში. ვის არ მოიყვანს აღტაცებაში თქვენგან გან-
ხორციეტებული მაკეტი, მეფე ლირი, მეფე ივანე—მტარ-
ვალი და სხვანი... ამ უკანასკნელში პირველათა გხედავთ
და გაოცებულიცა ვარ!..

— დღეს „რომეოს“ ვთამაშობ და ხომ მოხვალთ?

— არა!.. აღრე მინახევხართ და ახლა...

— აღარ გინდათ, რომ ილლიუზია გაიჯუჭოთ?.. ნუ
გეშინიათ!.. კიდევ ისევ ისეთი ვიქები, როგორიც გინა-
ხავარ!..

— დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ იმას სარკესა-
ვით წარმოგვიდგენთ... .

— ე. ი. გარეგნობით სრულს, მაგრამ უსულოს და
უგულოს?.. ჰმ!.. მართალი ხართ!.. სიბერე ხელს მიშლის
„რომეოს“ სიჭაბუკე შევისისხლ-ხორცო!.. მაგრამ რაც გი-
ყვარს და რასაც მთელი შენი სიცოცხლის განმავლობაში
ეტრული, ძნელი გადასაგდებია გულიდან და ძნელად
მოსაშორებელი... თუ არა, ვის გაუგონია სამოცურა-ათა
წლის ახალგაზდა და თექვსმეტი წლის მოხუციო! მითხ-
რა და ამოიხვნეშა კიდეც. ამ როსისა არ იყოს, ტიტი-
კოც ისევ ისე კარგი სანახავი იყო, რომ გამოვიდა ლე-
კურში და ძველებურათ გაშალა ხელები, მაგრამ ის კი

აკლდა, რითიც ერთ დროს არხეოლოგები თფილისში აღტაცებაში მოიყვანა და გამოჩენილ ფრხოვესაც „თქმევინა: ერთხელ კიდევ ათამაშეთო!“, ე. ი. სისწრაფე!..

მეორე დღესაც კიდევ თელავში დავრჩი, რომ ქალაქი დამეცვალიერებია და გამოვტყდები, რომ არ მიამა. ოცის წლის წინეთ რომ მინახავს, იმაზე თუ უკლია თუ არა, არა უმატნიარა! საზოგადოთ მიღებულია, რომ ქალაქზე მობმულ სოფლებს ქალაქსვე მიაწერენ. ხოლმე შესავსებლათ და აქ კი უმეტესი ნაწილი თელავისა, პირიქით, სოფელზე მიუწერიათ და მიუკერებიათ ის ნაწილი ქალაქისა, სადაც სულ ქართველები სახლობენ. ალბათ უფიქრნიათ, რომ ქართველები მაინც არ ვარგიან მოქალაქეებათ და ტყვილა-უბრალოთ ხელს მაინც აღარ შეგვიშლიან სომხობასო... მეორე კიდევ იმან გამაკვირვა, რომ ირაკლის სასახლის გალავნის ბურჯზე სომხების სამრეკლო ამოსულა სოკოსავით... ვერ გავიგე: ტორგით დარჩენიათ ვაჭრებს, თუ თვითონ პარაკლის უანდერძებია მათთვის?. თვითონ სასახლეში კი „წმინდა ნინოს“ დედათა სასწავლებელია გამართული და, სწორე მოვახსენოთ, უკეთეს დანიშნულებას ვერც მისცემდენ ამ ძველ ნაშთს... თვითონ სასწავლებელი კარგათ არის დაყენებული. ეტყობა, რომ მოვლა და ყურადღება არ აკლია. მე რომ მივედი, მაშინ აქ პარაკლისს იხდიდენ; გალობას პატარა ქალები ამპობდენ მწყობრათ და ხმატებილათ. ერთხელ „უფალო შეგვიწყალეც“ გამოურიეს და მაშინ კი შეეტყოთ ცოტა ხმის აკან კალება. ამ სასწავლებელის, ვგონებ, საშუალება აკლია და მიტომაც ვერ გასწილომია ყველა მსურველების მოვლას. მაგიერობას კერძო უფასო შეკოლები ჩადიან.. იქ დედა-ენასა და რუსულს ერთად ასწავლიან ე. ი ერთს მეორის შემწეობით

და წარმატებაც დიდია! შვენიერათ სულენ, კითხულობენ და ლაპარაკობენ, ასე გასინჯეთ, რომ გამოთქმაც კი წმინდა რუსული აქვთ. ნეტავი ერთი შივიდოდენ და თავის თვალით ნახავდენ და თავის ყურით მოისმენდენ ის პედაგოგები, რომელნიც ბუნებითი მეთოდი (ესტეატვენი მეთოდს რომ ეძახიან) უპირატესობას აძლევენ და ყმაწვილებს ტყუილა-ურალით აწვალებენ და დროს აკარგვინებენ. მაგალითად, ყვაწვილს ეუპნები ორ სიტყვას ერთად: „ვირი“ და „ასიოლა“. ამაში ერთი წუთიც არ იკარგება. ახლა ავილოთ ბუნებითი მეთოდი, რომელმაც მხოლოთ მიპარებით უნდა წარმოუდგინოს მოსწავლეს საგანი, რომ მიახერხოს. ჯერ ხელებათ ყურები უნდა გაიკეთოს, მერე დაუყრიყინოს და მერე კიდევ წიხლები ისროლოს. ცოტა დრო გაივლის, სანამდი თავს დაანახვებდეს მასწავლებელი?

თელავის ინტელიგენცია ფქიზზლათ არის, ისე, როგორც ერთს დროს გორში იყო. თავის პედაგოგიურ დანიშნულებას გულ-წრეველათ და ჭრილიტა ასრულებენ ვარეშე რამეების გადუყოლელათ. მაგრამ რაღა მარტო ინტელიგენცია, თავად-აზნაურობასაც მარშლიდან დაწყებული უბრალობდე შეუგნიათ თავისი ცუდი მდგომარეობა და ცდილობენ, რომ როგორმე თავი დაახწიონ ეკონომიურ გაჭირვებას, მაგრამ ძნელია, თუ მიმშველი და მომზრე არ ეყოლათ. ცუდათ არიან ჩათრეული და შესალტული! მაელი კახეთი ვაჭრებისა და ჩარჩების ყმებათ არის გადაჭცეული. კახელების სიმღიდრე ვენახებია და ისინიც ხომ სომხებს აქვთ გირაოთ... არა თუ მარტო მამული, თვით მემამულეთა შრომაც-კი: პატრონები მუშაობენ და მოსავალი-კი მოვალეებს მიაქვთ!..

ვისაც ჯერ კიდევ შერჩენიათ მამული, ისინიც ვერ

ასალებენ ლვინოს: ჩარჩებს პირობა აქვთ შეკრული და როგორც უნდათ, ისე მიაქვთ. თფილისში გამართულმა ამხანაგობამ ცოტათი კი გამოიხსნა ამ გაჭირვებისაგან მე-მამულენი, მაგრამ ვინ იცის, ბოლო როგორი ექნება? ჯერ კიდევ, სანამ თ. ზაქარია ჭავჭავაძე ხელს უწყობს „ამხანაგობას“ და მეთაურებიც შეგნებული ჰყავთ, არა უჭირს რა, მაგრამ ვაი, თუ მერე, როდისმე, ქართულმა ჭირმა—იმ შეჩენებულმა უთანხმოებამ, გამოუაროს და მაშინ—კი მშვიდობით კახეთის მეღვინეობის საქმევ!

თელავიდან სილნალზე წამოვედი და გზაში ბევრი სასიამოვნო არა მინახავს რა. ყველგან სთველი იყო გა-მართული, მაგრამ ლხინი და სარგებელი-კი სხვებისა იყო: თავზე მოვალეები აღგენ ყველგან და პატრონებს-კი ყურძნის ჭამის ნებაც არა ჰქონდათ!.. გზაში შემთხვევა მომეცა, რომ მენახა კნეინა ანდრონიკაშვილისა, ჩოლაყაშვილის ქალი, საზოგადოთ კახეთში მარშლის ცოლათ წოდებული, იმაზე ბევრი კარგი მქონდა გაგონილი და მართალიც გამოდგა. კნეინა ერთი იმ ძველ ქართველ ქალთა-განია, რომელიც დღეს გვენატრება: ზრდილი, დარბაისელი, სიტყვა-პასუხიანი და ყოველ კარგის თანამერქნობი. სასიამოვნოთ დამრჩა არა თუ მარტო მისი ნახვა, არამედ იმათიც-კი, ვინც მას გარს ხევიენ და მომავონდა დედიჩების დარიგება: შვილო, მეტყოდა ხოლმე, უნდა ცდილობდე კარგი ადამიანისა და კარგი საზოგადოების დაახლოებას, ისე როგორც მზისა და მთვარისას; იმათი სხივი და ნა-თელი შენც მოგხვდებაო და გამოგაჩენსო.

ერთი ღამე გზაში მამა პოლიევეჭთ კარბელაშვილისას გაყათიე, სადაც გავსინჯე მისი ქართული ბიბლიოთექა და კმაყოფილი დავრჩი. ამ საზოგადო მოღვაწე მოვთვოლება— როგორც მამა დეკანოზ ღამბაშაძეზე, ჩემ თავ-გარასავალში

ბევრი რამ მექნება მოხსენებული და მიტომაც აქ აღარას ვამბობ. მეორე დღეს სიღნაღში ამოვყავი თავი და ისე შეწუხდი, რომ ნეტავი არ მენახა-მეთქი...

სიღნაღისთანა თავ-გასული და გაბრიყვებული ქალაქი სხვა აღარსად მეგულება. იქაურ ვაჭრებს ისე შეუკრავთ ერთმანეთში პირი, სეკტანტებივით, რომ სხვას აღარავის იკარებენ. დღევანდელი გარემოებაც ხელს უმართავს მათ და ორიოდე მცხოვრები ქართველები მათში დიდ გასაჭირები არიან ჩავარდნილი და არა მარტო ეკონომიკურადაც. მათი მონებიდან გამოსვლა თუ ვინმეუ მოინდომა, იმას არ გაახარებენ. ერთი ინსპექტორი იყო, რომელიც სიმართლეს არავის დაუთმობდა და სიღნაღის ვაჭრების ნება-სურვილს ყურადღებას არ აქცევდა; გადაემტერენ და მოსვანებას არ აძლევდენ. სხვა რო ვეღარა დააკლეს რა, სასწავლებლის ფანჯრებს უმტვრევდენ: ერთხელ ესროლებს ქვა და მის პატარა შვილს თავი გაუტეხს. გამწარებული მშობლები გამოვარდენ გარეთ და დაიჭირეს დამნაშავე ქუჩის ბიჭი, რომელიც აღბათ სხვებისაგან შეგონებული იყო, და პოლიციაში დაუპირეს გაგზავნა. ახრიალდენ ვაჭრები და კინაღაშ თავზე გადაანგრიეს სასწავლებელიც! ერთი სიტყვით, სხვა ტომის ხალხის ცხოვრება ამ ქალაქში შეტათ საძნელოა. მთელ კახეთში მხოლოთ ერთად-ერთი ქიზიყია, რომ ჯერ ვაჭრებსა და ჩარჩეს ვერ მოუხერხებიათ ჩაულაპვა, თუმცა საცალს არ აკლებენ. მაგალითად, შარშან და შარშან წინ მაჩხანში ქართველებმა დეპო ლააარსეს და ვაჭრების ხაგანგებო კომიტეტმა მაშინვე საზოგადო თანხილან გამოილო ფული და ქართველების დეპოს კრიჭაში ამარცხნივ და მარჯვნივ ორი მაღაზია აუშენეს, რომ ის აღარ გაახაროს. ხშირათ გვესმის სიტყვა „ეკონომიკური ბრძოლათ“.

მაგრამ განა შეიძლება იქ ეკონომიური ბრძოლა, სადაც იარაღი და ხერხი სულ სხვა-და-სხვა ნაირია? ვინ არ იცის, საზოგადოთ სომებმა რომ ქართველის მაღაზიაში ივაჭროს, მათი კომიტეტი ჯარიმას ახდევინებს! ქართველს-კი ამ გვარი რამ ფიქრშიაც არ მოუვა. მართალია, ქიზიყშიკი სოფლელებს პირის გაკვრა ნდომებოდათ, რომ იქაურ ვაჭრებთან ნურც ლხინში და ნურც ჭირში ნულარ მივალთო, მაგრამ ეთქვათ მაგისათვის დაისჯებითო და ამათაც შეშინებოდათ და დაეჯერებიათ. სწორეთ გულმკვდარი დავჩრუნდებოდი კახეთიდან, რომ ბოდბეში წმ. ნინოს მონასტერი არ მენახა. ადრე რო სილარიბეში იყო, ის აღარსად ჩანს. ძველი ეკკლესია გაუშვენიერებიათ, ძველი ნახატებიც შეუბლალავათ დაუტოვებიათ; აუშენებიათ ახალი სიდგურები, სადაც ასამდი მონაზონი ცხოვრობს; აშენებენ ახალ ეკკლესიას, გაუშართავთ სკოლა, სადაც ახალგაზრდა ქალებს ზდიან: ასწავლიან ხელსაქნარს, ხატვას, წერა-კითხვას როკორც რუსულათ, ისე ქართულათაც და ეს სულ იქაურ იღუმენის მეცადინეობით არის. ერთად ერთი ნაკლი მხოლოთ ის არის, რომ იმ ტაძარში, სადაც ქართველების სიწმიდე და საუნჯე-წმ. ნინოს გვამია დაკრძალული და სადაც თუთხმეტი საუკუნის განმავლობაში ლვთისადმი ლოცვა-ვედრება გაისმოდა, დღეს აღარც ერთი ქართველი ფეხს აღარ ადგამს და მიზეზათ იმას ამბობენ, რომ არა გვესმის რაო. ეს მოვახსენე მე წინამძღვარს და ვთხოვე, როცა წმ. ნინოს დღეობაა, მაშინ მაინც აწირვინეთ ხალხისთვის-მეთქი. წინამძღვარმა თავი იმართლა: „მონაზნები სულ რუსეთიდან მყავს ჩამოყვანილი, ქართული არ იციან, ქართველები კი არ დადიან და ვილასთვის არის საჭირო ქართული

წირვა-ლოცვაო? — „თქვენ აწირვინეთ ქართულათ და ნახავთ თუ ხალხი არ მოვა-მეთქი“ — შევუბრუნე სიტყვა.

„განა ვერა ვხედავო, მიპასუხა, სხვეგიც ბევრი არიან საყდრები და ტაძრები, საღაც ქართულათ სწირავენ და ხალხი მაინც არ დაიარებაო.“ ეს სწორეთ მართალი მითხრა. დღეს სარწმუნოებაზე თან-და-თან გულგრილდება ქართველი ხალხი... ამას, რასაკვირველია, მიზეზი აქვს და აშ მიზეზს რომ გამოიკვლევდენ და ყურადღებას მიაქციებდენ, მადლია. წრეულ კახეთში ერთს სოფელში, ახმეტაში, აჯდგომა კვირის მაგივრათ სამშაბათს გათენებიათ!.. მხოლოთ სამშაბათს შემოუვლიათ ლიტანია, „ქრისტე აღსდგაც“ მაშინ უთქვამთ და მაშინ გაუხსნილებიათ. ეს სამწუხარო და იმავ დროს სასაცილო საქმე ვისი ზრალია? მხოლოთ გარემოების და სხვისი არავისი.

ძველათ ქართველი მღვდლები მონასტრებში იზრდებოდენ. იმათ არც ფილოსოფიის კლასი ჰქონდათ გამოვლილი და არც მსოფლიო პოლიტიკისა გაეგებოდათ რა, მაგრამ საღმვრთო წერილი-კი ზედ მიწევნით იცოდენ, ჯაფასა და შრომას იყვენ მიჩვეული, ბევრის ატანა შეეძლოთ და ცოტას ჯერდებოდენ. რა მაგისთანა პატარა სოფელი ყოფილიყო, მაინც თავისი საკუთარი მღვდლი ჰყავდათ და მღვდელიც კმაყოფილი იყო. დღევანდელ მღვდლებს-კი მეტი ხარჯი უნდებათ და პატარ-პატარა სოფლები აღარა ყოფნისთ. ამიტომაც ერთ სოფელს მეორეზე აკერებენ, რომ სამყოფი მრევლი შეადგინონ ხოლმე. ამ გვარი მოძღვარი ყველა სოფელს ერთსა და იმავე დღეს ვერ გასწვდება, ხან ერთგან სწირავს და ხან მეორეგან და, აი, ახმეტასაც, უთუოდ ამიტომ რგობია აღდგომის წირვა მხოლოთ სამშაბათს. ბევრს რამეს ვიტყოდით, რომ გვეთქმოდეს და ახლა-კი მხოლოთ იმას

ვიტყვათ, რომ დღევანდელი ქართველების გულ-გრილობა გასაკვირვლათ მიგვაჩნია, მით უფრო, რომ თუთხმეტი საუკუნის განმავლობაში რჯულზე მტკიცეთ იდგენ ჩვენი ძველები. რა არ აუტანიათ იმათ თათრებისაგან, მაგრამ ვერც ტანჯვითა და ვერც მოფერებით რჯულზე ხელი ვერ ააღებიეს! მხოლოდ ერთხელ-კი კათოლიკეთა მღვდლების მეცადინეობამ კინალამ შეუცვალა გული. ისინი შემოვიდენ საქართველოში მოყვრულათ. თავდაპირველათ ხალხს ძალიან ეჯავრებოდა ისინი და ცუდი აზრიც ჰქონდათ მათზე, მაგრამ იმათმა კეთილმა და მეგობრულმა ქცევამ ნელ-ნელა მიიზიდა ხალხი. ფრანგის მღვდლები ცდილობდენ, რომ არავითარი შეურაცხყოფა არ მიეყენებიათ ხალხის თავმოყვარეობისათვის. პირ-აქეთ, შეისწავლეს ხალხის ენა, ვითომ და შეითვისეს მათი ზნე-ჩვეულება, დადიოდენ მათ საყდარში და ისე აჩვენებდენ თავს, რომ ბოლოს და ბოლოს ხალხმაც შეითვისა და შეიყვარა ისინი. მათაც გამართეს სკოლები, აქწავლიდენ ყმაწვილებს, მშობლიურიდან გადაჰყავდათ უცხოზე და რომ ერთ უბრალო გარემოებას არ შეეშალა ხელი, დღეს საქართველო გაფრანგებული იქნებოდა. აი, როგორ გასჭრა ჭკუამ და როგორ უნაყოფოთ ჩაიარა ძველათ თათრების უჭიურ ძალ-დატანებამ. დღეს, ღვთის მაღლით, ამ გვარი არა გვიჭირს რა: მართლ-მაღიდებელი რუსეთია მფარველი ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ეკლესიაც ისევ ძველებურათ ამაღლდება, იმედია, და ხალხიც არ დაკარგავს სარწმუნოებას, რომ ღმერთიც აღიდოს და მფარველიც მოიხსენოს.

მწყემსის სიმღერა

შენ, ჩემო ძრობავ, შვინდაო,
საკვები ალარ გინდაო:
ზაფხული კარზე მოგვადგა,
ცამ ლურჯათ მოიწმინდაო.

გაგდენი საბალაპოზე,
თან წამოგუვები მეცაო;
მირს ღედა-მიწა ბიბინებს
და დაგვქათქათებს ზეცაო.

იქ წეალი ჩამოჩუხჩუხებს
უკვდავებისა-წეაროთო,
შენ იმ ბუნების სიუხვით,
მე შენით გავიხაროთო!

გაძლები, გასისინდები,
ზურგზე დაიჯენ ღარსაო,
გავიფრთხილდები თვალის ჩინს,
შემოგევლები გარსაო.

დაქმსგავსები ირემსა,
კისერსაც მოიღერებო...
ნუ გეშინია ნადირის,
ხელ-ძარჯვეთ მოგიგერებო!..

ზაფხულიც მალე გაირბენს,
იქ არ დავოჩებით დიდ სანსო;
წეველას უმატებ, ერთგულო,
გამოიტიპნი ჰიქანიო.

წბოსაც ეყოფა, ოჭახსაც
ეგ შენი მონაწეველიო,
არ დაგვაკლდება ზამთრისთვის
ერბო და ხაჭოუველიო.

მადლი შენს გამჩენს, შვინდაო!
დღეს მეტი რაღა გვინდაო?
ზაფხული კარზე მოგვადგა,
ცამ ლურჯათ მოიწმინდა!..

მცირე შენიშვნა

ბატ. კიტა აბაშიძის საპასუხოთ „კვალის“ № 46 დაბეჭილია ერთი შესანიშნავი სტატია, რომელიც სხვა და სხვა დასებზე მსჯელობს და სხვათა შორის მეც მიხსენიებს მეორე დასის მეთაურად. ნათქვამია: „რაც არ მერგებაო, არც შემერგებაო.“ მე ჩემ დღეში არა თუ მეთაური, უბრალო წევრიც არ ვყოფილვარ რომელისამე დასისა, მით უფრო, რომ ეს დასები არსად მინახავს. შემინიშნავს მხოლოთ ამ ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენ ახალგაზღებში, თვითო-ოროლა მოღვაწე ამა თუ იმ საზოგადო რომელსამე საქმეს რომ ხელს ჰყიდებდა და მასთან ერთად სხვებიც იჯგუფებოდენ ხოლმე მისივე ფეხის აყოლით. მაგრამ ყოველივე ეს ხომ შემთხვევითი მოვლენა იყო, გარეშე მიმბარიბით აღძრული, ხან-მოკლე და უნიადაგო და თავის თავად-კიფებ-მოუკიდებელი. ამათთან მე საერთო, გარდა შორეული თანა-გრძნობისა და მეგანგაშეობისა, არ მქონია რა: მათი კარგი ყოველივე მიხაროდა, მომწონდა და ვაქებდი... ცუდი მწყინდა და წუნსა ვდებდი. იმ თავითვე ისე, როგორც დღესაც, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ, ჩვენდა საუბედუროთ, ჯერ-ჯერობით შეერთებული შრომა ჩვენში მოუხერხებელია!.. ერთს შეუძლია გააკეთოს რამ, მაგრამ თუ იმავე საქმეში სხვებიც ამოიყენა გვერდით და საზიაროდ გახადა საქმე, მაშინ კი სახეირო აღარა გამოვა რა და შეიძლება კიდეც, რომ იმ სასარგებლო

საქმემ სავნებელიც გამოიწვიოს. ამისი მაგალითები წინ ბევრი გვიძევს. აა, სწორეთ ამ მოსაზრებით მეც განზე ვიდექ და სხვების ფერხულში არ ვერეოდი. თუ კი რა-სმე შევძლებდი და მოვახერხებდი ჩემდა თავად — ვშრომო-ბდი.. მივდიოდი თავისუფლად ერთხელვე არჩეული გზით, არცა რა ვისი ბატონობა მსურდა და არც ყმობა; ვისაც იმავე გზით მიმავალს ვნახავდი, რა გზითაც მე მივდიო-დი, და სანამ ჩემ გვერდით იქნებოდა, მეც ის, რასაკვი-რველია, ამხანაგათ და ჩემიანათ მიმაჩნდა. ჩემი მტერ-მო-ყვარეობაც იმაშივე ისახებოდა, თვარა თამამად შემიძლია ვთქვა, საპირადო და კერძო არავისთან რა მქონია. ეს ჩემი კრძალვა-მორიდება და გამარტოება მაშინდელ წრე-ებისათვის გაუგებარი იყო და მათგან ჩემი ათვალწუნებაც ამის მიზეზი უნდა ყოფილიყოს. ერთხანს უნიჭოთ მთვლი-დენ და დამცინოდენ. ბოლოს, როცა ხალხმა მათ აღარ დაუჯერა, ნიჭიე აღარას ამბობდენ, მეგრავ ჩემს უმეც-რებას, გაუვითარებლობას და სიჩარმაცეს კი ძალიან შე-თანხმებით უკიუინებდენ. მეც ჩემის მხრით იმათ ისე ვუ-ყუჩებდი, როგორც უდროვოთ შემოსულ ხილს, რომ-ლის ნააღრი დამწიფება ხშირად ჭიის ბრალია ხოლმე. ეს ორი მიზეზი საკმაო იყო, რომ ჩვენში ერთობის კავ-შირი გაწყვეტილი ყოფილიყო. ისინი მოღვაწეობდენ თფილისში: გამოსცეს უურნალი, გახსნეს სტამბა, გამარ-თეს ბიბლიოთეკა და თავისებურათ შეუდგენ ახალგაზ-დობის წროვნა-განათლებას. მე კი იმ დროს იმერეთისა-კენ ვჩხირ-კედელაობდი.

მაშინ სწორეთ ის წრე ტრიალებდა თფილისში, რომელსაც გ. წერეთელი მეორე დასათ აღიარებს. იმ წრის მეთაურად, ანუ უფრო მართალი იქნება ვთქვათ, მეუფროსეთ ნ. ნიკოლაძე ითვლებოდა და ვაი მისი ბრა-

ლი, ვინც მის ჭიანურზე ბუქნას არ დაუვლიდა და გა-
დაუხვევდა!.. საზოგადოთ ჩვენი ინტელიგენციის შესახებ
ამ ორმოცი წლის განმავლობაში და კერძოთ ბატ. ნ.
ნიკოლაძის წრის შესახებაც დაწვლილებითა მაქვს მოხ-
სენებული ბევრი რამ „ჩემ თავ-გადასავალში“ და აქ მხო-
ლოთ გაკვრით ვიხსენიებ მცირე რამეს მის დასამტკიცე-
ბლათ, რომ მე იმ წრეში არა ვყოფილვარ. ამას გ. წე-
რეთელიც ამბობს: „აკაკი მერე შემოგვიერთდაო“, მაგრამ
ესეც პატარა შეცდომაა:

მაშინდელი ჩვენი ერთად ყოფნა დროებითი, უცა-
ბედი შეხვდერა იყო და არა შეთანხმებით შეერთება.
აი, როგორ მოხდა ეს: ერთხელ ქუთაისიდან მცირე რა-
მეზე შენიშვნა გამოვგზავნე გაზეთში დასაბეჭდათ და კი-
დეც დაიბეჭდა „დროების“ № 20 1870 წ. სტატიაზე
ხელი არა მქონია მოწერილი. იმ წერილმა დიდი დავი-
დარაბა ასტეხა ჩვენში. მაშინდელ ახალთაობასაც მოსწო-
ნებოდა ტფილისში და ნიკოლაძის დაწერილათ მიეღოთ
ნიკოლაძეს კი გაეგო ვისიც იყო. იმ ხანებში ჩამოვიდა
ქუთაისში და მნახა. მაშინ ნიკოლაძე მე ძალიან მიყვარ-
და, როგორც ცოცხალი, ენერგიით სავსე და საიმედო
ახალგაზდა. ბევრი რამ არ მომწონდა მისი, ბევრშიც არ
ვეთანხმებოდი, მაგრამ გულში ამას ვამბობდი: არაფე-
რია, ჯერ კიდევ ყმაწვილია, სისხლი არ ასვენებს, ერთ
დროს ჩადგება სწორ-კალაპოტში, ეკალი გასცვივა და
ვარდი დაგვრჩება-მეთქი. და ამ რწმენითაც აიხსნება ჩე-
მი და ნიკოლაძის მაშინდელი მტერ-მოყვრული ერთსა
და იმავე დროს განწყობილება. იმ დღესაც მტერ-მოყ-
ვრულათ შევხვდით ერთმანეთს და, სხვათა შორის, მოხო-
ვა: „გაზეთში მონაწილეობა მიიღე და ფელეტონები მო-
გვაწოდე ხოლმეო...“ მეც შემდეგის პირობით დავეთან-
გვაწოდე ხოლმეო...

ხმე: მე არ უნდა დავმორჩილებოდი რედაქტიის „შიგნი-თურ“ კანონებს, ჩემ ნაწერებს ხელს ვერ შეახებდა რე-დაქტია, ვერც გადასწორებდა და ვერც გადაკეთებდა. რომელზედაც თანახმა არ იქნებოდა, იმ სტატიის შე-სახებ თავისი საკუთარი აზრი უნდა წარმოეთქვა იმავ გაზეთ ში. დავთანხმდით და „დროების“ № 97. 1871 წ. კიდეც დაიბეჭდა ჩემი პირველი „ცხელ-ცხელი ამბები“ რედაქტიის შენიშვნით. აი, რასა სწერდა ნ. ნიკოლაძე სხოლიოში:

„თ. აკ. წერეთელი დაგვპირდა ჩვენ ხანდისხან ფელეტო-ნებისა და სხვა-და-სხვა შენიშვნების გზავნას ამ რუბრი-კით: „ცხელ-ცხელი ამბები“. ჩვენ სიამოვნებით ვაძლევთ და მივსცემთ კვალადაც ადგილს მის ნაწერებს, თუმცა ძლიერ, ხშირად ისიც შეგვხვდება, რომ ჩვენ მის აზრს არ ვეთანხმებოდეთ და მის ნაწერებს არ თანავუგრნობ-დეთ. მკითხველი ამ შემთხვევაში დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენ სხვათა შორის აზრთ აგვაქვს ხმის ამო-სალები ასპარეზი მივცეთ იმისთანა მწერალს, როგორიც აკ. წერეთელია“ ამას შემდეგ მე ჩემ პირობაზე ვიდექ და ისინიც თავისას არ იშლიდენ: ხშირად გვქონდა ხოლმე ერთმანეთში კამათი, რომელისამე საქმის შესახე. ჩვენ მტერ-მოყვრობას ორის წლის განმავლობაში ხელს გარეშე არა უშლიდა რა. მხოლოდ 1873 „დროების“ № 46-ში და-იბეჭდა ჩემი შენიშვნა კაცხის გლეხების შესახებ. რედაქ-ტიამ თეორიულის მხრით შეხედა ამ საქმეს, მე კი, თეო-რიის საზოგადოთ არა უარ-მყოფელი, ამ შემთხვევაში პრაქტიკულის მხრით ვუყურებდი. ჩვენმა უთანხმობამ გამოიწვია უსიამოვნობა და რადგანაც რედაქტიამ უარი განაცხადა ჩემი საპასუხო წერილების ბეჭდვაზე, მეც სრუ-ლიად ჩამოვშორდი რედაქტიას და აღარა მიბეჭდვინებია რა-მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ, როცა რედაქტიის წე-

ვრები წავიდ-წამოვიდენ და „დროება“ დარჩა მარტო
სკრეპი მესხის ხელში, მაშინ მივუბრუნდი ისევ და ვეხმა-
რებოდი იმ კაცს, რომელმაც გამიცნო და თავისი აღ-
რინდელი სხვების ხმის აყოლა თითონვე იჩითირა და
მეგობრულათ მთხოვა, რომ მასთან მეც მეშრომა. აი, ეს
გახლდათ სულ და ამ გვარი ჩემი მონაწილეობა წრეებში
და რაც შეეხება „დასობას“, კიდევ აღვიარებ, რომ ის
ინტელიგენტიური დასები, ხალხის ცხოვრებაში რომ
კვალს ავლებენ და ჩამომავლობას ერთ რომელსამე გადა-
ჭრილ გზაზე აყენებენ, მე ჯერ-ჯერობით არც კი შემი-
ნიშნავს და, მაში, მეთაურობას როგორლა გავუწევდი ან
ერთსა და ან მეორეს?

† სამძიმელი

ოკ ნოემბერს დაასაფლავეს სიონის ტაძარში კნეინა ქეთევან გიორგის ასული ორბელიანისა, დიდი ოჯახის შვილი და არა ნაკლებ ოჯახისავე რჩალი. ეს შესანიშნანი მოხუცი მოწამე იყო ყოველ-გვარი იმ ცვლილებისა, რომელიც-კი შემოუღიათ ჩვენში ამ საუკუნის განმავლობაში და შეგნებულადაც ჰქონდა გათვალისწინებული, როგორც ჩვენი წარსული, ისე აწმყო და, შეიძლება, მომავალიც. ის ეკუთვნოდა იმ ქართველების გუნდს, რომელთაც თავის მცნებათა აქვთ აღსაჩენებული რუსეთთან საქერთველოსი სიყვარულით შეკავშირება და ოქროს ჯაჭვითა და არა ჩინოვნიკური გრეხილით გადაბმა. მთავრობისაგან პატივცემული, ხალხის საყვარელიც იყო და ის სიყვარული იხატებოდა იმის უბრალო, უტიტულოთ სახელწოდებაშივე: „კნეინა ქეთევანი“ რომ ახსენებდენ, მთელმა აღმოსავლეთის ქართველობამ იცოდა, თუ ვინ იყო ის „ქეთევანი“. განსვენებული განკერძოებითს მოვლენას არ წარმოადგენდა საზოგადოთ ქართველ ქალებში. ეს იყო მხოლოთ უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველი დედებისა, რომელთაც დღეს ვეღარა ვხედავთ და რომელთა თვისებას შეაღგენდა მახვილი და გამჭრიახი გრძნობა-გონება, ხასიათის სიმტკიცით დაგვირგვინებული. გარდა სხეულის დაჩაგვრისა, სიბერემ ვერა დააკლო რა და, იმ თავიდან ამ ბოლომდე განსვენებულს არ უმტყუნია თავის ზე-ჩვეულებისა-თვის. გულ-წრფელი და სიმართლის დროს შეუპოვარი,

კარგათ არჩევდა ავსა და კარგს და თავის საკუთარ მსჯავ-
რსაც უშიშრათ სდებდა: მოსაწონს აქებდა და დასა-
წუნს—აძაგებდა. ერთხელ, წირვის ღროს, ეკულესიაში
მივიდენ მასთან და უთხრეს: „ჩამოდექით, მანდ თქვენი
ალაგი არ არის!“ შეხედა მშვიდობიანათ და წყნარათ
უპასუხა: „აქ არის შესაკრებელი უფლისა, რომლის წი-
ნაშეც უველა თანასწორია. მე ვადგივარ თავზე ჩემი თა-
ნა მემცხედრის საფლავს და ლმერთს ვავედრებო!“ ერთ-
ხელ კიდევ ჰქითხეს: ქეთევან, რას იტყვი ახლანდელ
ქალებზე, როგორ მოგწონსო? გაიცინა და თქვა: „რა
უნდა მოგახსენოთ? ძველი ქალი ვარ და ახალი რომ
ალარა მომწონდეს რა, განა გაგიკვირდებათ? ჩვენ სულ
სხვებ ვიყავით გაზრდილი და ესენი-კი სულ სხვა ნაირათ
იზრდებიან. ჩვენ დროში უსაქმურათ შინიდან ფეხის გა-
დგმა და აქეთ-იქით ხეტიალი დიდი სირცევილი იყო!..
მასსოვს კარგათ, ერთი უცხო სახლობა ჩამოგვერია, იმ
ოჯახში ქალებიცა და კაცებიც ნაადრი იყვენ, ე. ი. მა-
შინ მარტო ისინი იქცეოდენ ისე, როგორც დღეს უვე-
ლა: გათენდებოდა თუ არა, მოირთვოდენ, მოიკაზმოდენ
და... ერიპა!.. გაუდგებოდენ გზას. „სად დადიან? სად
არიან?“ ვკითხულობდი და „საგულაოთო“ გვეუბნებო-
დენ. რა საქმეა და რა ხელობა ეს რაღაც „გულაობაა“?
ვეკითხებოდით ერთმანეთს მაშინდელი ქართველი ქალე-
ბი და ვერა გაგვეგორა!!!..

მოატანა ზამთარმა დადგა ჩვეულებრივი ტალახი და
ლაფი, როცა კარგი ძალლიც-კი ძნელი გასამეტებელია.
კარში გასაგდებათ. ვაშბობთ: მაღლობა ლმერთს, ახლა

მაინც უგება შეისვენონ იმ ტრახუნა ქალებმა!.. მაგრამ
რა ბძანებაა?.. ისინი კიდევ მაინც თავისას არ იშლიან:
სტოპავენ ამ დიდ-ლაფში დილიდან საღამომდე. ჩვენ
ავდექით და იმ ქალებს „ლაფი-ტოპია“ დავარქვით. რა
ვიცოდით მაშინ, რომ ეს თურმე განათლებაა და ოდეს-
მე ჩვენს ქალებსაც მისთანვე განათლება მოელოდაო?!.
ამისთანაები ბევრი რამ და კიდევ უფრო საგულისხმოც,
ბევრი ისმოდა კნეინა ქეთევანის პირიდან, მაგრამ ყველა
რომ მოვიხსენიოთ დღეს აქ, გარემოება ნების არ გვა-
ძლებს, იმედია, რომ უფრო ხრული და ურცელი ბიო-
გრაფია განსვენებულისა დაიბეჭდება და გამოქვეყნებუ-
ლიც იქნება. დღეს-კი მხოლოდ გაკვრით ვიხსენიებთ
მცირე რამეებს. ამბობენ, სიცოცხლეში ხშირათ ინატ-
რებდა ხოლმე განსვენებული, რომ ნეტავი იკორთაში
დამმარხავდენო! ეს ნატვრა უსაფუძვლო არ არის და
კიდეც შეეფერებოდა განსვენებულს. „იკორთა“ ერთი
იმ ძველ ტაძრებ-მონასტრებთაგანის ნაშთია, სადაც არა
თუ მარტო ერისთვებთა გვარეულობის ისტორია, თვით
მთელი საქართველოსიც-კი დიდებულათ დაკრძალულია.
აქ არის გმირთა სავანე და მათში ურევია წმიდა ნაწი-
ლები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთვებისა, ბიძინა
ჩოლოყაშვილთან ერთად რომ ეწამენ შავ-აბაზისაგან და
მოწამეთათანაც შეირიცხენ. ესენი ყველა განსვენებული
ქეთევანის წინაპრები იყვენ და მათთან ერთად განსვენე-
ბა და გვერდით დასაფლავება დიახ სანატრელი იქნებო-
და ქართველ-ქალისათვის. მაგრამ ჩვენ დღეს აღარც-კი
ვიცით რა არის „იკორთა“ და მისთანაები და ან სად
რა საუნჯე-სამკაულია ჩვენი?! მაგიერათ შესწავლილი
გვაქვს ტროტუარის პირზე, გაღმა-გამოღმა, მაღაზიები,
ვიცით რა აწყვია ჩარახჩიანის მაღაზიაში და რა მოუტანია

ბერლემონს! კალენდარიც გვიჭირავს ხელში, რომ დღევან-
დელი გმირების დღეობა არ გამოვეპაროს და ამ მაღაზი-
ებიდანაც მისალოცავი საჩუქრები გამოვიტანოთ ხოლმე
მამი-სისხლათ შეძნილი. განსვენებულს დიდ-ძალი შეძ-
ლება დარჩა და გონივრულათაც გაუნაწილა მემკვიდრე-
ებს. არც საზოგადო საქმე დავიწყებია და ასი თუმანი უან-
დერძებია „ქართული დრამატიული საზოგადოებისათვის.“
ეს შესაწირი მის ქონებასთან იგივეა, რაც ზღვაში ერთი
წვეთი, მაგრამ ეს ერთი წვეთიც-კი დღევანდელ დღეს
დიდ-მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადო ცხოვრებისათვის.
დღეს-დღეობით ქართველებს არა გვაქს შეგნებული, თუ რა
მნიშვნელობა აქვს „საეროსა“ და „საზოგადო“ საქმეს.
ქართველი არა თუ სიცოცხლეში, სიკვდილის შემ-
დეგაც, როცა მისი შეძლება და ქონება საიმქვეყნო ხა-
გძლათა და ბარგათ აღარ მიჰყება, არას ტოვებს საქველ-
მოქმედოთ. რამდენი მაგალითი ყოფილა, ამა თუ იმ შე-
ძლებულ ქართველს პირდაპირი მემკვიდრე რომ აღარ
დარჩენია, გარეშეებასათვის დაეგდოს მისი ადგილ-მაული და
ამ ნაანდერძევს უსიამოენობაც გამოეწვიოს: მემკვიდრეებს
შორის მოხხდარიყოს ერთი უსიამოენობა, ერთი შუოთი,
ვაი-უბედურება და განსვენებულის არა თუ სული, ხორ-
ციელათ სახელიც საწყევრათ გამხდარიყო!... და
ეს მით უფრო გასაკვირველია ჩვენში, რომ ქართველი
საზოგადოთ გულ-უხვია და უზომოთ მფანტავი... სხვა
ქვეყნებში რომ არ გადავიდეთ, საკმაოა შევხედოთ სომ-
ხებს: მათში მისთანა არავინ მოკვდება არც მდიდარი და
არც ღარიბი, რომ ცოტა რამ წვლილი მაინც არ დააგდოს
ქვეყნის სასარგებლოთ. ზოგიერთები ამბობენ, რომ
ეს ჩვეულება არც ჩვენ წინაპრებს ჰქონიათო, მაგრამ
შემცდარი აზრია. ქართველებს გვქონდა მონასტრები სხვა-

და-სხვა ქვეყნებში, — მაგალითად: იერუსალიმში, ანტიო-
ქიაში, შავ-მთაში და კიდევ მრავალგან მცირე აზიაში; აქ
ცხოვრებდენ ქართველი ბერები, ჰერინდათ სკოლები, საიდა-
ნაც უკეთესი ქართველი მაძულის-შვილები გამოდიოდენ!
ვინ იყვნენ სირიელი მამები, შავთელები, ათონლები, იერუ-
სალიმლები და სხვები, თუ არ იქ გაწვრთნილ-გამოზღიული
ქართველები? ამ მონასტრებს, ამ სკოლებს დიდ-ძალ ყმასა
და მამულს სწირავდენ ჩვენი ძველები და მით ქვეყანას
და ქვეყნის საქმეს სამსახურს უწევდენ. დღეს, მართალია,
ის იმათი ანდერძი და შესაწირი ჩვენთვის გამოსადევი
აღარ არის, მაგრამ ეს უბრალო გამოურკვეველობის
ბრალია და არა მათი. ის ტაძრები, ღროთა ვითარების
მიხედვით, სხვებმა ჩამოგვართვეს, ჩვენი იქ აღარც ბერე-
ბი არიან, ქართულად ქვეყნის ლვითისადმი მავედრებელნი,
აღარც ქართული სკოლებია და შეწირული მამულები-კი
დღესაც მათვე უჭირავთ. ხელში და სარგებლობენ!.. აბა,
ჰყითხეთ ჯვარის მამებს: სად და რილასთვის შეგაქვთ
ჩვენი ქვეყნიდან შესაწირი მაშინ, როდესაც იქ აღარც
ჩვენი ვინმეა და აღარც სკოლები გაქვთ ჩვენი შვილე-
ბის გამოსაზრდელათ-თქო? უეჭველია, ვერას გიპასუხევენ.
დღეს, როდესაც ჩვენი შვილები შინვე, რუსეთში, იზრ-
დებიან, რატომ ის შესაწირიც აქვე არ უნდა იხარჯე-
ბოდეს? იმ შემოსავლიდან რომ რამოდენიმე სტიპენ-
დია აკადემიებში და უნივერსიტეტებში გვქონდეს დად-
გენილი, გვაწყენდა? მაგრამ აქ ამაზე ჩვენ არ გვალა-
პარაკებენ და ესეც, რაცა ვთქვით, ვთქვით მხოლოთ
მის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენი ძველები ჩვენ არა
გვგავდენ და საქვეყნო ანდერძიც იცოდენ. დღეს-კი
საღლა არის ეს წმინდა მოვალეობა და შეგნება? სა-
სულიერო წოდებაში იმერეთში მხოლოთ ნეტარ-ხსენე-

ბული გაბრიელ ეპისკოპოსი იყო და აქ, ამერეთში, ყოვლად
სამღვდელო ალექსანდრე, რომ უკანასკნელ თავის შეძლე-
ბასაც-კი საზოგადო საქმეს ახმარებენ. ერთს კაცებში-კი ამ
ორი წლის წინეთ თ. გიგო წერეთელმა გვიჩვენა მაგალი-
თი: ასი თუმანი შესწირა საქველ-მოქმედოთ, საიდანაც ოცი
თუმანი ზეპირსიტყვაობის საქმესაც ერგო. აქაც თ. ნ. ჭავ-
ჭავაძემ და ერთმა-ორმა სხვამაც შემთხვევით გაიხსენიეს სა-
ზოგადო საქმე და მითი მორჩა და გათავდა. განსვენე-
ბულმა ქეთევანმა რომ თეატრი არ დაივიწყა და ის
მცირე წვლილი დაუგდო, კარგი ჰქნა და აქაც გონივ-
რულათ მოიქცა. ადრე ისე სასირცხვილოთ მიაჩნდათ ჩვენში
თეატრიში სცენაზე გამოსვლა, რომ თავის მოქრა ეგონათ.
ვორონცოვის დროს რომ „გაყრა“ ითამაშეს, პირველი
მაგალითი კნეინა ქეთევანმა უჩვენა ყველას: ითამაშა
და მით აგრძნობინა სხვებსაც, რომ აქ სასირცხვო არა
არის რაო. დღეს, როდესაც ჩვენი ქალები სხვა თეა-
ტრებში დაცუნცულობენ, ქართულს-კი გაურბიან და
მიზეზადაც იმას იგონებენ, რომ კარგათ ვერ თამაშობდნო
და ან იმას, რომ ქართული არ გვესმისო — კნეინა ქე-
თევანის ანდერძი დიდი საგულისხმოა, თუ მიხვდებიან.
ლერთმა საუკუნო განსვენება ნუ მოუშალოს ერთად იმ
ჩვენ საქებ დედებთან კნეინა ქეთევანს!

ପ୍ରତିବନ୍ଦ ପାତେ

ଶ୍ରୀମତୀ ମୃଦୁଲୀ ପାତେ କର୍ମଚାରୀ ପାତେ

ქახეთის მეფე, თეიმურაზ ॥
 დედოფალი თამარ, მისი მეუღლე
 პატარა-გახი, მათი ძე—მემკვიდრე
 თ-დი გიგი ჩოლანაშვილი, პატარა კახის გამზღვილი
 თ-დი ლევან ქვაბულიძე
 თ-დი რევაზ ბებურიშვილი
 მწევემსი
 გლეხი, მოხუცა ბრძანა, გელად წოდებული
 ცურჭა, მისი ქალი
 თედო რამაზიშვილი, რევაზის მსახური
 ელენე, ლევანის და
 თ დი ბაადურ-გუბი
 მუშები
 შიკრიკები
 და
 ამალა.

მოქადაგა პირველი

დიღი ტყე, წინ ვაკით. შორით უზარ-მაზარი მთები მოსჩანან. ერთ
ჰატარა გორაზე ზის მწყემსი და სალამურს უკრავს.

გამოსვლა I-ლი

მწყემსი (ჩამოდის ვაკეზე და მარჯვენივ
ტყისკენ იყურება).

დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან!
მაგრამ სალამურს თუ მოჰკრა ყური,
ან დამატურის ძალით გამოსწევს
აქეთკენ მის გულს ხმა უცნაური.

(დაფიქრდება. ნაღვლიანი ღიმილით)

ვინ ქვაბულიძე და ვინ მეცხვარე?!
იქ, ბარში, ყველა ჩემი ტოლები
მტრებში ვეფხვივით დანავარდობენ,
და მე კი ცხვარში აქ ვიმალები!..
ისინი მტრის სისხლს ჰლვრიან უწყალოთ,
ზიზლით ევსებათ მრისხანე გული,
მე კი, ქალივით, აქ ცრემლებს ვაფრქვევ
და სიყვარულით მიძგერს გლახ-გული!..
მერე როგორ დროს? მაშინ, როდესაც
სხვა უდიდესი წინ გვიძევს ვალი!.. (დაფიქრდება)

მაგრამ ეს მოხდა ჩემ უნებურათ,
გულთა მხილავო, და არ მაქვს ბრალი!..
კიდევ არ სჩანან... ეგებ წავიდენ,
გაიარეს და ვერ მოვჰკარ თვალი?
აჲ, ღმერთო ჩემო! ჯერ უმისოდაც
დაბნეული მაქვს მე გზა და კვალი!

(მიბრუნდება და მაყვალს დაუწყებს კრეფა).

გამოსვლა წ-რე

ბრძან მოხუცი და სხალგაზდა ქალი

მოხუცი

აქ შევისვენოთ.
ქალი (აქეთ იქით იყურება)

სწორი, ვაკეა... ჩრდილიც ყოფილა...
წამოწექ!.. მუხლზე დამადევ თავი
და დაიძინე!.. აქ კიდეც გრილა.

მოხუცი

მუხლზე? კი, მაგრამ პომ გეტკინება?
ქალი
მაშ, ქვას მოჟოტან...? ჭალმე იქნება...

მოხუცი.

აშ! არა, შვილო, რა საჭიროა,
უსასთუმღლოთაც დამეძინება (ჯდება).
საკვირველია, თითქოს გაგძელდა
ეს პატარა გზა დღეს ერთი ორათ!
ამასთან კიდევ მხარიც მომექცა
და მომეჩვენა უსწორ-მასწორათ!.. (ამთქნარებს)
ასე სცოდნია თურმე სიბერებს:
დააუძლურებს თვალებსა და ყურს...
ერთი ხანია ყურიც მიწივის,
თითქოს უკრავდენ საღლაც სალამურის!

ქალი (გაწითლდება).

ემ, მამავ, მართლაც სალამურია.

მოხუცა

სალამურია?! მერე ვინ უკრავს
იმ დროს, როდესაც ურიცხვი მტერი
ამ ჩვენს ქეყუანას გარშემო აკრავს?!..
მაშინ, როდესაც ბარში ქვრივ ობლებს
მტრები მუსრვენ და სარჩე აგებენ,
აქედან ჩვენი ეს მთიულები
სალამურის კვრით უპასუხებენ?!..

ქალი

მწყემსები უკვრენ და თჯვს იქცევენ;
ხელში კოშტლებით აქ უდგიშ ცხვრებს.

მოხუცი

ეგ უკეთესი!.. ვაჲ, ჩემს მოსწრებას!..
 რა ესმის ამ ჩემს დასადგომ ყურებს?..
 ამისთანა ღროს იმ შერცხვენილებს
 რა ემწყემსებათ და რა ეცხვრებათ?!
 გაშინ, როდესაც იმათ მოძმეებს
 მძიმე ბორკილი ფეხში ეყრებათ... (დაფიქტდება)
 ეჲ, თეიმურაზ! რა მტყუანი ხარ,
 რომ მოაშურე ამ მთის სიმაგრეს,
 და ბარელები ოხრად დაჲყარე,
 რომ არ უყურო იმათ სიმწარეს!..
 შენ რომ გულს იტეხ, მტერი თამამობს
 და შეუპოვრათ ქართველს აძრობს ტყავს!..
 დამნაშავე ხარ!.. მაგრამ მეფე ხარ
 და ვინ რას გეტყვის? ვინ რას მოგკითხავს?..

ქალი

კარგია, მამავ! მაგდენს რომ შფოთავ,
 კიდევაც მიტომ არ გეძინება.

მოხუცი

მგზვრმა რა ვითხრა? ქოშის გორამდე
 მისასვლელი გზა შორი იქნება?

ქალი

არა!.. ასე თქვა: „აგერ არისო!“
 თუ მართალია და არ მოჭორა!.. (სიჩუმე)

მამილო, ვისი აგებულია
და ან რათ ჰქონდან მას ქოშის გორა?

მოხუცი

ძველი დროების ამბავი არის,
მე ზღაპარივით გამიგონია,
და გეტყვი, შვილო, რადგანც სურვილი
მაგის შეტყობის გულში გქონია:
„ამბობენ, ვითომც, რომ თამარ მეფემ
ერთ დროს არავინ ინახულაო;
ორმოცი დღე და ორმოცი ლამე
აქ, შუამთაში იმარხულაო.
რომ გაიწმინდა სულით და ხორცით,
ქოში გაიძრო მოჭედილიო,
აავსო მიწით და თან წაილო,
რომ დაენიშნა ის აღგილიო,
სადაც ერთ ტროში კახელ-ყმაწვილებს
თავი დაედვათ წამებულადო,
და იქ დაჰყარა ნაკურთხო მიწა
ძღვნათ და საკურთხათ დიდებულადო.
იმის მაგალითს სხვებმაც მიჰაძეს:
ყოველი კუთხით იწყეს დენაო;
გაკეთდა გორა და ზედ თამარმა
წმინდა ტაძარი ააშენაო.
როდესაც თურმე პირველათ სწირეს,
შალალმა მთებმა იწყეს დრეკაო
და თამარ მეფეს, ნათლით შებურვილს,
ზეცით მოესმა ზარის რეკაო!“

ქალი

ნატავი იმ დროს და მაშინდელ ხალხს,
რომ სასწაული თვალით უნახავს!..
მამილო, ახლა ქართველ ქალებში
თამარისთანა აღარავინ გვყავს?

მოხუცი (იცინის)

რას ამბობ, შვილო? იმისიანები
განა ყოველთვის იბადებიან?!
ოცნებასავით სამაგალითო,
ვარსკვლავებივით ნათრად ჰქრებიან!..
(სიჩუმეა. რაღასაც იგონებს)
სიტყვა უდროოთ გამაწყვეტინე!
არ მაგოხდება... შვილო, დავბერდი...
ჰო, ქოშის გორა ვის სჯელზე?
ის უნდა მეთქვა... მაზედ გვჩერდი...
ტაძარი, ყოვლად-წმინდის სახელზე
სულ ჩუქურთმებით აგებულია
და სასწაულის მოსაგონებლათ
ხვალინდელი დღე დადებულია.
მივალთ და ვნახავთ. იმ ძლიერს ტაძარს...
გულს დავიმშვიდებთ სიწმინდის ნახვით!..
ჩვენც გვმართებს, შვილო, რომ სხვებთან ერთად
ლამე ვათიოთ ლოცვით და მარხვით.

ქალი

მაგას რაღა ჯირბს?! მაგრამ თუ მართლა
ამაღამ ძილი არ შეიძლება,
აქვე რომ ცოტა გამოიძინო

და შეისვენო... რა გენალულება?
 მეც ცოტა ხნობით ტყისაკენ წავალ,
 სოკოს მოვძებნი, ან მოვჰკრებ მაყვალს,
 მაგრამ აქვე კი ახლოს ვიქნები,
 არ მოგაშორებ არც ერთს წუთას თვალს.

მოხუცი

ჰო, კარგი, შეიღო! მაყვალს კი ნუ სჭამ,
 რომ დასუნთქული არ ჩაატანო
 მანამდე მეც აქ თვალს მოვატყუებ,
 მაგრამ შენ კი არ დამაგვიანო (მიწვება).

ქაღაი

(მიღის ტყეში და აქეთ-იქით იხედება).

რა აძხავია, რომ აღარ მოღის?
 ამდენ ხანს რისთვის დაიგვიანა?
 რომ არ მოვიღეს? როგორ არ მოვა?
 ჩემ უნახავათ დღეს გასძლებს განა?
 არა! კი მოვა, მისი ჭირიმე!
 მაგრამ, ვაი, რომ, როდესაც ვხედავ,
 გულში ბევრი მაქვს მასთან სათქმელი
 და პირადად კი ვერას ვუბედავ!..
 გული მიტოკავს და რაღაც ყელში,
 როგორც რომ ბურთი, ისე მეჩრება,
 ენა მებმება... ხმას ვეღარ ვიღებ,
 სიცხეს მაძლევს და პირი მიშრება!..
 ჩუ!.. სალამური... სწორედ ის არის!..
 იშ!.. შეხედვასაც რომ ვერა ვბედავ!..
 მაყვალს დავუწყებ ჩემფვის აქ კრეფას,
 ვითომ არ მესმის!.. ვითომ ვერც ვხედავ..
 (ზურგს შეაქცევს და მაყვალს დაუწყებს კრეფას)

გამოსვლა III-მე

(ისინივე და მწყემსი. გამოდის მარჯვნივ)

მწყემსი (მიუახლოვდება).

ტურფავ!

ქალი (შეკრთება).

უიმე!

მწყემსი

რამ შეგაშინა?

მე ვარ, ვერ მხელავ, შენ გეთაყვანე!

ქალი

უეცრად შევკრთი... აღარ გელოდი,
ამდენ ხანს რისთვის დაიგვიანე?

მწყემსი

მე კი არა, თქვენ დაგიგვიანდათ!
დიდი ხანია, რაც მე აქ ვაცლი.

ქალი

ვერ მოვატანეთ... გზა გაგვიგრძელდა;
რადგანაც განგებ ბევრჯელ გადავცდი.

მწევმსი

გადაცდი? რათა?!

ქალი

როგორ თუ რათა?

ბრძა არის, მაგრამ არ ავიწყდება...

სულ იმ ერთი გზით რომ მოვიყვანო,
დაუკვირდება და მიგვიხვდება.

რაც შემიძლია, ვუბნევ გზა და კვალი!..

კიდევ კარგი, რომ გზა გამშრალია!..

ხან აღმა მიმყავს და ხან თავ-დაღმა,
ვატყუებ, მაგრამ შენი ჭრალია!..

მწევმსი

შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე,
რომ ჰკვიანი ხარ!.. მოხერხებული!..
მაგ ნაირ ცოდვას ზეცაც არ გიწყენს...
თავდები არის თვით სიყვარული..

უფრო მოსახული და ქალი

მეც მაგრე ვფიქრობ, რომ ბევრს შეუნდობს
და პატივებს კაცს სიყვარული...
მაგრამ, რა ვიცით, რომ ამ ჩვენ ორში
ერთი არ არის მოტყუებული?
უფროსებისგან გამიგონია,
კაცები ქალებს აბრიყვებენო
და, სიყვარულს რომ გამოსტყუებენ,
გულ-გრილად ხელსაც იიღებენო.

მწევაში

ეგ მართალია!.. მოხდება ხოლმე,
მაგრამ მე სხვა ვარ!.. ნუ გამრევ მათში!..
მაშინ შემირცხვეს გვარის შვი... ჩემი...
(გამოიგლეჯს ულვაშის ღერს და აძლევს).

ა, წაიღე! ეს სიყვარულის
საწინდარია!.. შენ შეინახე!..
თუ გიღალატო, „ფუ!“ უთხარ, დამგმე,
შემარცხვინე და ცუდათ დამსახე!.
მაშა-პაპური ეს ჩვეულება.
დღეს რჯულათ არის გადაქცეული
და ვისაც ქუდი ახურავს თავზე,
ვერ გატეხა... თუ არ შეჩვენებული.

ქალი

არ ვიცი, რა ვქნა? ერთი ხანია
რალაცა ძალი გარს შემომედო...
ჯერ ვინაობაც შენი არ ვიცი,
მაგრამ გული-კი სრულად მოგენდო.
შენგან მოხიბლულს და დამონებულს,
რასაც-კი ამბობ, უიჭვოთ მჯერა,
ამას გიმოწმებს დღეს ჩემი სახე, ცე
ჩემი თვალები და გულის ძერა. ცე
ახლა მენ იცი და შენმა ღმერთმა...
შენ მოგაბარებ ამ ჩემს გულის-თქმას
და ჯერ, სანამდი ჯვარს არ დავიწერთ,
ისე გენდობი, როგორც ჩემს ღვიძლ ძმას!
მაგრამ მაინც მსურს, რომ შემოგვიცო...
(გამოიძრობს თმას, გამოსვერტის და აძლევს).

აჰა, წაილე ჩემგან საწინდრაო!
თუ დაგივიშუო, ჩააგდე ცეცხლში,
რომ მეც დავიწვა და ვიქტე ნაცრაო.

შრეემსი (აღტაცებით)

ოჰ, ნეტარებავ! სიტკბოების ზღვავ,
გაუზომელო, სივრცით უძირო!
თვით უკვდავეს კამპამ წყარო,
ჩემთვის ცისა და ქვეყნის კავშირო!
შენ შემოგევლოს გარს ჩემი თავი!
უშენოთ ქვეყნათ განა-კი გავძლებ?
ასი სიცოცხლეც რომ მქონდეს, ერთად
შენ შემოგწირავ!.. შენ დაგანაცვლებ!!
(უპირებს მოხვევას)

ქალი (ხელსა ჰკრაგს)

უი!.. რას შვრები?

მწეემსი

მინდა გაკოცო...

ქალი

ჯვარის წერამდი? ცოდვა რომ არი?
აჲ! არა! არა!.. წალი... გამშორდი!..
ვერა ჯერ... სანამ არა ხარ ქმარი!..

მწეემსი (დაღონებით)

მოგშორდე? კირგი! შენი ნებაა...

ქალი (აღმფოთებით)

ჰო! წადი... წადი... მომშორდი მალე...
(მწყემსი მიღის)

მიღიხარ? — კარგი, მაშ იქ ამოდი...

ქოშის გორაზე... შენ გენაცვალე!..

მიღის!.. წავიდა... არა, ნუ წახვალ!..

(მივარდება და მიეკვრის გულზე, მერე ისევ მოშორდება)
ოჳ, ღმერთო ჩემო, რა მემართება?! (ხელს ჰკრავს)
ახლა-კი წადი!.. ნულარ მოიცდი...
ნუ! ნუ! ხომ ხედავ?! არ შეიძლება!..
(თვალებზე ხელს იფარებს, მერე ისევ მობრუნდება).

წასულა!.. აგერ, მთაზე გადადის...
აი, მობრუნდა და იყურება...

ნეტავ, რათ არის ერთ და იმავ დროს

ტკბილიც და მწარეც ბეღნიერება!...
(ჩაჯდება, თავს ჩაღუნავს; ხელებს მიიფარებს და
ტირილი აუვარდება).

მოხუცი (წაეოვარდება ზეზე შეშ-
ფოთებული).

რა ამბავია?.. აქა ვარ, შვილო!..

რა დაგემართა? რამ შეგაშინა?

ძალლმა ხომ არსად შემოგიტია?

წყეულმა გველმა ხომ არ გიყბინა?

არა, მამილო, არაფერია!..

მოხუცი

მაშ, შეილო, მაგრე რაშ მოგაწყინა?

କାନ୍ତି ପୁରୁଷ କାହାରେ

ମାର୍ତ୍ତିଙ୍କ ରହ ଦ୍ୱାରକି, ଜ୍ଞାନରମା ଫାମିଲି
ଲା ଉନ୍ନେବୁରାତ ଗୁଲି ଦୀତିକିନା;
ମହାର୍ଜ ନାଲ୍ବେଳିପୁ, ଫୁର୍ମେଲିଶି ହାରତୁଲି,
ତ୍ଵାଲତ ମନ୍ଦିରକେତ୍ତା, ଗାଧମନ୍ଦେଖୁରା!..
ତ୍ଵୀତନ୍ତ ଏଠି ପିପି, ରା ଦାଲା ନ୍ୟା,
ରାମ ଏମାତ୍ରିରା... ପୁର୍ଣ୍ଣମାତ ଦାମିନା?

ମହାଶୁଭ୍ରତ

କେ!.. ଶୁଣ ଏହ ନ୍ୟା, ଶ୍ରୀବା ଏକାତ୍ମରି?
ମିଶ୍ରବଦି!.. ଏହ, ଶ୍ରୀଲାଲ, ଏକାତ୍ମରିଆ:
ଶିଶୁଲି ତାମାଶିବା ମନ୍ଦିରବ୍ୟୁଲି
ଲା ଗୁଲିପୁ ମିଶିବା, ଅନାଦିଗ୍ରେରିଛ
ମନ୍ଦିରିପିନିଲା ଗାନ୍ତା? ରାମା ତଥିଲା ଭନିଲା
ଶୁଣ ମାର୍ତ୍ତିନାବା ଯିବ ନାମିବା?..
ହେ ହେମି ମନ୍ଦିରିଲାତ ନାମିପାନିବା,
ଲା ଶେନ କି ଗୁଲି ଶ୍ରୀଶ ଗ୍ରେହନେବା
ଶେନି ପ୍ରାଣିଲା ବେଳା ନିଶ୍ଚିନ୍ଦବା,
ହେମି ଯେଶ୍ଵରିପିପୁ କି ଦାମିନାଲିବା
ଲା ଏହି ଶୁଲ୍କେଲିଶି ରାମ ଗାପମୁଲି ବାରତ,
ଯେ ହେ ରାମ ଦରମା ବାର—ମିଶି ଦରାଲିଆ!
ମାଗରାମ, ଏତି, ଶ୍ରୀଲାଲ, ମନ୍ଦିରା ପାତ୍ରି:
ହେମି ପରିବର୍ତ୍ତନିବ ଗାନ୍ତା ଗାନ୍ତିଲିଲିଆ,
ଏହି ଶାଦାପୁ ଏହିବ ମନ୍ଦିରିତବ୍ୟେନ,
ହେମି ଦଲ୍ଲେଖି ଗାମନତବ୍ୟଲିଲିବା!..

କାନ୍ତି

ଏହା, ରାମ ଏମିବନ୍ଦି!.. କିଲ୍ପିପୁ ଏହ ଏହି,

რომ მე მატირებს და სულს მიხუთავს!..
 შენ გეჭირვება ყურის მგდებელი
 და მაგისთანა კი არვინა გვყავს.
 მწყემსი, რომ ჩვენ არ მოგვშველებოდა
 იმ დღეს ძალლების მოსაგერებლათ,
 ხომ გაგვწიწვენიდენ სულ ლუქმა-ლუქმათ
 და გავხდებოდით ყვავ-ყორნის მსხვერპლათ?
 არა, მამილო, ქალი სუსტია,
 კაცის ოდნობას როგორ შეიძლება!
 ნეტავი ერთი ვაჟი გყოლოდა!..

მოხუცი

ეჭ, რათ მაგონებ დაკარგულ შვილებს?
 ვაი, მათ მომგონს!.. განა არ მყავდა,
 მაგრამ არ შემრჩა! გამიშვდა ყველა!..
 სამი ერთს ომში ერთ დღეს მომიკლეს
 და ეს თვალებიც მან დამიბნელა...
 ცოდვა არ არის, მე კიდევ ვიყო
 და ისინი კი... (ტირის. სიჩუმეა)

ქალი

ნეტავი ერთი
 ყმაწვილი ვინმე გეშვილებოდეს;
 რომ ჩემთან ერთად შენ ყურს გიგდებდეს,
 სულ შენთან იყოს, თავს გევლებოდეს...
 მაშინ მეც...

მოხუცი

შენ რა? შენ რას იზამდი?..
 გამიზიარე შენი გულის-თქმა!

ქადა

იმას რომ... მაშინ მეყვარებოდა
შენი გულისთვის, როგორც ლვიძლი ძმა.

მახუწი

ჰმ... მესმის! მესმის! თუ რა ლვიძლი ძმა!

ქადა

როგორ თუ რა ძმა?.. ეგ რა სიტყვა?

მახუწი

ვიცი, რაც არის! განა ვერ მივხვდი?
შენ რომ ძმას ამბობ, ის ძმა სულ სხვაა! (იცინის)

ქადა

იჭ, რაებს ამბობ? (მორცვობით) რა დროს ეგ არის?
შეგ შუბის ტარზე გადმოახარა.

მახუწი

მართლა? მაშ ახლა კი დრო ყოფილა,
აბა, ჰე, შვილო, წავიდეთ ჩქარა. (მიღიან)

მო ჯ მ ე დ ე ბ ა მ ე რ ე

გამოსცლა ॥-რე

(ტყიდან გამოდის პატარა კახი და აღტაცებით იხედება აქეთ-იქით)

პატარა კახი

ძლივს მარტო დავრჩი!.. ოჰ, რა კარგია
სამოთხის ნიჭი, თავისუფლობა!..
რათ მინდა, რომ ვარ ბატონის შვილი?
და რაღათ მიღირს უფლის წულობა,
თუ ჩემს ნებაზე ბიჯსაც ვერ გავდგამ?
უნდა მივდიო ქვეყნის მაცდურ ხმას!..
მძიმე უღელი დავდგა ჩემს სიყრმეს
და შევაკველო ფრთები გულის თქმას!..

(შორიდან სალამურის ხმა მოისმის)

წუ!.. სალამური!.. მწყემსია სწორეთ.

აი, სად არის ბეღნიერება:

ცხოვრებს თავისთვის ბუნების შვილი
და გულს უსრულებს, რაც ენატრება.

(დაჯდება და ცურს უგდებს სალამურს.)

ვიშ! რა კარგია ეს სალამური!..

როგორ იტაცებს გრძნობა-ვონებას!..

სიამით ხიბლავს უსაზღვრო სურველს
და აფერადებს მაცდურ-ოცნებას!..
მიგვაფრენს სადღაც ლაუვარლ უფსკრულში,
ედემით კიდით შორეულ მხარეს
და იქ აერთებს ნათლის კავშირით
ჩვენს სიტკბოებას და ჩვენს სიმწარეს!..

(დაფიქრდება და ყურს უგდებს სალამურს)

გამიგონია, ვითომც ლერწამი
ობლის საფლავზე ამოსულიყოს
და თავის ქნევით, დამუქრებული,
მაღლა ზეცისკენ ის წასულიყოს,
რომ მიეტანოს იქ ჩვენი ქვეყნის
მწარე ამბავი და საჩიგარი.

მაგრამ იმავ დროს, ეშმაკის სული,
დასტაცებოდეს გრიგალი, ქარი,
გადაეღუნოს, გადმოეღუნოს...
და მოეთხაროს სულ ძირიანა.
მერე ენახოს მწყემს წაჭცეული,
ხელში აელოს პატარა დანა
და გამოეჭრას მას სალამური,
რომ მოწყენის დროს სული ჩაპეროს,
და მთა და ბარის დასატკბობელათ
ააკვნესოსო და აატიროს...
ეს უნდა იყოს ეს მაცდური ხმა?
პირველ მწყემსასგან მოგონებული!
აქ ისპის ცის და ქვეყნის ამბავი,
ერთად შეთხული, შეზავებული!..

(ხმა ტყიდან)

ბატონიშვილობა უუუ!..

ჰატარა ქახი (შეკრთება)

უჱკ, ლვთის რისხვა!
 რომ არ მომნახო, არ შეიძლება?!
 დარბაისლური ზღილობით მოხვალ,
 რომ მომიწამლო ტკბილი ოცნება!..
 უუუ! აქ ვარ!.. აქეთ წამოდი!..

გამოსვლა II-რე

(იგივე და გივი)

გივი

ბატონიშვილო, სად ბძანდებოდი?
 ერთ ხანს გეძებე ამ უტეხ ტყეში
 და, რომ ვერ გნახე, შიშით ვკვდებოდი!..

ქახი

რამ შეგაშინა? მგელი შემჭამდა?
 რისთვის, ჩამომრჩი? ვისი ბრალია?

გივი

წინ შემხვდა ერთი მოხუცებული
 იმასთან შევდექ, შემიყოლია.

ქახი

მართლა?!. მეც შემხვდა... ვგონებ, გიურა!
 ან დღეს უთუოდ საღმე დამთურალა:

ფული მივეცი მას. სამოწყალო,
იუკადრისა და დამამწყრალი!

გავი

რომ სულინებოდა, თუ ვან ბძანდებით,
კადნიერებას ვერ გაბედავდა;
მაგრამ ბრძა არის ის, უსინათლო
და ბატონიშვილს ვერა. ხელავდა!..

ქახი

გლახაკი, ბრძა და ამპარტავანი?!

გავი

გლახა არ არის, თუმც კი გახლავს ბრძა:
სახელოვანი იყო ის ერთ დროს
და დღესაც სხვაა მაგის გულის თქმა!..
სხვას რამეს ითხოვს მაგისი გრძნობა,
სხვაგან მიფრინავს მაგის გონება!
მაგისი ღვაწლი და სამსახური
სამოწყალოთი არ იწონება...
გიორგი არის... გვარად ხმალაძე...
შვენოდა სიმხნე და მამაცობა...
მტერთან საომრათ მაგას დაჰყავდა
დაბალი ხალხი და გლეხ-კაცობა...
მთაში და ბარში სწორათ ნაქებსა,
დღესაც იგონებს მაგას სუყველა;
გასაოცარი ვაშ-კაცობისთვის
შეტი სახელი დაარქვეს „გელა.“

ეგ არის გელა?

გზე

დიახ, ეგ გახლავს.
 დაბრმავებულა ურთი ხანია...
 მიკვირს, აქამდის რომ ცოცხალია,
 რაც მაგას ჭირი აუტანია!..
 ამდგარა, დადის სოფლიდან სოფლათ,
 წინ დაუძლვება პატარა ქალი,
 და გლეხ-კაცობას ურჩევს, რომ იმათ
 გამოახილონ ამ ცუდ დროს თვალი.
 და მიეშველონ ძმურათ ბარელებს,
 მტრისგან დაჩაგრძულს და დამონებულს!
 გულის გასახეთქ საყველურებით
 მათაც აშფოთებს. და ულელვებს გულს!..

მურა მურა ძირი კახ უძღვეს თუ
 ძირიძირა იძირა და ძირი ძირა
 ხალხი რას ჯმბობს? კარგი გადა
 არა ძირა არა ძირა იძირა
 არა ძირა ბიშვი რომელ უკარა
 ... ეხოებს ფრა სიტყვას უჭერებს:
 ემზადებიან ჭტერთან საომრათ ჭილ
 და, მეთაური თუ გამოუჩნდათ, ჭილ
 თან მიჰყვებიან ყველა ურთ-პირათ
 ამზადებიან და ამზადებიან თუ ამზად
 კარგი და კახ უძღვეს უძღვეს
 მეთაურიო?.. შერე ბატონი უკარა
 თეიმურაზი რალასა ბძანებს? ბიშვი

გიგი

ჯერ ლოცვაშია!.. ხალხს ღმერთს ავედრებს
და მტერთან ბრძოლას კი აგვიანებს!..

გახსნა

მერე და არ ჯობს, რომ უპატრონოს
და ყური უგდოს დაჩაგრულ მოყენებს?
ცრემლით ვედრება და წირვა-ლოცვა
მიანდოს მხოლოთ მან წმინდა მამებს?

გიგი

ეგ მართალია! მარჩმ ბატონი
გულის ფრიალმა დაასწეულა.
დღეს ქვეყნის თვალი თქვენ შემოგყურებს
და მხოლოთ თქვენზე იმედობს ყველა.

გახსნა

დიახ! და თქვენ ც გმართებთ სიფრთხილე,
დღეს ჩაგვაშხამეთ კინალამ ღილა:
დაკოდილ დაოვზე ხმალ-და-ხმალ მისვლა
ვისგან ნახულა? სად გაგონილა?

გახსნა

მინდოლა შკლაუნი გამოშეცადა, ერთი მრავევით გამეპო, — მსურდა,

და ის მაწუხებს, რომ ულონობით
ჩემი სურვილი ვერ შემისრულდა!..

გიგი

რას პრძანებთ?! მაგრე მტერს რო შემოჰკრათ,
თვით ბუმბერაზსაც ჩამოაგდებთ ძირს.

ქახი

ნეტავ პირველათ ჩემი მახვილი
მტერს მოხვედროდა და არა ნადირს.

გიგი

განა მაგას კი ვერ მოესწრებით?!

ქახი

რაღა დროს, ჩემო მოჭირნახულე?
მეჩვიდმეტეში გადამდგარი ვარ!..
თექვსმეტი წელი დღეს შევისრულე,
მაგრამ მორჩილი რომ ვარ ტანადათ,
მიტომ გგონივართ ყველას პატარა
და ნადირობით გინდათ გამართოთ!..
ტყვილა ნუ ჰფიქრობთ... ახლა კი კმარა!..
საკუთარ ტანჯვათ მე მიმაჩნია.
ჩვენი სამშობლოს უბედურება
და ვერ ვუყურებ გულ-დამშვიდებით,
როცა ამდენი სისხლი იღვრება!..
რა დროს ლხინია და ნადირობა!
განა ეს არის დღეს ჩვენი ვალი?!

წალი, მშობლებთან მიშუამდგომლე:
გზა დამილოცონ, მიკურთხონ ხმალი!

გიგი (ალტაცებით)

გმადლობ, ლმერთო, რომ ამ დღეს მომასწარ!
ამას ელოდა მოხუცი გივი!..
და ჭირ-ნახული რომ არ წამიხდა,
ბედს არ ვემდური! ალარას ვჩივი!
ბატონიშვილო, ეგ სიტყვებია,
შენგან რომ მსურდა მე გამეგონა...
მომეცი ხელი, რომ გიამბორო! (იჩოქებს)
შენ წინ მუხლს ვიდრეც, ერთგული მონა.

ქახი

ნუ! ნუ! ადექი!.. ჩემო გამზრდელო!
ეგ შენს ჭალარას არ ეკადრება... (აყენებს)
მამაშვილური შენი მოხვევა
გულსა სწყურია... სულს ენატრება
(გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან)
ახლა კი დროა, ჩემო გამზრდელო,
საქმეს შევუდგეთ... დრო ძვირათ გვილირს!..
რევაზმა რისთვის დაიგვიანა?
საფათერაკო ეგებ რამე ჟერის?!?

გიგი

არა, ბატონო, თქვენს დაკოდილ დათვს
ის გამოუდგა წელან კვალ-და-კვალ-.
შორს არ იქნება და, თუ მიბანებ,
მე დაუუძახებ, ახლავე წავალ!

ქართველი

კარგი იქნება! მანდ, ვგონებ, ახლოს
შწყემსია უიღაც, სალამურს უკრავს,
და გადასძახე, რომ ჩამოვიდეს,
მაგრამ ნუ ეტყვი ჩემს ვინაობას!

(გიფი გადის. კახი დაფიქრდება და ცოტა . ხნის
შემდეგ ამბობს)

რაები მითხრა ჩემმა გამზღელმა?
გული დამწყვიტა და ამიძგერა!..
ღვთისმშობლის ხვედრი საქრისტიანო
რომ ამოვარდეს,—სწორეთ არ მჯერა—
მაშინ, როდესაც ბრმაც თურმე ცდილობს,
რომ აუხილოს ქვეყანას თვალი,
მე თავხედობათ რათ ჩამეთვლება,
რომ ავასრულო სამეფო ვალი? ცდ
თუ მამა ჩემი, ნამდვილი გმბრი; ცდ
სახელ განთქმული და თავ-მომწონე,
დღეს სნეულებამ ისე დასძლია; ცდ
რომ მიხდილი აქეს ძალი და ღონე—
მე აქ არა ვარ?.. შევილი არა ვარ?!
იმისი ვალი მე არა მხდება?
რა მშობელია მამა, რომელიც
ნაშობისაგან არ ითავსება?
კმარა მონება! კმარა მოთმენა!
დრო არის ადგეს ერთ-პირათ ერი,
ან ბრძოლის ველზე სული დალიოს,
ან მოიგეროს მოსული მტერი!. ცდ
მონას რათ უნდა კრული სიცოცხლე?
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?

ჯობს მონებაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

გამოსცლა III-ეთ

(ისვე და მწყემსი. მოუახლოვდება)

მწერა

ბატონიშვილო!.. (თავს უკრავს ქუდ-მოხდით)

გახ

თითქოს მეუნობა?!
გამარჯობა! შენ მწყემსი ხარ, ვგონებ?

მწერა

მწყემსი გახლავარ, შენი კვნესა მე!
რისათვის მიხმე და რას მიბრძანებ?

გახ

მაგდენს არათერს! — ის შენ იყავი,
რომ იკვნესებდი წელან სალამურს?

მწერა

მე გახლდი!

გახ

მარტო შენთვის უკრავდი,
თუ სხვაც გაგდებდა აქვე საღმე უურს?

მწევები

ჩემთვის ვუკრავდი, ჩემო ბატონო,
მწარე ნაღველის გასაქარვებლათ.

გახცი

კი, მაგრამ, შენთან რა უნდა ნაღველს:
მთებში დადიხარ აქ თავისუფლათ.

მწევები

ეჭ, დალოცვილო, რა გამოვიდა,
რომ ვიყო მარტოთ თავისუფალი...
მაშინ, როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანას
რისხვით დაჰყურებს მაღლით უფალი?..

გახცი

ჩანს ბარელი ხარ?

მწევები

არა, ბატონო.

გახცი

მაშ აქაური თუ ხარ, მთიული,
რაღა გაწუხებს ამ სიმაგრეში?

მწევები

იქაურებზე შემტკიცა გული!..

განა მარტო მე? მთლად მთიულები
იმათი ცოდვით იდაგებიან!...
მაგრამ ვერ ხედვენ ვერსად მეთაურს
და თავის-თავად რას გახდებიან?..

გახს

ბატონი მეფე?

მწევემსი

აქ ამობძანდა...
თავი აქ მოსუა, ამ სიმაგრეში,
და ბარელები ოხრათ დაჰყარა,
სულ უპატრონოთ, თათრების ხელში!..
კიდევ კარგი, რომ ამის მნახველი,
ჯერ არ იტეხენ მთიულები გულს
და იმედი რამ პატარა კახის,
როგორც მორჩაკვდავს, მათ უბრუნებს სულს.

გახს

პატარა კახის?

მწევემსი

ღიას, ირაკლის
ძალიან რამეს მოგახსენებენ?
ჯერ მისი საქმე არვის უნახავს,
მაგრამ ისე კი მეტათ აქებენ!..
განაგონობით ასე ამბობენ:
გივის გაზრდილი სხვა იქნებათ

და არ შეარჩენს თათრებს ჩვენს სირცხვილს,
ღმერთმაც წყალობა თუ ინებაო!..

ქახი

მართლა? მაშ, რო თქვას ბატონიშვილმა:
„მტერზედ მივალო“, — ხალხი გაჰყვება?

მწევემსი

განა კაცები მარტო? ქალებიც
თან გაჰყვებიან... არვინ დარჩება...

ქახი

შენც თან გაჰყვები?

მწევემსი

მე რა დამიშლის?

ქახი

ცხვრებს რაღას უზამ, ჩემო ძამია?

მწევემსი

ცხვრებს რაღას დავსდევ, ამისთანა დროს!..
სუსყველა მგლებსაც დაუჭამია!..
ნეტავ კი მართლა. მოვესწროთ იმ დროს,
რომ წინ გვიძლვოდეს ბატონიშვილი
და ქართველებიც თან შისძახუდენ:
„ან გამარჯვება და ან სიკვდილი!“

ქახი

ამინ! გისშინოს ღმერთმა... ინებოს!
ეგრეც რომ ზოხდეს, კი შეიძლება... (დაფიქრება)

მწყემსი (თავისთვის)

მოედვა!.. (სიჩუმე)

ქახი

დაცხა... წყალი მომწყურდა!..
(მწყემსი) ახლოს ხომ წყალი არ გეგულება?

მწყემსი

ცოტა შორს გახლავს; კარგი წყაროა,
მაგრამ როგორ ვქნათ? არ გვაქვს ჭურჭელი.

ქახი

აი, თანა მაქვს აგერ მათარა
და ეს წაიღე, მოჰკიდე ხელი.. .
(გარაუგდებს. მწყემსი აიღებს და გაუდგება გზას)
(ფიქრის შემდეგ)

ჟე! ვერა ჰედავთ, რას ამბობს მწყემსი?
თურმე იმასაც კი სტკივა გული,
რომ უცხო ხალხი შემოგვესია
და ჩვენც თავს ვუხრით სულ-განაბული!..
მაგრამ ჯერ კიდევ, მადლობა უფალს,
რა შესჩევია ხალხი მონებას
და საქვემძრომოთ არ ავარჯიშებს
მონური ხერხით ჭკუა-გონებას!..

დიახ, მონობის მიუჩეველი,
 ჯერ კიდევ გული სხვას გვეუბნება
 და სავაშვაცო პირდაპირობას
 მოითხოვს მუდამ მტკიცე ბუნება!..
 ჩვენც თუ ახლავე არ მივაწოდეთ
 სამართლიანი მას სულის საზრდო
 და ხანგრძლივობამ თავისი კვალი
 ნელ-ნელ შეპარვით ერთხელვე დასდო,
 მორჩა, გათავდა... ამოიფხვრება...
 ტყვილილაა მერქ იმედი
 და ის ჯობს, პარემ ახლავე ვნახოთ,
 რასაც გვექადის მერმისთვის ბედი!.. (დაფიქრდება)

გამოსვლა VI სე

(ისვე, რევაზ და გივი)

ქახი

რევაზ? სად იყავ?

ოეგაზ

თქვენს დაკოდილ დათვს-
 გამოვუდექი, კვალში მივჰყევი,
 თუმც სასიკვდილოთ არის დაჭრილი,
 მაკრამ გადავლო ის დიდი ხევი
 და ჩაიმალა ისეთ ნაპრალში,
 რომ აღამიანს არ მიესვლება.

ქახი

ყორნები ხომ კი ჩაფრინდებიან?
 დეე, ილხინონ, ჰქონდესთ უფლება. (იცინის)

რეგაჲ

ყორნებს, ბატონო, რომ არ სცალიათ?
 ჯერ კაცის ხორციაც ვერ ერევიან!..
 გადაფრენილან აქედან ბარში
 და ჩვენ მოძმეულს თავს დასჩხავიან!!..

ქახი

რევაზ! რათა გაქვს ეგ მწარე ენა?
 სიტყვას არ იტყვი, თუ არ დაშეამულს!..
 არ იცი, რომ ეგ შენი პასუხი
 ეკლათ ესობა ჩემ ნაღვლიან გულს?

რეგაჲ

რა ვქნა, ბატონო, რომ მეც ამ გულში
 ჩაშგუბებია მწარე ნაღველი
 და ტკბილათ ველარ მისველებს ენას,
 რომ ტკბილ რამესი ვიყო მეც მთქმელი!..
 ლმერთმა ხომ იცის...
 (დაინახავს მწყემსს, წყალი რომ მოაქვს და შეკროება)
 ჰე! ეს ვინ არი?!
 ამას რას ხედავს ჩემი თვალები?
 ახლა კი გიცან, ვინც ხარ, შე მხდალო...
 გაჩერდი!.. ველარ დამემალები!
 (ხმალს ამოილებს და მიშურებს)

მწყემსი

რევაზ! მიცანი? კეთილი! მაგრამ
 ხომ არ არ გაშინებს ჩემი კომბალი?
 აჸა, ესეც კი გადამიგდია,

რომ არ წაგიხდეს შენ შიშით თვალი!
გინდა ხელებიც მქონდეს შეკრული,
მაშინაც მაგ ხმლით ვერ შემაშინებ,
ღრო გაქვს მოხვილე ხელ ცარიელზე,
ძლევა დაგრჩება და გაიცინებ...

რევაზ (ხმალს ჩაგებს)

ჰა, დედაბერო! შენ მაგ სიტყვებით,
იცოდე დღეს თავს ვერ შემაბრალებ!..
ხანჯალი ხომ გაქვს? მოპკილე ხელი!
მეც მარტო ხანჯალს დავატრიალებ!..
(ილებენ ხანჯლებს და იწევენ ერთმანეთზე)

გახი

ეი!.. შეჩერდით... არ იცით, სად ხართ?
მაგ თავ-ხედობას აქ ვისთან ბედავთ?!
დაგვიწყებით, ან იაქვენ ვინა ხართ?
და ან მე ვინ ვარ—ველარა მხედამთ?!
ვფიცავ თავს და მზეს დეჭი ჩემისას,
თუ წინ წაგიდგამსთ აწ კიდევ ფეხი,
მაშინ თქვენ ჩემი ძლიერი რისხვა.
თავზე დაგატყდესთ, როგორც რომ მეხი...
გივო, რას ნიშნავს ეს მოქმედება?!

გრვა

მტრები გახლავან ერთი მეორის!

გახი

ბებურიშვილი მტერია მწყემსის?!
ვილაც მეცხვარის, ვილაც მელორის?!

გავი

ეგ მწყემსი ლევან ქვაბულიძეა...

ოვეგაზ

ჩემი ძმის მკვლელი, ჩემი მოსისხლე!

ქახი

მართლა?!

ღეგან

მე მოვჰყალ სწორეთ მაგის ძმა,
მაგრამ არა ვარ მაგის მოვალე!..
და სასახლიდან გამოგდებული...

გიგი (სიტყვას აწყვეტინებს)

აღარ შეეძლო მეფეს ხლებოდა.

ღეგაზ

ამდენი ხანი თურმე მწყემსებში,
ჩანს, უსირცხვილოთ იმალებოდა!..

ღეგან

სცდები!.. არ ეთქმის უსირცხვილობა
იმას, ვინც ჩვენში ამისთანა დროს
ტყეში გაჭრილა ყაჩაღათ მისთვის,
რომ ქვეყნის მტრებზე მან ინადიროს.
ურცხვი ის არის, ვინც დღეობებში

ლხინებს უნდება და აშიყობას!..
გლახაკათ დავრჩე, ის მირჩევნია,
თუმც-კი დიდ კაცობ, შენსავით ყოფას!..

რეგაზ

თუ კაცი იყავ და წვერი გესხა,
უმალ მე უნდა გამსწორებოდი!..

ლეგან

პირადი მტერი არა ვყოფილვარ
და უბრალო სისხლს ვერიდებოდი!..

რეგაზი

როგორ! ნოდარი შენ არ მოჰკალი?
და ის ჩემი ძმა განა არ იყო?

ლეგან

ეს მხარეც ჩემი სამშობლო არის
და ვალათ მედვა სისხლი ამეღო.

გახა

რაები მესმის?!..

ლეგან

დიახ, ბატონი!
ის იყო ჩემი გულის ტკივილი,
რომ თავს დაგვესხენ მტრები თუ არა,
მათ მიეკუდლა ბებურიშვილი...

ქართველობაზე უშვერტა მათ თითს
და, თავ-მომწონედ, ქიზიყის მხარეს
ურცხვათ აძლევდა ბოროტ მაგალითს!..

რეგაზ

სტყუი!.. ის მხოლოთ მტერს იტყუებდა,
თვალებს უბამდა... და ღროს ეძებდა...

ლეგანი

გულში რა ჰქონდა—ეგ ვინ რა იცის,
და საქმით-კი სულ სხვას გვიჩვენებდა:

რეგაზ

აგრეც რომ იყოს, შენ არ შეგვეძლო
მაინც ჩემი ძმის გასამართლება!

ლეგანი

ქვეყნის ორგული რომ არ დაზოგოს,—
ყოველ კაცა აქვს სრული უფლება.

გრეი

ეჰ, ყმაწვილებო, ყური დამიგდეთ!
უადგილოა სიტყვები მწარე!..
გეტყვით ურალო ჭეშმარიტებას,
მას დამიმოწმებს ყველა მეცხვარე:
როცა მეცხვარის ძალლებს მოუვათ
ჩხუბი და მწარეთ ერთმანეთს ჰკბენენ,
მაშინ პატრონსაც ალარ ჰზოგაენ,
თუ მიეშველა,— მასაც უღრენენ...

მაგრამ იმავ დროს, თუ გაჩნდა მგელო
იმ არე-მარეს სადმე მახლობლათ,
შესწყვეტენ ბრძოლას და ყველა ერთა
იმ მტერს მისდევენ მოსაგერებლათ.
თუ კი ოთხფეხსაც ჰქონია, ვხედავთ,
ამდენი გრძნობა და მოსაზრება,
მაშ, ადამიანს... მაღალ ქმნილებას,
განა შეშვენის და ეკადრება,
რომ მთლად გადაჰყვეს მის პირადობას,
შინაურებზე არისხებდეს გულს
და ვერ ხედავდეს, მეტი სიფიცხით,
მის დასალუპვათ მტერს, მაზე მოსულს?!..
ნუ თუ ვერ ხედავთ, რა დღე გვადვია?
რამ დაგავიწყათ თქვენ თქვენი ვალი?!
გინდათ დაჩლუნგოთ თქვენ ერთმანეთზე
მტრის სასიკვდილოთ ნალესი ხმალი?!
ეგ დალატია, და დრო კი სხვას გთხოვთ...
მიეცით ხელი ერთმანეთს ძმურათ
და წმინდა სისხლი ერთად დასთხოვთ
მამულისათვის მამა-პაპურათ!..

დევან

თუ არ მაგ მიზეზს, სხვას რას შეეძლო,
რომ ქვებულიძე გამოეცვალა?! (განშე იხელდა)

რეგაზ

აღარას ვიტყვი! დრომდი მოვიცდი!..
რა გაეწყობა: „აღმართს ჰქნავს ძალა!“

ქახი

ბებურიშვილო, ვერ ვინ დაგძრახავს,
რომ გულს გიკლავდეს დამკლის-უფლობა
და მიტომ უფრო გეკუთნის დღეს შენ,
მოთმინებისთვის ჩვენი მადლობა!..

შენ, ქვაბულიძევ, კარგათ ვერ გიცნობ,
მაგრამ ისე კი ბევრჯერ მსმენია,
რაც შეგმოხვევია ქვეყნის გულისთვის,
და ან სიმდაბლით მოგითმენია!..

ხომ გაიგონეთ გივის სიტყვები?
იმასთან ერთად მეც პასუხს ველი!
და წინდაწინვე ვიცი, ამ რჩევას
რომ ვერ უარ ჰყოფს ვერა ქართველი!
დიახ, თქვენ გმართებსთ, რომ ერთად, ძმურათ,
მტრის შესამუსრათ მისცეთ ხელი-ხელს
და ვაშკაცობა თქვენი მიუძღვნათ
ამ ჩვენს ქვეყანას, როგორც ტკბილ-მშობელს.

მინდა, რომ თქვენთან მეც ერთად ვიყო,
სააპარეზოთ მოგცეთ მხარი-მხარს
და ჩვენს მაგალითს ყველა მიჰბაძავს,
ვისაც სამშობლო კი რწამს და უყვარს!
მტერი დაგვცინის!.. ჩვენ ხმას არ ვიღებთ!
რა დროს შიშია და რა დროს ძილი?!
წავიდეთ!.. საქმეს შევუდგეთ ერთად
ან გამარჯვება და ან სიკვდილი!..

(მიღის და ისინიც თან მიჰყებიან)

გიგი (მარტო)

გმადლობ, უფალო! ახლა კი ვხედავ

არ წამხდენია მე ჭირნახული!
პატარა კახის გმირულმა სიტყვამ
რაღაც იშედით ამივსო გული...
თუმცა უდროოთ დაგვისნეულდა
ძველი არწივი, თეიმურაზი,
და მის შემყურე მამულის შვილებს
გულს სასალბუნო დააჩნდათ ხაზი,
მაგრამ მის ნაცვლათ მაღლით ბუდიდან
გაღმოფრენილა დღეს შევარდენი!..
ახლა კი დროა სვიმონივით ვთქვა:
„აშ განმიტევე მე, მონა შენი!..“

მო და დიდი მოსამა

სცენა პირველი

(მაღლობზე შორით ქოშის გორა მოჩანს, ზედ უკალესით. თე-
მობაა. დაბლა ვაკეზე, გზის პირათ, მუშები სიმინდს თოხნიან
და მღერიან)

გამოსვლა I-ლი

მუშები

ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებავ, ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა გადაგბანაო,
დაგქროლა დილის ნიავმა,
ალერსით გითხრა ნანაო,
უუუნა წვიმამ ზედ დაგკრა
ზურმუხტათ აგამწვანაო!“

მეთაური

აბა, ბიჭება, თქვენი ჭირიმე!

ნუ შეჩერდებით! ჯერ ნუ დაღალდით!..
ეს ერთიც კიდევ ჩამოვუაროთ...
სულ ჯარასავით დაუტრიალდით!..

მუშები

ნუ გეშინია! წაგვიძეხ, გასწი...
არ ჩამოგრჩებით ჩვენც, მეთაურო!

1-ლი გლეხი

ზომ ხედავ? ისეც ალმური აგვდის
რათ გინდა, უფრო რომ გაგვახურო!..

მეთაური

ჰო! მაგრე! მაგრე! თქვენ დაგენაცვლეთ!
დაჰკარით, სანამ მიწაც სველია!..

მოხუცი

ეს ყველა კარგი, მაგრამ უქმის რომ ვტეხთ,
ეს განა კარგი საჭიროა?

ახალგაზდა

ვითომ რა იცის?

მოხუცი

როგორ რა იცის?!

მაშ აღარ არის მადლი და ცოდვა?
მღვდელმა რა გვითხრა?..

ახალგაზდა

მღვდელს რას უყურებ?!
ასე იციან სულ იმათ როტვა.

2-ე გლეხი

იმან თუ არ თქვა, ჩვენ კი არ ვიცით,
რომ უქმის ტეხა მართლა ძნელია?

3-მე გლეხი

ნეტავ, რას ამპობ? რა დროს ეგ არის,
გეტყობა, საქმე შემოგელია!
ვერ ხედავ, ბარში რა ამბავია?
თესლად მარცვალიც არსად ვარდება!
ჩვენ რომ აქ ახლა უქმეს მივსდიოთ,
ბარი შიმშილით ამოვარდება...

4-ე გლეხი

ახლა სხვა დროა! ღმერთიც არ გვიწყენს,
შრომა მისივე ნაბრძანებია.

ახალგაზდა

კარგია ერთი, რაებსა ჰბოდავ?!
ვგონებ, სიზმარი დაგზმანებია!..

მეთაური

გაუსვით ჩქარა... ტყვილა ნუ ცდებით,
ცოდვა ჩემ თავზე მე მიმილია!..

ახალგაზღა

აბა დავიწყოთ ისევ მუშარი
და ბანი გვითხარ შენ პირალია!..

მუშაბდი

ყანაო, გულ-ხელ გაშლილო,
ქვეყნის მოკეთევე, ყანაო!
მოყვრულათ შემოგსევივართ
მტრულათ გიმეტებთ განაო?
გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა
გაგთოხნით ყოველგანაო. (ბუქს აყვირებენ)

ახალგაზღა

რა ამბავია?

2-რე გლეხი

რა უნდა იყოს?
ხატობაა და ბუქს აყვირებენ.

ახალგაზღა

ვითომ რათაო?

3-რე გლეხი

აყვირონ თვარა,
მაგითი ყეენს გააკვირვებენ!..

მთხუცა

გელა იქნება. უთუოდ უნდა
შეჰყაროს ხალხი და უთხრას რამე.

მეთაური

აბა, ბიჭებო, გაუსვით ჩქარა!..
მომყევით წყობით (ახალგაზღას), შენც მხარი მამე!

მუშები

ზედ უფლის თვალი დაგუურებს,
შენი ბარაქა ბძანაო,
აგშორდეს გვალვა და სეტყვა,
მოსავლის გამოცანაო!..
ყანაო, ოქრო-ზურმუხტო,
ყანაო, ჩემო ყანაო,
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს
სხვაც ბევრი შენისთანაო!..

(შეჩერდებიან)

მეთაური

ბიჭოს!... სამხრობა წამოგვპარვია!
ახლა კი დროა, რომ შევისვენოთ!
წავიდეთ, ჩრდილში სამხარი გველის,
მოეწყინება მარტოდ, უჩვენოთ...

სხალგაზდა

აბა, ჰე, მოდი წავიდეთ ერთად!
თუ მაგრე არის, უნდა ვუშველოთ!

მოხუცი

სწორეთ არ გვაწყენს, რომ ცოტა ყელი
ჩვენც ჩავიწმინდოთ და ჩავისველოთ. (მიღიან)

გამოსვლა II-რა

(მოხუცი და ყმაწვილი ქალი)

მოხუცი

სად ჩამოვედით?

ქალა

ყანაში.

მოხუცი

მერე

რატომ მუშები ალარ მღერიან?

ქალი

წასულან იქით, სამხრათ დამსხდარან,
აგერ მუხის ქვეშ, ჩრდილში არიან...
მივიდეთ?

მოხუცი

არა, ჯობს მოვუცადუთ,
აქავე მოვლენ, რომ ისამხრებენ.
(სხდებიან. სიჩუმეა)

ქადა

ამდენ ხანს თემი რომ არ იშლება,
რა ამბავია? რას უყურებენ?

მოხუცი.

აწ საჭაც არის დაიძერის ხალხი;
ქვეითად ამ გზით ჩამოივლიან.

ქადა

ცხენ და ცხენ რატომ არავინ მოდის?

მოხუცი

ჩვეულებაა და ვერ შესცვლიან!
ქვეით ბარში ჰყავთ დაყენებული
დიღ-კაცებს მათი ბედაურები.
წესის გატეხა ძნელია, შვილო,
სასწაულს აგრე ნუ ეხუმრები!
იპ, ვენაცვალე იმის ძალს და მაღლს,
რომ არ სჩვევია კაცის გარჩევა,
გინდ დიდი იყოს, გინდა პატარა,
ერთია მისი რისხვა-კურთხევა!..

ქადა

რა ხალხი იყო?

მოხუცი

სულ დიღ-კაცობა!..
ბატონი-შვილიც იქ ბძანდებოდა.

ქაღა

ასე ამაობენ, იმდენი ხელი
სუსველა იმას შესჩერებოდა!

მოხუცი

შენ რომელს უფრო შესჩერებოდი?
იმას, თუ იმის ვიღაც შინა ყმას?
ჰა!.. რათ გაჩუმდი? რაღათ მიმალავ
გულის პასუხებს შენს მშობელ მამას?

ქაღა

აკი გითხარი?

მოხუცი

ჰმ... სულ ის იყო?
სწორედ მაკვირვებს, სად მიგიგნია?
და დიდი-კაცის შვილი რო იყო,
ვითომ აქამდი არა გცოდნია?

ქაღა

რას მივხვდებოდი და რა ვიცოდი?
უბრალო მწყემსად თავს მაჩვენებდა!.
უკან დაგვდევდა ყველგან ლანდივით,
გზაში გვხვდებოდა, არ მასვენებდა...

მოხუცი

პირველათ, შვილო, სად გაიკანი?

ქაღა

არ გახსოვს, ძალლი რომ მოგვიგერა?

მოხუცი

მაშ, იმ ტყეშიაც ხომ ის არ იყო,
უეცრათ გული რომ აგიძგერა?..
ახლა კი მესმის!.. ესეც მითხარი:
მწყემსურათ რაღათ იმოსებოდა?

ქაღა

აკი გაიგე წუხელი? თურმე
ბატონის რისხვის ემალებოდა.
მაგრამ, რაღაი ბატონიშვილმა
იცნო, ვინც იყო ლა თან იახლა,
ტანისამოსი გამოიცვალა
და თავსაც აღარ იმალავს ახლა.

მოხუცი

შენ რაღა გითხრა?

ქაღა

რა უნდა ეთქვა?
ფიცი ხელ ახლა გამიმეორა.

მოხუცი

ეგები უნდა გაცდინოს, შვილო,
და ყმაწვილურათ რამე. მოჭორა?..

თორემ სად ჩვენ და სად დიდი კაცი!..
შორი-შორს გვიძევს, შვილო, საზღვრი!
შენ არ შეგირთოს, განა ცოტაა
თავადის ქალი გასათხოვარი?

ქალი

ის ასე ამბობს, რომ სიკვდილამდე
არ გაგეყრები... ჯვარს დავიწერო...

მოხუცი

აჰ, არა, შვილო, გულში ნუ იდებ
მაგ სიტყვებს!.. ჯობს, რო არ დაიჯერო!

ქალი

იცი, რა მითხრა? „გელას ქალი ხარ,
მერე დედოფლის მონათლულიო
და რომ შეგირთო, ვერ ვინ დამძრახავს,
ვერც მცირე და ვერც დიდებულიო!“

მოხუცი

ეგ მართალია!.. ღმერთმა ჰქნას, შვილო!
მაგაზე კარგი რალა იქნება!

ქალი

არა, მამილო, რომ არ მატყუებს
გული მარწმუნებს და მეუბნება.

მოხუცი

რატომ აქამდინ არ მითხარი რა?

ქადაგ

მეუბნებოდა: ჯერ დაეფაროთო,
მერე უეცრათ, ჯვარის წერის დროს,
მოხუცი მამაც ვავახაროთო!..

მოხუცი

ქრისტემ ახაროს და აძლიეროს,
იუ ცბიერობით არ ამბობს ტყუილს!..
ქვაბულიძეა... სიტყვა, ვგონებ, რომ
დაეჯერება მამი მისის შვილას!
მამა მისს, ზაალს, კარგათ ვიცნობდი,
ერთხელ სიკვდილსაც გაღავარჩინე!..
როდესაც ტურა რამაზიშვილი
მის წინ სატყვერით ძირს დავაწვინე.
თუ არ მომეკლა, ჰე, ის-ის იყო,
ზაალს მოჰკლავდა ის მოლალატე,
მაგრამ მივუსწარ, დღე დავუმოკლე
და იმისი დღე ზაალს შევმატე.
ის რომ შოვკალი, მისი წლნკლები,
ლეკებიც შეკრთენ... გაიქცა ყველა!..
და მეტ-სახელათ მაშინ დამერჩვა
ვაშკაცაცისთვის გულადი „გელა“.

გამოსტლა III-80

(რევაზ ბებურიშვილი და ოედო რამაზიშვილი ჩამოივლიან და შო-
რიახლოს დგებიან: ათვალიერებენ ქალს)

რეგიზ

ეს არის? მართლა კარგი ყოფილა!..

თედო

მე განა ტყუილს მოგახსენებდით?
 კარგია, მაგრამ რა გამოვიდა?
 ამ დაწყევლილთან რომ ვერას გავხდით!

რეგაზ

ეგები, ბიჭო, თავ-პატიუს იდება,
 მაგითი უნდა მეტი დაკვცინ ცლოს!..

თედო

რა ბძანებაა! ცოტა ვაძლიერეთ?!
 არ მიიკარა, არ იქნა, ახლოს!
 იმდენი ფული და საშკაული
 გადმომიყარა, თავში მახალა!
 „მე შენი გულის არ გავხდებიო!..
 დამეთხოვეო!“ — შემოგითვალა.

რეგაზ

ნეტავ რას ნიშნავს ეგ გულმაგრობა?

თედო

ლევანზე არის გადარეული:
 იმას იგონებს, იმაზე ჰფიქრობს
 და მისთვის უძგერს უტყუვრათ გული!

რეგაზ

მე კი ლევანზე რაღა ნაკლე ვარ?

თებლ

მეც ეგ არ მიკვირს! მაგრამ თვალია.
 ჯერ ერთს შეხედავს, მოეწონება,
 მერე მეორეს... ეგეც ქალია!..
 მე კიდევ ისე იმ აზრზედა ვარ:
 რომ მოვიტაცოთ, კარგი იქნება,
 მაგრამ ლევანი გადაირევა,
 რომ გაიგონებს და ეწყინება!..

რევაზ

ლევან ვინ გდია? იმას რას დავდევ?
 ნეტავ შემეძლოს, გულზეც გავხეთქო!
 ერთხელაც არის, ხომ უნდა შევხვდე
 და სასიკვდილოთ უნდა ვაუეთქო!..
 მე იმას ვუიქრობ, რომ სასახლეში
 ეუცხოებათ, გაჯავრდებიან!..

თებლ

თათრობა არის... მათ დაპირალდება...
 ეჭვს ვინ აიღებს, რას მიხვდებიან?
 სულ მარტოთ-მარტო შორს მთაში სცხოვრობს
 შობუცებული ჩემი მამიდა...
 რომ მოვიტაცოთ, იქ ბივიყვანოთ
 და იქ დაემალოთ, მეტი რა გვინდა?
 მაშინ სულ სხვაა... მამიდა ჩემი
 დაგვეხმარება, რაც შეიძლება,
 და დაგნებდება, როცა რქნება,
 ქალია, გული გამოეცვლება.

რევაზ

კარგი, მაგრე ვქნათ, რა გაეწყობა,

უნდა ვუცალოთ უნებურათ დროს,
ახლა კი უნდა ისევ წავიდეთ,
ბატონიშვილმა არ ჩიმოგვასწროს... (მიღის)

თედო

ჰმ, გელავ; გელავ! მე შენი სისხლი
დიდი ხანია უნდა ამელო,
მაგრამ ბრმა რომ ხარ, დრომდი ვიცდიდი
და მოთმინება ახლა კი მეყო!
რომ მომეკალი, რა იქნებოდა?
რალას ჰერძნობს კაცი, როცა გაჰქრება?
არა, ამ გვარათ ვალის გადახდა
არ იქნებოდა შურის ძიება!!.
ქალის დაკარგვით, ამ სიბერის დროს
უნდა დაგტანჯო და გაგამჭარო
და მამიჩემის მკვლელის, ამ გვარათ,
გულიდან ჯავრი ამოვიყარო!..

გამოსვლა IV. ხე

(ჩამოლიან: გივი და ბაალური აყვანილი მოჰყავთ)

ბაალურ

საღახარ, ჩემო ყმაწყილ-კაცობავ?..
როგორ დავუტდი!.. როგორ დავბერდი!..
სადღაა ის დრო, ჯეირანივით
აქ რომ ავირბენ-ჩამოვირბენდი?!

გივი

მეც პაგას ვჩივი, ჩემო ბაალურ!..
ვინ დაგვიბრუნებს ისევ გაზაფხულე?!

მხოლოდ სხეული ძალას ვერ ატანს,
თორებ სურვილი შერჩენია გულს!

ბაადურ

შენ კი რა გიჭირს ჯერ, ჩემთ გივთ,
მაინც ვერ დაგრევს ჯერ ხელსჭალარა...
მე თუ ასე ვარ... განა სიბერით?
უფრო ჭრილობამ დამასაპყარა.
რალა ვარ ახლა? აღარ ვეკუთვნი
აღარც აქ ცოცხლებს და აღარც იქ მკვდრებს!..

გრგი

ცოტა მიგიძლვის განა აქ ღვაწლი?
უმსახურობას ვინ დაგაყვედრებს?!.
რასაც გვინიშნავს ბელის ვარსკვლავი
გადუვალია ჩვენ თავზე ყველა... (სიჩუმეა)
ჩვენ რომ ვეძებდით, არსად ყოფილა!
აქ ჩამოსულა; ეგერ ზის გელა.

ბაადურ

აქ არის მართლა? მაშ; მიმიყვანეთ!
აღარ მინახავს დიდი ხანია...
ბრძოლის ველიდან ბევრი დაჭრილი
ორივეს ერთად გაგვიტანია.
(ქალი განზე მიდგება. მიიყვანებენ)
ვის ვწედავ კიდევ? გმადლობ, უფალო!
ჰა! გამარჯობა! რასა იქ, გელა?

გელა

ღმერთშია გაცოცხლოს, მაგრამ ველარ გცნობთ,

უსინათლო ვარ... ჩემთვის დღეც ბნელა...
ხმასაც რომ ვეღარ ვარჩევ, ბატონო?!
შელასული მაქვს სიბერით ყური...
ცოტათი, ვგონებ, კი მცნიშნება —
ხომ არ ბძანდებით თქვენ ბაადური?

ბაადურ

გამოიცანი, სწორეთ ისა ვარ!..
შენ ბრმა ხარ და მე — დაკუტებული!..
სხვებ ხომკარგათ ხარ? რასა იქ, გელა?
არ გაგტეხია განა ჯერ გული?

ბელა

გული რომ მერჩის, იმის ნახევრათ
ნეტავ მიჭრიდეს ძალი და ლონე!..

ბაადურ

გული მეც მერჩის, მაგრამ სიბერეს
თავი მივეცი და დავემონე...
წავიდა, გელავ, ჩვენი დრო, გაჰქრა,
სულ სხვა დრო არის და სხვა კაცები!..

გიგი

მეც ეგ მაწუხებს, ჩემო ბაადურ,
და გულს მიწყლულებს, ღმერთს გეფიცები!
დროსაც სცოდნია დაჩიავება:
ალარავინ პგავს თავის წინაპარს...
და, ამ მიზეზით წაქეზებული,
შემოგვეხვია მტერი მედგრათ. გარს!

გელა

არა, უფალი სულ არ გასწირავს
 მღვთის მშობლის წილ-ხვედრ საქრისტიანოს!
 მხოლოთ გამოსცდის, რომ შეცოდება
 მას აგულისხმოს და შეანანოს!..
 (ქუდს მოიხდიან და პირჯვარს იწერენ)

გამოსვლა V-თა

(პატარა კახი, რევაზ, ლევან, თედო და სხვა მხლებლები)

ქახი

ხელავთ, ბებრები სადა ყოფილან?
 ეგერ თავისთვის ლაპარაკობენ!

რევაზ

უთუოდ, ახლა ჩვენს დროს ჰყიცხავენ
 და თავისას კა დიდათ ამკობენ.

ქახი

განაარააქვთ, რომ ვთქვათ, სიმართლე?

რევაზ

კი, მაგრამ მიგით რა გაკეთდება!

ლევან

ძველი ამბავი მოხუცებულებს
 სულსა და გულზე მაღამოთ ხვდება.

ქახი

ეგ მართალია! (გახედავს) ე, დაგვინახეს...
 გივი წამოდგა, მოხუციც დგება...

მივიდეთ, ვუთხრათ თქვენი ამბავის;
 რომ გაიგონებს, გივს იამება! (მიღიან)
 გივო, ერთ რამეს გიმახარობლებ,
 რაღა თქმა უნდა, რომ გიამება!
 ლევან და ორვაზ დღეს შევარიგე
 და მათი შულლი აწ გათავდება:
 ერთი მეორის დაშორებული
 აქამდის მეტის შურით და მტრობით,
 დღეიდან უნდა შევაკავშიროთ
 საშეილიშვილოთ ტკპილის მოყვრობით:
 ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ქვაბულიძემ
 ცოლათ შეირთოს ამ არვაზის და... .

ქაღა

უი! (ხელებს მიიფარებს პირზე)

გვეჯანი

რა იყო, რა ამბავია? (მიცვინდებიან)

ქახი

რამ შეგაშინა, ჭალო, რა მოხდა?!

მოხუცი (თავისთვის)

ვიცი, რაც არის! (ქალს)

რას შვრები, შვილო?

ქახი

ბუზი!.. კინაღამ ბუზმა მიკბინა!..

ლევან

ბუზი კი არა, ფურქარი იყო,

მეც დავინახე, — რამ შეგაშინა?
 მაგის ნაკბერი დიღხანს არ გასტანს,
 წყლული აღვილათ მოგიშუშდება!
 ახლა რომ გულში ჩაითქვა რამე,
 გამიგონია, — აგისრულდება.

ქახი

იცი, ვინ არის ეგ ქალი, ლევან?

ქალი (თავისთვის)

რა მომივიდა, ვაი, სირცხვილო!

რეგიზ

გელას ქალია. (ხელს აღებს გელას)

ქახი

გელა ეგ არის?

გელი

გახლავარ, ჩემო ბატონიშვილო!

გეგი

დიახ, ეს გახლავსთ და მისი ქალიც
 ბატონ-დედოფლის მონათლულია!

გელა

სწორეთ... და ესეც დიდი ხანია
მათი დანახვის მონატრულია.

გახი

მართლა? ვაშ, რატომ თავის ნათლიას
არ ამოუყვან და არ აჩვენებ?
იცოდე, ხვალვე ამოიყვანე
და დღეს კი დედას მე მოვახსენებ.
(ქისას იღებს და უჭირავს ხელში)
შენ, ჩემო გელავ, — გუშინაც შევცდი,
რომ მოგაწოდე ეს სამოწყალო..
მაგრამ ნათლულს კი ნება მაქვს მივსცე,
ჰა, გამომართვი ეს ქისა, ქალო!

გელა

ბატონიშვილო, ნუ გამიწყრებით!
ვინ ბრძანდებოდით; არ გამიგია,
თორემ, ვიცი, რომ თქვენი წყალობა
ტალახიანი ჯოხიც კარგია.
სადა ხარ, შვილო? მოდი, იახელ
და მოეხვივ მუხლებზე ბატონს!
ღმერთი მოხედავს მაგ შენს ობლობას
და გამოგვიჩნს მფარველს და პატრონს!
(ქალი უპირებს მოხვევას, ირაკლი არ აძლევს ნებას)

გახი

მაგას ნუ იზამ, სულიერო დავ!..

მოდი, როგორც ძმას, მოშვიე ხელი!
 (თვითონ მოპხვევს ხელს ქალს და ჰქოცნის)
 აბა, მოხუცო, არ დაგავიწყდეს:
 ხვალ სასახლეში უთუოდ გელი!..
 (მხლებლებს) დროა წავიდეთ აწ, ყმაწვილებო!

რევაზ

თქვენი ნებაა, როგორც გგიბძანებთ!

გიგი

ჩვენც გამოგყვებით, ჩემო ხელმწიფევ!

ბაადურ

ვიახლოთ, ნურც ჩვენ დავიგვიანებთ.
 (მიღიან. რევაზ და თედო ჩამორჩებიან)

რევაზ

რა უთხრა გელას ბატონიშვილმა,
 ხომ გაიგონე? ახლა შენ იცი!
 სულ ორი ბიჭი და ერთი ცხენი...
 ჩამოართვი კი ორივეს ფიცი... (მიღის)

თედო

მესმის, ბატონო! განა არ ვიცი,
 ეგ სულ ადვილი სამსახურია...
 (თავისთვის) მეც გადაგიხდი სამაგიეროს,
 გელავ! მე შენი სისხლი მწყურია!.. (მიღის)

გამოსვლა VI-სე

(მოხუცი და ქალი)

მოხუცი

შვილო, რა იყო, რომ შემარცხვინე?

ქალი

რა ვქნა, მამილო, უეცრათ შევკრთი...

მოხუცი

აკი ვამბობდი — ტყუილია თქო!
გენიშნა განა? ახლა ხომ მიხვდი?
რაღა რევაზის დას დანიშნავდა,
თუ ნდომებოდა ჯვარის დაწერა...

ქალი

არა!.. მგონია, აქ სხვა საქმეა,
რომ მიღალატოს, მაინც არ მჯერა!
ფუტკრის არაკი რომ მოაყოლა,
ჩემ გასაგონათ თქვა და არა სხვის!
ა, აგერ მოდის, დაბრუნებულა,
და ვნახოთ თვითონ, აბა, რას იტყვის?

გამოსვლა VII-დე

(ისინავე და ლევან, მობრუნებული)

ლევან

დავბრუნდი, რომ შენ გისაყველურო:
ისე შეკრთომა განა იქნება?

ქალი

გული ბუდიდან ამოშივარდა...
ახლაც კი მიძერს!.. შენ გეცინება?..

ლევან

ჩანს, არ ყოფილხარ ჩემ სიყვარულზე
ჯერ კიდევ კარგათ დარწმუნებული,
თორემ რას დასდევ, ვინც რა უნდა თქვას?
ნუ თუ საგულეს არა გაქვს გული?

გელა

გაფიცებ, ლევან, მამიშენის სულს
ამ საცოდავ ქალს ნუ ეხუმრები!
მართალი არის, ბრძა კი ვარ, მაგრამ
გონების თვალით ჯერ ვიყურები:
თქვენ მხოლოდ ხუმრობთ...

ლევან (სიტყვას იწყვეტინებს)

როგორ თუ ვხუმრობ?!
ვგონებ, თვითონ შენ მწუნობ სასიძოთ!

გელა

მე თქვენ სიძობას ვერ დავიჯერებ,
რა ვქნა, ხატზედაც რომ შემომფიცოთ!..

ლევან

შენ, ჩემო გელავ, კარგათ ვერ მიცნობ,
სიტყვის გატეხას არ ვარ ჩვეული

და სათმმაშო, საბავშო ბურთად,
არ მიმაჩნია ეს ჩემი გული!
უცნაურ ძალით და უნებურათ
შემყვარებია ეგ შენი შვილი
და რაღა გაგვყრის აშიერიდან
უკუნისამდე, თუ არ სიკვდილი?

გელა

კარგი... იმაზე, მაშ, რაღას იტყვით,
ბატონიშვილმა რომ აქ გიბძანა?

ლევან

იმან რომ ბძანა, მერე რააო?
ვალდებული ვარ დავთანხმდე განა?
თუ საჭიროა მე და რევაზის
შეკავშირება და დამოყვრება,
მეც მყავს ერთი და, განა ელენე
რევაზს საცოლლოთ არ ეკადრება?
იმათ საცოლ-ქმროთ დაახლოვებას;
რაღა თქმა უნდა, რომ მეც ვეცდები
და თავის დროზე ჩემ საიდუმლოს
ბატონიშვილსაც გამოვუტყდები!

ქალი

მაშ, არ შეირთავ იმ რევაზის დას?

ლევან

რომ მკითხავ, თვითონ ვერა გრძნობ განა?

ქალი

ვიცი... ვიცი, რომ არ მომატყუებ,
გინდა გატრუვდეს ცა და ქვეყანა!..
მაგრამ მამა კი ვერ დავაჯერე,
გულ-გატეხილი სხვას მეუბნება!

ლეგანი

ნუ გაუგონებ, ჩემო სიცოცხლევ,
ჩემო იმედო, ჩემო ოცნება...
მოხუცი ცველა იჭვიანია
და არ იჯერებს, რაც მართალია,
მაგრამ ხომ ნახავს? ახლა მშვიდობით,
შათ უნდა დავწვდე, არა მცალია! (მიდის)

ქალი

აბა, რას იტყვი? ხომ გაიგონე?
მაგის სიტყვები არც ახლა გჯერა?

ბეჭა

არ ვიცი, შვილო, ველარას ვიტყვი!..
შემთხვევა არის და ბეღის-წერა...

გამოსვლა VIII-ვე

(ისინივე და მუშები მოვლენ).

მუშები

ჰაა... გამარჯობა! რასა იქ, გელა?
არაფერს გვეტყვი დლეს ახალ ამბავს?

გელა

ცოტა რომ აღრე მოსულიყავით,
თვითონ ნახავდით კაი სანახავს:
აქ ბძანდებოდა პატარა-კახი,
დარბაისლებით, დიდი ამალით!

მოხუცი გლეხი

მართლა? ნეტავი ერთი მენახა
მობძანებული აქ ჩემი თვალით!

ახალგაზდა

მართლა რომ კარგი სანახავია!..

მეთაური

რაო? რა ბძანა? რასა ჰფიქრობენ?

გელა

გაუკრავსთ პირი თავადიშვილებს!..
რალაცა ამბავს კი აპირებენ...
ამბობენ: კმარა რაც უსჯულოებს,
ვემონებოდით ამდენ ხანსაო,
ახლა კი დროა, რომ მათი სისხლით
წითლათ ვღებავდეთ ალაზანსაო!..

1-ლი გლეხი

ეტყობა, ახლა აღარ ხუმრობენ...

2. ბე გლეხი

ემზადებიან!..

3. ბე გლეხი

ჩვენ რაღას ვშერებით?

მახუწი გლეხი

რაღა უნდა ვქნათ? ჩვენც კაცები ვართ
და ქუდი გვხურავს, რათ ჩამოვრჩებით?!

4. ხე გლეხი

განა როდისმე ჩამოვრჩენილვართ!

3. ბე გლეხი

ან უკან როდის დაგვიხევია?

მეთაური

მათ ხმალთან ერთად უჭრია ჩვენსას
და ფარიც ერთად დაგვიხევია!

მახუწი

კი, მაგრამ ყველას რომ აღარა გვაქვს
თოფუ-იარალი?

სხალგაზდა

ჩათ გვინდა მეტი?

ჩარეულ ომში რაღა ნაკლია
შენ ხმალ-ხანჯალზე ქვები და კეტი?

1-ლა გლეხი

ცული და წალდი ხომ ყველასა გვაქვს?

2-ლე გლეხი

და ეს კი განა არ გამოდგება?..

(უჩვენებს თოხს)

პირიც კარგი აქვს, ყუაც კარგი აქვს,
გამომდგარია... რათ უნდა ქება!
ვითომ გიმტყუნოსთ?! თქვენ არ მომიკვდეთ!
ნუ გეშინიათ, დაატრიალეთ!

გელა

თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი,
რომ მაგას ამბობთ, თქვენ გენაცვალეთ!

1-ლი გლეხი

ჩვენი მამები თუ კი ომობდენ,
იმათზე ნაკლე ჩვენ რიღათი ვართ?!
თუ წინ წამძლოლი ვინმე გვეყოლა,
გულ და გულ მივალთ, ყველა მზათა ვართ...

გელა

წინა მძლოლს ეძებთ? — მე აქ არა ვარ?
რათ გავიწყდებათ ნაცალი გელა?

მეთაური

კი, მაგრამ დღეს რომ ველარა ხედავს,
საუბედუროთ, მისათვის ბნელა?!..

გელა

ეგ არაფერი! მართალი არის,
ველარას ვხედავ, დამიღვა თვალი,
შაგრამ, სანამდი გვერდში მიღვია
და ხელსაც მკიდებს ეს ჩემი ქალი,
არა მიჭირს რა, ისევ გულადათ
მივეგებები ჩვენი ქვეყნის მტერს!
გელას დანახვა ჩვეულებრივათ
მათ შეაშინებს და შეუცვლის ფერს!..
თქვენ კი მომყევით!.. მაგრამ ჯერ უნდა
ჩვენს მეზობლებსაც შევატყობინოთ
და სავაშკაცო ჩვენი განძრახვა
წასაქეზებლათ ყველგან მოვფინოთ.
არა გვიშავს რა, ჩვენი ქვეყანა
ისე მაგრათ დგას, როგორც რომ მუხა!
მტერი მუმლივით ეხვევა, მაგრამ
ჯერ ვერ გაახმო, თუმც შეაწუხა...
„მუმლი მუხასა“ — მუშურს რომ ვამბობთ,
არ ვმლერთ უაზროთ და უადგილოთ,
არა, იმაში სიბრძნეა ხალხის
გადმონაცემი საშვილი-შვილოთ!..

მუშები

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,

რომ მაგრე გიჭრის ჭკუა-გონება!
ეგ შენი კარგი სიტყვა-პასუხი,
გულს რომ გვიმთელებს, სულს ეფონება!..
წავიდეთ, აბა რაღას ვგვიანობთ!

მეთაური

მართლა, აწ დროა, წავიდეთ ყველა!
ეს გზა სიმღერით გადავიაროთ!
აბა, წაგვიძეს ისევ შენ, გელა!..
(თოხებს გაიდებენ მხარზე. გელა ქალს მიჰყავს წინ და სიმ-
ღერით მიღიან)

მუმლი მუხასაო,
გარს ეხვეოდაო;
გარს ეხვეოდაო,
ვერას აკლებდაო,
მუმლი წყდებოდაო,
მუმლი ქრებოდაო,
სე არ ხმელოდაო,
სეთვე რჩებოდაო,
მუმლი მუხასაო,
გარს ეხვეოდაო!..

მო ძმენდება გეოთხე

სცენა პირველი

სასახლის წინ

გამოსვლა პირველი

რეპტი და სასახლის ქანი.

რეპტი

ჯერ გამობანდა მეფე თუ არა?

ქანი

იქავ ბძანდება დარბაისლებით.
გივი თან ახლავს და ბააღურიც
ახლა შევიდა.

რეპტი

ჩვენც ვიახლებით.

ქანი

ვერა, ბატონო, არ შეიძლება!..
ნაბჭანები ჰაქვს, სხვა არ მავიღო.

რეგაზ

ბატონიშვილის მოციქული ვარ
და როგორ მიშლი? რას ამბობ, ბრიყვო?!

ძაცი

მაინც ვერ შეხვალთ, ჯერ მოიცადეთ.

გამოსვლა II-რი

(ისინივე და თედო შემრიჭებიან)

თედო

ბატონო! გეძებთ თავ-ქუდ მოხდილი...
სასახლეშიაც გახლდით, ვერ გნახეთ!
ლამის გავგიუდე მე ცოდვის შვილი!..

რეგაზ

რა ამბავია?!

თედო

რაღა რა არის!
ვერა ვარ კარგი მახარობელი!..

რეგაზ

მოკვდა?

თედო

ავათაც არა ყოფილა,
იმას წაუწყდეს შემქნელ-მშობელი!..

რეგაზ

და ეგ არა სჯობს?

თედო

იჭ, როგორ თუ სჯობს?

ამდგარა ჩუმათ და გაპარულა!

რეგაზ

საღ გაპარულა?

თედო

ღმერთმა ნუ იცის!..

რეგაზ

მერე მაპიღა?..

თედო

მოტყუებულა!..

ახლა კი ტირის და თავში იცემს,
მაგრამ ტირილით რაღას გააწყობს?
დილას მდევრები გამოვუყენე...

რეგაზ

ეტყობა, კარგათ იცნობს ავალმყოფს!..

შენ რაღას უცდი? წადი, მონახე,

უმისოთ ნუღარ დამენახვები,

თორემ ურმით გდევ!

თედო

წავალ, ბატონი,
თუ ვერ ვიპოვე, თან გადავყვები!.. (მიღის)

გამოსვლა III. მე

(რევაზ. ლევან შემოდის)

ლეგან

რას შერები, რევაზ? ბატონიშვილი
მოულოდნელათ მიერთოს პასუხს!

რევაზ

რომ არ შემიშვეს?! დარბაისლები
შეუყვანია და გული უწეუხს.
შეყრილან ერთად ნათუსალები
და მეფე იმათ ეთათბირება!..

ლეგან

რა დროს ეგ არის! იმ დალოცვილმა
არ იცის ახლა, რა გვეჭირვება?

რევაზ

კიდევ ეგ არის, რომ კარგათ იცის!..
გულსაც ეგ უტეხს და ეგ აღონებს,
სიფრახილე მართებს ამისთაანა. დროს
და პატარა კახს რას დაუჯერებს!
მართლაც, თათრებთან პირდაპირობა,
უნდა გამოვტყდეთ, საეჭველია!..

ლეგან

მე ალისკანტი უფრო მაფიქრებს:
ლეკებთან ბრძოლა უფრო ძნელია!..

ლეგაზ

მეც მაგას ვამბობ... ამდენი ჯარი
ერთად ჯერ კახეთს არ მოსდგომია!..

ლეგან

მეტი რა გზაა? უნდა გავბედოთ...
ერთი წაშალი მხოლოთ ომია!
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით,
მოვიდეს, რაც რომ მოსასელელია!..
თორემ ამდენი ტანჯვის ატანა,
სწორეთ სივლახე, სისულელეა!..

(ცოტა სიჩუმის შემდეგ ხელს დადებს რევაზს)
რევაზ, მე ერთი სათხოეარი მაქვს,
ის უნდა გთხოვო და ამისრულე!
თუ გამაწილო და დაივიწყო,
ლვთის და კაცის წინ იყო მოვალე!

ლეგაზ

რა?

ლეგან

ალისკანტის ჯინი მიჭირებს,
იმან მომტაცა სწორეთ ის ქალი
და, თუ სანაცვლო არ გადვუჩადე,

მე რაღათ მინდა თავი ცოცხალი!..
 დავლურში მინდა გამოვითხვო,
 ან უნდა მოვჰკვდე, ან შევაკვდები,
 თუ, ვინიცობა, მე დამამარცხოს,
 შენ მოერიდე, ნულარ გაჰყვები!

ოეგაზ

რას ამბობ, ლევან, შენ ჩემ წინ მოგქლან
 და ავიტანო ის მე გულ გრილათ?

ლეგან

სწორეთ!... ორ გვარი გაწევს შენ ვალი,
 რომ არ აჩქარდე და იყო ფრთხილათ:
 პირველი ის, რომ თავის გაწირეთ
 ველარას მარგებ, კარგათ იცი, მევდარს!..
 და მეორეც ის, რომ შენ მაგიერ
 ვინდა მოუვლის ჩვენ ცხენოსან-ჯარს?
 ერთსაც ამას გთხოვ, თუ, ვინიცობა,
 ის ქალი კიდევ საღმე გამოჩნდეს,
 შენ უპატრონე, ჩემ მაგიერათ,
 როგორც ლვიძლი და—გებრალებოდეს!..

ოეგაზ

ნეტავ რას ამბობ?! რა დროს ეგ არის?
 ღმერთმა გაშოროს, ძმაო, სიკვდილი!..

გამოსცლა IV-ხე

(ისინივე და შიკრიკი შემოდის)

შიგრიგი

გიცდიან... გთხოვენ, მალე მობძანდეთ!

რევაზ

ვინ გვიცდის?

შიგრიგი

ვინ და ბატონიშვილი. (მიღიან)

ს ც ე ნ ა მ ე ო რ ე

დარბაზი

გამოსცლა I-ლი

(მეფე, დედოფალი, გივი, ბაადურ და სხვანი)

ბაადურ

საპყარი მოველ, ვერ გადავუდეგ
ბატონიშვილის მოციქულობას...
და თქვენი რისხვით, ჩემო ხელმწიფევ,
ნუ შეურაცხვოფთ შუამდგომლობას.

მეფე

ჩემო ბაადურ, რა უნდა გითხრა?

მაგის პასუხი ახლა ძნელია!..
 სიჩქარით „ჰო“ და „არა“ არ ითქმის;
 როდესაც საქმე საეჭველია.
 უანგარიშოთ და უფიქრელათ,
 საშიში არის ბედის მინდობა!
 ვაი, თუ უფრო გავაზვიადოთ
 ახალ-გაზდების ჩვენ თავხედობა!

გიგი

გვიანდა გახლავსთ ახლა სიფრთხილე...
 ამდენ მუქარას და ამ ამდენ სირცხვილს,
 არ გვირჩევნია ლმერთი ვახსენოთ
 და დავეთანხმოთ დღეს ბატონიშვილს?

მეჭე

თქვენ, დედოფალო, რაღას გვიბძანებთ?

დედოფალი

გივს ვეთანხმები, რადგან ფრთხილია
 და, ძნელ საქმეში წინ დახედული,
 უველაზე უფრო ვამოცდილია.

მეჭე

აქამდი სწორეთ მაგრე მეგონა,
 მაგრამ დღეს ეგეც-კი შემცდარია:
 ჯერ უმისოთაც წამხდარი საქმე,
 მაგან სულ უფრო არივ-დარია!
 ვერა ხედავდა, რომ ჯერ ირაკლი

ამოდენ ჯარს ვერ ჭოგვიგერებდა?
რათ არ ურჩია? როგორც მის გამზღველს,
მაგას ხომ სიტყვას დაუჯერებდა?

გიგა

ჩემო ხელმწიფევ, ეგებ ის ჯობდეს,
ბატონიშვილი რასაც აპირებს!

ძეჭვე

როგორ თუ ჯობდეს?! შენი პასუხი
ვერ გამიგია, სწორეთ მაკვირვებს:
ავათ, თუ კარგათ დღემდის ვუძლებდით
შინ შემოსეულ მტრების მონებას
და დღეიდან-კი გარისხებული
ჯამოგვაცლიან ყოველ ქონებას!
ვერ გაიგონე, რა შემოთვალეს,
როგორი სიტყვა და რა მუქარა?
დღეიდან მაგათ დასამშვიდებლათ
ხარკი რომ მივსცეთ, ის აღარ კმარა!..
უღელზე კიდევ უღელს დაგვადგმენ,
აუტანელი გახდება ტვირთი...
თუ გავუძალდით, სრულათ წაგვლეკავს
მაგათი ღელვა, მაგათი ზეირთი!..

დედოფალი

ჩემო ხელმწიფევ, არც მაკრე ვარგა
გულის გატეხა და შეშინება!

ბაადურ

შარემ სულ გავწყდეთ, ის გვიჩევნია!..

გიგი

ჩვენ გავცემთ პასუხს, გვიბოძეთ ნება!
საშვილიშვილოთ რომ ამოვვარდეთ;
აგრე ლმერთს როგორ დავაგიწყდებით?!
უთქვამთ: „ცდა ბედის მონახევრეა“,
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით!..

მეფე

კერძოთ თუ მკითხავთ, მეც თანახმა ვარ,
როგორც მეფეს-კი არ მაქვს უფლება:
ჩემ ხელში არის მთელი სამეფო,
ბედის გამოცდა არ შეიძლება!..
როგორ გავწირო მთელი ქვეყანა?!
ლმერთთან და კაცთან დავრჩე მოვალე!..
ეს დრო და უამი ცვალებადია:
დღეს ვინ რა იცის, რას გვეტყვის „ხვალე“?
თუ ყმაწვილობით ბატონიშვილია,
მოულოდნელათ ცეცხლში ჩაგვყარა,
რომ გაასწოროს აწ ის შეცდომა,
მოვალე არის ჩვენი ჭალარა.

დედოფალი

რას იტყვი, გივო, ხომ გაიგონე,
ბატონი მეფის ბრძნული ბძანება?

გიგი

თანახმა არ ვარ, ჩემო ხელმწიფე,
და პასუხს ვკადრებ, თუ მომცა ნება... .

მეფე

თქვი და მოვისმენთ.

გრგო

გმადლობ, ბატონო!

ლმერთმა გიკურთხოსთ დიდ-სულოვნება!

ყველა ვხედავდით, რაც ჩვენს ქვეყანას

მოადგა მტრისგან ტანჯვა და ვნება...

ყოველ სოფელში, ყოველ ციხეში

ჩამდგარი იყო იმათი ჯარი,

აღარ რჩებოდათ შეუბლალავათ

არ რა სიწმიდე, ხატი და ჯვარი!..

სიამ-ტკბილობა და მოთმინება

ჩვენი იმათთან არ გადიოდა...

ქვეყნის ორგულებს პატივსა სცემდენ

და ერთგულს ყველას ცრემლი სდიოდა!..

ამით უნდოდათ, რომ საქონველო

ზნეობით სრულათ დაცემულიყო

და საუკუნოთ მონების ჯაჭვით

მომხიბვლელ მტერთან გადაბმულიყო!..

დღეს და ხვალობით ცოტ-ცოტათ სენი

გაუჯდა მხარეს რბილში და ძვალში!..

რომ ცოტა ხანი კიდევ დასცლოდა,

სიკვდილს უქადა მას მომავალში,

მაგრამ გამოჩნდა მკურნალით გმირი,

რომ ზნეობითი შეეგსო ნაკლი

და უწინამძლვრა...

დედოფალი (სიტყვას აწყვეტინებს)

ეს გმირი იყო
პატარა კახი, ჩემი ირაკლი?

გვერდი

დიახ, ირაკლი! ანდამატივით
გარს შემოისხა ყმაწვილ-კაცობა
და მით უჩენა, სამაგალითოდ,
პირადი ლვაწლი და მამაცობა:
დაჰყო ცალ-ცალკე გუნდებათ ჯარი,
ყველა კი მასვე ეთანხმებოდა
და, მტერს თუ საღმე შეიგულებდა,
მოულოდნელათ თავს ესხმებოდა.
ციხე კოშკებში ჩაემწყვდა მტერი,
გარეთ გამოსვლას ველარ ჰბედავდა...

მეფე (სიტყვას აწყვეტინებს)

ყმაწვილ-კაცობაც, წაქეზებული,
მწარე მომავალს ველარ ხელავდა!
დააგდო მტერმა სიმაგრეები
და აქ მოგვადგა შეერთებულათ,
რომ სრულის ძალით, ბარემ ერთ თავად,
საშვილი-შვილოთ გაგვსრისონ სრულათ!..
ეგ მართალია! მაგას ჰფიქრობენ
და ალისკანტიც იმათვე ჰშველის,
მაგრამ არ სძინავს არც პატარა კახს!..
მომსვლელს, იცოდეს, დამხვედრიც ელის!..

ბააღურ

ჩემო ხელმწიფევ, იყო დრო, როცა
 ღიღ-სულოვნებით მეც მიგდებდით ყურს,
 დღეს სნეულ-საპყარს რაღა მეკითხვის,
 მაგრამ არ იშლის გული სამსახურს!..
 მეც უნდა გკადროთ უგნური სიტყვა,
 რომ არ ჩავიკლა გულში უთქმელათ:
 ამ დროში ყველა არ გამოდგება,
 რაც სასარგებლო ყოფილა ძველათ.
 ცვალუბადია წუთის-სამყარო. . .
 რაც კი არსებობს, ყველა იცვლება!
 წარსული არ ჰგავს აწმყოს, მომავალს...
 სხვა-და-სხვა არის მოთხოვნილება.
 ჩვენი დროება სულ სხვა დრო იყო,
 ახლა-კი სულ სხვა დრო და უამია!
 მაღლობა უფალს, ავათ თუ კარგათ,
 ჩვენ ჩვენი პური მოგვიჟამია!
 ეს დრო მივანდოთ ახალ-თაობას,
 იმის რიგია, იმან განაგოს!
 წაახდენს რამეს, თუ გააკეთებს,
 ლვთის და კაცის წინ პასუხიც აგოს...
 წინ დახედული პატარა-კახი
 არას ჩაიდენს სასინანულოს!
 არ იკისრებდა პირ და პირობას,
 თუ არ ხედავდეს სასურველ ბოლოს.

მეფე (დედოფალს)

თქვენ რაღას ბძანებთ?

დედოფუალი

თქვენ დიდ გონებას
 რალას შემატებს სიტყვა და რჩევა,
 მაგრამ სიბრძნესაც-კი ეჭირვება.
 ზეცის თანხმობა და ღვთის კურთხევა:
 თვით მამა ჩემი, მეფე ვახტანგი,
 ამის მაგალითს გვიჩვენებს ნათლად:
 სიმხნით და სიბრძნით თანსწორ განთქმულმა
 თვი შესწირა მის სამშობლოს მტლად!..
 მისი სულის დგმა, მისი გულის თქმა
 ქვეყნისთვის ჰქონდა მას შეწირული...
 ყოველი მისი ბაჯის გადადგმა
 თვით სიბრძნე იყო, წინ-დახედული!..
 მაგრამ შავ-ბედის უკულმართობა
 მას ხელს უშლიდა ყველგან, უეცრათ
 და მის ყოველი მეუღრი ღვაწლი
 ბოლოს რჩებოდა მტვრათა და ნაცრათ...
 და უცხო მხარეს, იმ ნათლით მოსილს,
 სიკვდილის წინეთ ეს წამოეთქვა:
 „აქვე დამმარხეთ და საქართველო
 გულზე მედება, ვით სამარის ქვა!“
 ზედ ეწერება: „საღაც ველარ სკრის
 სიფრთხილე და შორს გამჭვრეტელობა,
 იქ სჯობნებია გამბედაობა
 და ღვთის ნანდომი საეჭველობა“..
 დღეს ამ დღეშია სწორეთ სამეფო...“

მეფე

თქვენც მაგას ბძანებთ?

დედოფლი

დიახ ბატონო!

მეჭე

მაშ, გაგიწირავს რაღა ქვეყანაშ!..
 მაგრამ მსურს ერთიც რომ მოგაგონო:
 ჩვენს ქვეყანასთან ხომ უნდა იქნეს
 პატარა კახიც თან განწირული
 და, როგორც დედას ერთი შვილისას,
 რას გეუბნება, რას გირჩევს გული?

დედოფლი

როგორც ქართველ ქალს, ჩემი ირაკლი
 ქვეყნის სამსხვერპლოთ გამომიზდია
 და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
 მოვალეობა გადამიხდია!..
 გადახდეს მასაც გადასახადი,
 ქვეყნის სამსხვერპლო სესხი და ვალი...
 და ჩვენც ღმერს ვთხოვოთ: აუმჯობესოს
 მისი ვარსკვლავი და მომავალი!..

მეჭე (დიდის ფიქრის შემდეგ)

შაშ კარგი! ახლა მეც გეთანხმები,
 უკუ მიკდია ჩემი სურვილი!..
 ნება გაქვს, გივო, ახლავ წახვიდე
 და შემომგვარო თავხედი შვილი.

გამოსტლა II-რე

(ისინივე და პატარა კახი ამაღლით)

მეფე

დარბაისლების მოციქულობაშ
 და დედაშენის სურვილმა გასჭრა!..
 მაგრამ, ხომ ჰედავ, რომ სნეულობაშ
 ასე უეცრათ გულს ისარი მცრა?
 არ შემიძლია ჩვეულებრივათ
 რაზმის დაწყობა... ომში ტრიალი
 და მოახერხებ შენ, რომ იკისრო
 წინ დახედულათ დღეს ჩვენი ვალი?

ქახი

ვეცლები თქვენის ხელ-მძღვანელობით.

მეფე

კეთილი! მაგრამ რისი იმედით?
 იმათი ჯარი უთვალავია!

ქახი

არა გვიჭირს რა, ჩვენც მზათა ვართ, ხვთით...
 მართალი არის, იმათი ჯარი
 ჩვენსაზე ცხადათ უფრო ბევრია,
 მაგრამ გავუძლებ მათ ვაშ-კაცობას!..
 რიცხვით შეტობა არაფერია!..

გავა

იმათზე უფრო მე ალისკანტი

მეჩოთირება და ის მაფიქრებს:
 სამი ათასი ლეკით მოსულა
 და მისასვლელზე მტერს ზურგს უმაგრებს.

ბაადუნ

დალახვროს ღმერთმა! რა მეღროვეა?!..
 რომ ველარ გაძლა ის ჩვენი სისხლით!
 ნეტავ შემეძლოს, ახლაც დავლურში
 რომ გამოვიხმო, თქვენი სიცოცხლით...
 ჩემ დროში მაგას ბევრი სხვა სჯობდა,
 მაგრამ სუყველას დედა ვუტირე!..

ქახი

ნუ გეშინია... იმას ამ დროშიც
 გამოუჩნდება მოპირდაპირე!..

მეჭე

თუში ბევრი გვყავს?!

ქახი

სამასი კაცი.

მეჭე

ფშავ-ხევსურები?

ქახი

ცხრა-ასიოდე.

მეფე

სარდლათ მიეცი მათ ჭავჭავაძე.
ლეკებს ეომონ მხოლოთ, იცოდე!

გახა

ჩვენც ეგ დავსკვენით.

მეფე

მემარჯვნე სარდლათ
ჟინა გყავს, შვილო, გამორჩეული?

გახა

ქვაბულიძეა, ლევან.

მეფე

მემარცხენეთ?

გახა

მემარცხნეთ — რევაზ ბებურიშვილი.

მეფე

მიმშველი ჯარის?

გახა

ჯანდიერია.

მეფე

მოწინავესი?

ქახი

მე ვარ, ბატონო!

მეჭე

შენა ხარ? ეგ კი უხერხულია!
 არ შემიძლია, რომ მოგიწონო!..
 შენ უნდა დარჩე მთავარ-სარდალთან,
 რომ ყოველის მხრით გეჭიროს თვალი!
 სარდალს არ ჰქონობს მოწინაობა,
 როდესაც სულ სხვა იწოდებს ვალი.

ქახი

თქვენი ნებაა.

მეჭე

მაშ კარგი, შვილო!
 ახლა კი დროა, გზა დაგილოცო!..
 ეს მინდა, გულზე რომ გადაგკიდო...
 ჯერ კი მუხლ-მოყრით უნდა აკოც
 ამ ძელ-ჭეშმარიტს და ამ სასწაულს!
 ეს იყოს, შვილო, შენი მფარველი!..
 ახლა კი ადექ, მომიახლოვდი,
 გადაგხვევი, მომხვიე ხელი! (ჰკოცნის)
 შშვილობით, შვილო, მაღალმა ღმერთმა
 გიწინამძლროს და მოგმადლოს ძლევა!
 ახლა დედასთან მიღი... იახელ
 და გამოსთხოვე ლოცვა-კურთხევა!
 (ცრემლები ერევა)

დედოფლი

დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა
გაკურთხოს, შვილო, გზა წარგიმართოს!.. (ჰკოცნის)
გივო, გაბარებ უკანასკნელათ
და ნუ გაუშვებ საომრათ მარტოს...
(ეთხოვებიან. ირაკლი გადის ამალით, გივი გაჰყვება.
სიჩუმეა, მეფე აღლვებულია და ორივე ხელები გულზე
აქვს მიღებული, დედოფალი ცრემლებს იწმენდს, ქალები
ჩუმათ ქვითინებენ)

ბაადურ

როგორ ბრძანდები, ჩემო ხელმწიფევ?
გულის ფრიალმა გიკლოთ, თუ არა?

მეფე

ლაშის მამიდნოს ჩემო ბაადურ...
ახლა-კი ცოტა გადამიარა. (სიჩუმე)
(დედოფალს) მტერი მიიღებს პასუხს თუ არა,
უეპელია, ბრძოლაც ასტყდება
და დედა-წულის აქ დატოვება
საშიში არის, არ ევარგება!..
ჩვენც, დედოფალო, უნდა წავიდეთ,
აქ აღარავის მოგვასვენებენ.
სუყოველიფერ აქაურ ამბავს
იქ შიკრიკები მოგვახსენებენ.

დედოფლი

ჩემო ხელმწიფევ, მე სუყოველთვის
ვყოფილვარ თქვენი სურვილის მონა,

მაგრამ დღეს უნდა სიტყვა შეგკადრო
 და შემისრულებ ეს ერთი თხოვნა:
 მინდა, რომ შვილის მახლობლათ დავრჩე...
 მის მოქმედებას თვალით ვუყურო
 და თან-დასწრებით, ან მწუხარების,
 ან სიხარულის ცრემლები ვღვარო...

ელენე

დიდო ხელმწიფევ, ჩვენც გადავსწუვიტეთ,
 რომ აქვე დავრჩეთ ყველა მახლობლათ
 ჩვენის ქმრების და ჩვენის შვილების
 სანუგეშოთ და გასამხნევებლათ.

ბაადურ

ბატონო მეფევ, მეც მინდა დავრჩე,
 ამათი მხვედრი გავიზიარო:
 რომ ფეხ ალაგობ, შემომსევ მტერზე
 ეს ძველი ხმალი კიდევ ვიხმარო!.. (სიჩუმეა)

დედოფლი

პასუხს მოველით და რას გვიბძანებ?

მეფე

რაღა უნდა ვთქვა? (ალელვებით) მეც თქვენთანა ვარ!.
 (დედოფალს) ერთად, სიცოცხლე ერთად სიკვდილი,
 ჩემის გვირგვინის გვირგვინო, თამარ!..
 ფარდა და შვება.

ମୁଦ୍ରାକାରୀ ପତ୍ର ପରିଚୟ

ଶ୍ରୀନାଥ ପାଠ୍ୟକାଳୀ

ମାଲଲାବି ଏକାନ୍ତରୀ

ପାଠ୍ୟକାଳୀ I-ଶତ

(ମେଘ, ଧେନ୍ଦ୍ରପାତା, ବାଦ୍ଯାର, ଗୁରୁଜ ଓ ଅମାଲା)

ମେଘ (ରୂପବିନ୍ଦୁରେ ଗାନ୍ଧାରିପୁର୍ବୀ)

ସାକ୍ଷାତ୍କାରକାରୀ! ଏହି ଶିଖିନ୍ଦରିଦାନ
 ଏହି ସହିନ୍ଦରି ପ୍ରକାଶ ତିତିକ୍ଷାରେ ଶାର୍କରୀଶି:
 ଅଣାଥିନୀର ବିରାମ ଦ୍ଵାମଦ୍ଵାରା ଜ୍ଵାରି,
 ମହାଲକ୍ଷ୍ମୀର ଲ୍ଲେଙ୍କେବି ହାମିଶରାରାନ ତ୍ରୁପ୍ତିଶି.

ଧେନ୍ଦ୍ରପାତା

ମହି ଦ୍ଵାରା କିମ୍ବା?

ମେଘ

ଦିନି କାନିବା.

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତର କ୍ଷୁଦ୍ରାବିଦ୍ୟା ମର୍ତ୍ତିରୀ ଜ୍ଵାର
 ଓ ପ୍ରକାଶରେ କାର୍ଯ୍ୟକାରୀ ଗୁରୁତବ
 ତ୍ୱରିତିକାରୀ ଏହି ଲ୍ଲେଙ୍କେବିର ଶାର୍କରାର;
 ମାତ୍ରାମ ଏହି ମର୍ତ୍ତିରୀ ଶ୍ରୀ ଗାନ୍ଧାରି
 ନେତ୍ରାବ ରାଜୀ ନିଶ୍ଚିନ୍ତାବୁ, କେବଳ ଶ୍ରୀମିତ୍ୱବିନ୍ଦୁରୀ!

თუშის ჯარსა ჰგავს, ჩამოშორდა სხვებს
და მარჯვნით განზე გადაუხვია!

ბააღურ

ეგ ნოშრევანის ხერხი იქნება:
გამოძებნიდა საღმე სუსტ მხარეს
და, ორთა შეა თუ მოიმწყვდია,
მტერს დააყენებს სიცხე-სიმწარეს!

ღეღოფალი

ღმერთო, მოგვხედე წყალობის თვალით!

ქალები

ნუ მოგვაკლებ დღეს შენს მოწყალებას!

ბააღურ

ამინ!.. უფალო, გადაგვარჩინე
მათ მწარე უდელს და ამ წვალებას!

ძეფე

დაიძრა ლეკი... მინდვრათ გამოდის,
მიკვირს, საფურში რომ ველარ დგება!

ბააღურ

არ მოგახსენეთ? უთუოდ, სხვა მხრით
თუში მოექცა და ის აწვება.
გაიქცენ?

მეჭე

არა, წინ არ უშვებენ,
ყოველი კუთხით შეუკრეს გზები!..

დედოფლი

ოჰ, ღმერთო, შენს მაღლს, ღმერთო, მოგვხედე!..

მეჭე

როგორ მისცვიდენ ფშავ-ხევსურები!..

ბაადურ

ჰიი, თქვენს გამჩენს კი ვენაცვალე
და თქვენს მარჯვენას, თუშ-ფშავ-ხევსურო!

მეჭე

ლეკის საფრიდან გამოდის ჯარი,
თუში ყოფილა... თუშმაც მოასწრო!
ჰა, ჩერიენ... გუნდი გუნდს ებრძვის...
გაერთდენ, ომი ხელ და ხელია!
ორივე მხარე საოცრათ იბრძვის,
ჯერ გამარჯვება საეჭველია...
აგერ ვიღაცა ლეკის რაზმიდან
გამოდის... ცხენი გამოახტუნა...

ბაადურ

დავლურში იწვევს უთუოთ ჩვენსას,
მაგრამ თუ ერთი ბედმა უმტყუნა!..

მეჭე

გაჰყვა ვიღაცა... მაგრამ ჰო! ჰო! ჰო!..
 მისევლის უშალვე ძირს ჩამოვარდა!..
 მეორე გადის... ესეც დამარცხდა!
 რა ვქნა! ჩვენებს დღეს რა დაემართა?!

ბეჭე

ბეჭე

ვაი, თუ თვითონ ალისკანტია?!
 ბევრს გააფუჭებს შეჩვენებული...
 მოდი და ახლა ამის გამგონეს
 ნუ მოგიკვდება, ბააღურ, გული!! (თავს იქნევს)

მეჭე

ორი გავიდა ერთად... პირველმა
 მოატრიალა უკანვე ცხენი!..
 ძირს ჩამოვარდა... მეორემ მოჰკლა!..
 ეჰე! ჩერენსასვე ჰკლავი ისევ ჩვენი?!

ბააღურ

შტერი იქნება, ალბათ ვერ ხედავთ ..

მეჭე

კიდევ აპირებს ვიღაც გამოსვლას.
 და არ უშვებენ, გარს ეხვევიან...

ბააღურ

შეჩვენებულმა ეგეც არ მოჰკლას!..

ვერ შეიკავეს... გამოდის... ღმერთო!
ამას რას ვხედავ... ვგონებ, ირაკლი!!.

დედოფალი

ირაკლი?!..

მეფე

დიახ, ირაკლის მოჰვავს!..

ბაადურ

ღმერთო, შენ მიეც ძლევა და შადლი!..

მეფე

მოჰველეს!..

დედოფალი (იყივლებს)

ირაკლი?!..

მეფე

მოპირდაპირე.

ნულარა სწუხარ აწ, დედოფალო!

დედოფალი

სჩანს, ბედი ისევ ჩვენკენ ყოფილა..
დიდება შენდა, ღმერთო-უფალო!..

ბაადურ (აღტაცებით)

არ გაჰყებოდა პატარა-კახი,

თუ არ ჰქონოდა გული საგულეს.

მეფე

გატყდენ ლეკები, აღარ იბრძვიან!...
 ახლა-კი სწორეთ ჩვენებმა სძლიეს!
 ლეკებთან ერთად სხვებიც შეჩერდენ,
 პირი იბრუნა, გაიქცა მტერი!
 ჰა, დაედევნა ცხენოსანთ ჯარი!
 რა საოცარი ავარია მტვერი!..
 თვალით აღარა იხედება რა!..
 მაგრამ ცხადია, რომ დაგვრჩა ძლევა!..

ქალები

წმინდა გიორგი ალავერდისა,
 მოგვმალლე შენი ლოცვა-კურთხევა!..

გამოსცლა ၂-რი

(ისინივე და შიკრიკი შემოდის)

შიგრძერ

ბატონო მეფევ, ნუ მოგიშალოს
 ლმერთმა დიდება და გამარჯვება!
 დამარცხდა მტერი... გაიქცა კიდევ
 და შიშით უკან ვერ იხედება!..
 თუ ლეკებს არა, ჩვენ აქამდისაც
 დავამარცხებდით ყოველგან თათარს,
 მაგრამ ლეკებმა ნამეტანი ჰქნეს...
 სამაგალითოდ უმაგრებდენ მხარს!
 საოცრათ ბრძოლენ, სანამ ალისკანტ
 არ მოჰკლეს მათი ბელადი-ლომი;

მაშინ კი სწორეთ შეშინდა ლეკი,
ზარი დაეცათ და შესწყდა ომი.

მეფე

საპირდაპიროთ ოომ გამოვიდა,
ის ალისკანტი ხომ არ ყოფილა?

შეკრიპტ

სწორეთ ის გახლდათ, ჩემო ხელმწიფევ,
და ჩვენი მხრითაც ბევრი იმსხვერპლა.
ვინც კი გავიდა, ზედი ზედ მოჰკლა!
გაძნელდა მისი პირდაპირობა!..
ბოლოს გავიდა ლევანიც, მაგრამ
ალარ დასცალდა მისი გმირობა:
თან გაჰყეა ლევანს ბებურიშვილი,
რომ გასაჭირში მოხმარებოდა,
მაგრამ, როდესაც ლევან ბელადის
შუა გაპობას ეპირებოდა,
გავარდა თოფი იმ დროს რევაზის
და უცაბედათ ლევან დაიჭრა...

ელენე

უი, ჩემს თვალებს! (გულს ეყრება,
ქალები მისცვივდებიან)

დედოფალი

მხოლოთ დაჭრილა...

შეკრიპტ

ნუგეშინიათ, არა უჭირს რა!..

შეშინებულმა ლეკმა რომ ნახა,
მოულოდნელათ სხვისგან დაჭრილი,
გული მოეცა და იქვე დაჭკლა
ხმალ და ხმალ რევაზ ბებურიშვილი...

მეჭე

მერე გავიდა ბატონიშვილი?

შიგრიგი

ბევრი უშალეს, არ დაიშალა...
მასაც მოასწრო წყეულმა თოფი
და მისვლის უმალ გულზე ახალა!..

დედოფალი (იკივლებს)

ირაკლი დასჭრეს?!..

შიგრიგი

არა, ბატონო.

მის ძელ-ჭეშმარიტს მოხედა ის ტყვია,
ხატი გაქეშყა და ბატონიშვილს
არც-კი უგრძენია, არ შეუტყვია...
მიაგდო ცხენი ხმალ და ხმალ მტერზე,
შუა გაჰკვეთა ერთი შემოკვრით
და მაშინ მტერმაც ომი შესწყვიტა,
ყოველი კუთხით და ყოველი მხრით!...

ბაადურ

გაიქცენ?

შიგრიძე

დიახ და ჩვენი ჯარიც
უკან მოექცა, აღარ ასვენებს!..

დედოფლი

გივი სად არის?

შიგრიძე

ბატონიშვილთან
ორივე ერთად წინ უძლვის ჩვენებს!..

გამოცელა III-80

(ისინივე და 2-რე შიკრიკი შემოიჭრება)

2-რე შიგრიძე

ბატონო მეფევ!

რედ მეფე მეფე
რა ამბავია?

2-რე შიგრიძე

ცუდი ამბავი! ტამარცლა ჯარი!

მეფე

კი, მაგრამ ვისი?

2-დյ შიგრიგი

ჩვენი, ბატონო!
გამარჯვებული დარჩა თათარი!..

მეფე

თათარი?! (1 შიკრიკ) აკი ჩვენ გავიმარჯვეთ?!

1-დი შიგრიგი

მე რომ იქ გახლდით, მტერი გაიქცა!

2-დյ შიგრიგი

გადატრიალდა ხელ-ახლა ბედი
და რისხვით თავზე დაგვატყდა ზეცა:
ალაზნის პირათ, ერთ ხეობაში,
მტერი ყოფილა ჩასაფრებული,
ჩვენ არ ვიცოდით... იქ შეგვიტყუე
და ასტყდა ბრძოლა გამწარებული!..
დიდ ძალი ჯარი ამოგვიშევიტეს:
გივი მოგვიკლეს და ჯანდიერი...
ბატონიშვილი დარჩა შუაში
და გარს ეხვევა ურიცხვი მტერი...

მეფე

ვაიმე, შვილო!..

დედოფალი

უი შენს დედას!..

ქალები

ვაი და უი ამ ღლის მოსწრებას

ბაადურ (მსახურება)

წამიღეთ ჩქარა, იქ მიმიტანეთ,
რომ მივეგებო უბედურებას!..

დედოფალი

მეც წამიყვანეთ ჩემ ირაკლისთან,
რომ მისი ბედი გავიზიარო!..

ბეჭა

მე კი ვიღასთვის და რაღათ დავრჩე?!

წავალ, რომ მათთან სისხლი დაუღვარო... .

ელენე

ჩვენ რაღას ვუცდით?

ქალები

წავიდეთ ყველა!
ჩვენს შებთან, ქმრებთან და ჩვენს შვილებთან!

ელენე

და მათთან ერთად პირნათლათ წარვდგეთ
შეურცხვენელათ იმ ჩვენს ძველებთან (ლეჩაქებს მოიხ-
ღიან და მიდიან)

გამოსვლა IV-ხე

(ისინივე და პატარა კახი)

შველა

ამას რას ვხედავთ?!

ქახი

გამარჯვებული,
 თვითონ მოვდივარ მე მახარობლათ!
 ისე გავსწყვიტეთ მთელი ლაშეარი,
 რომ ალარ დარჩა არც ერთი მთხრობლათ!.

დედოფალი

რას ამბობ, შვილო?

ქახი

ძლევას გილოცავ!

ძეჭე

მაშ, ეს შიკრიკი?

ქახი

მე გაახელით,
 მაშინ, როდესაც, იმედ მიხდილი,
 სიკვდილს ვფიქრობდი ჩემივე ხელით:
 მოულოდნელათ შემოგვკრა მტერმა,
 გზა აღარ გვქონდა ჩვენ წასასვლელი,
 ვეღარ ვითვლიდით მკვდრებს და დაჭრილებს,
 ისე აივსო იქ ტყე და ველი..

მაგრამ მოგვესმა შორით გუგუნი,
ხმა: „ჰკა მაგასა“ და ზედ კიჟინა,
მოზღვავდა უცბათ სულ გლეხ-კაცობა,
მტერს მიესია და დაუშინა!
შეიქნა ქვების ზუზუნ-ზუზუნი,
თოხის და კეტის გაჩნდა ტრიალი!..
ამ უცნაურმა სანახაობამ
მტერს წაუხდინა გული და თვალი!
დაჲყარეს შიშით მათი ფარ-ხმალი,
მხოლოთ სიცოცხლეს გვევეღრებოდენ
და, გასაჭუევი გზა რომ არ ჰქონდათ,
ალაზანშიაც კი ვარდებოდენ!
გადაწყდა ომი! მტერი მოისრა!..
ნუ მოგეშალოსთ შვება და ლხენა!..

მეფე (აღტაცებით)

აკურთხოს ღმერთმა შენი გმირობა
და სასიკეთოდ გიძლოდეს ზენა! (ეხვევა)

დედოფალი

აქ მოდი, შვილო, ჩამეკარ გულში,
შენ გენაცვალოს ეს ძუძუები!
შენგან გამოსხნილ ჩვენს სამშობლოსთან
მეც ერთად, შვილო, დღეს ვიბადები!.. (ეხვევა)

ბაადურ

გვიბოძეთ ხელი, რომ გეამბოროთ
და სიხარულის ცრემლი დავლვაროთ!

ქახი

მაგრამ სიხარულს ნაღველიც თან სდევს,
საუბედუროთ და სამწუხაროთ!..
ნათლის გვირგვინიც უფერულია,
თუ გარეშემო აღარ აქვს სხივი!
რაღაა ჩვენი დღეს გამარჯვება,
როცა აღარ გვყავს მოხუცი გივი?!.
არ დაუგდია მას ბრძოლის ველი,
თუმც სასიკვდილო გულს აჯად ტყვია
და გაქცეული რომ ნახა მტერი,
უკანასკნელათ გადამეხვია!..
მითხრა: „მშვიდობით, ჩემო გაზღილო,
გახსოვდეს ღმერთი და საქართველო“..
ეს თქვა და მეტი აღარ დასცალდა,
წითლათ შეღება მან მწვანე მდელო!..

მეჭე

ღმერმა აკხონოს!..

ღედოფადი

აკხონოს ღმერთმა!
ჩვენის ქვეყნისთვის უძგერდა გული.

ბაადურ

და ლირსეული ლირსათ მომკვდარა,
სამაგალითო მამულის შვილი ..

ქახა

ბედმა ეს ტანჯვა რომ არ მაკმარა?!
 გამიორკეცა გულის ტკივილი:
 ლევანი, ჩემი მარჯვენა ხელი,
 მეტათ საღწვოო არის დაჭრილი!..
 ნაბრძანები მაჭვს, აქ მოიყვანონ,
 რომ მოვუაროთ — ჩვენი ვალია!.. (მოჰყავთ)
 ა, კიდეც მოჰყავთ... ხომ ცოცხალია?

მსახურები

თქვენს სასახლესთან სული დალია..

ელენე

უი, მიშველეთ! (ქალები მისცვიდებიან)

ქალები

სსსუ! დაგავიწყდა,
 სადა ხარ, ქალო, ვის ეკადრება?!

ქახი

ვაიმე, მმალ!.. შენი დაკარგვით
 გამიორკეცდა დღეს მწუხარება!..

მსახურები

ბატონო, ვიღაც უცხო ყმაწვილი
 ვნახეთ დაჭრილი, ტყის პირათ ეგდო

და შეგვეხვეწა: „ნუ დამაშორებთ,
ლევანთან ერთად მეც წამიღეთო.“

მექე

ვინ ყმაწვილია?!

გახა

ერთი ვიღაცა
უცხო ჩვენს ჯარში გამოერია,
იმის შვენიერ, ბავშურ სახეზე
ჯერ არც ულვაში და არც წვერია!..
ლევანს დასდევდა, არ შორდებოდა;
ნაცნობს ვერავის ვერ მივაგვანეთ!...

მეჭე

ვინც უნდა იყოს, ჩვენი ყოფილა!..
მიღით და ახლავ შემოიყვანეთ.

გამჭავლა 5-თე.

(ისინივე და შემოაქვთ დაჭრილი)

დაჭრილი

სად არის ლევან? აბა მიჩვენეთ!
ეს არის, აგერ რომ ასვენია?
რითვის მიშორებ, შენ გენაცვალე...
რომ მიმატოვე... არა გრცხვენია?!..
„ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი“
ასე არ იყო ჩვენი პირობა?!..
და შენ კი გინდა სიტყვა გატეხო?..

ამას იფერებს შენი გმირობა?!..
 აჰა, გიბრუნებ შენსვე საწინდარს...
 (ისსნის გულს, აიგლფეს რალასაც და გულზე ადებს)
 თვით ღმერთი იყო ჩვენი თავდები!..
 შენ კი აქავე მიშორიებდი,
 მაგრამ მე იქაც არ მოგშორდები!..
 წავიდეთ ერთად... (ჩაეკვრება და კვდება)

მსახური

ქალი ყოფილა!!

მგალა

ქალი ყოფილა?!!

მეფე

ვინ არის ნეტავ?!!

გამოსვლა VI-სე

(ისინივე და მოხუცი შემოდის მედილურათ)

მთხუცა

ვიცი, ვინც არის, ჩემო ხელმწიფევ!..
 უსინათლო ვარ და მაინც ვხედავ!..
 მაგრამ მაგისთვის ჯერ არ მცალია...
 ბატონო მეფევ, ძლევა მოსილო,
 აღიდოს ღმერთმა შენი მეფობა!..
 და შენც გმირთ-გმირო, ბატონიშვილო,
 ამიერიდან საშვილი-შვილოთ

კურთხეულ იყოს შენი სახელი,
 რომ შენთან ერთად იდიდებოდეს
 შენი მშობელი, შენი გამზდელი!..
 დღემდინ ტანჯული ჩვენი ქვეყანა
 შენით სულს ითქვამს აწ თავისუფლათ
 და შენც, უფალო, ამდენი ტანჯვა
 სამარადისოთ იკმარე მსხვერპლათ!..
 ახლა კი, შვილო, შენთან მოვდივარ!..
 აბა, მიჩვენეთ, მივიდე ვნახო,
 რომ ხმალაძიანთ უკანასკნელ მსხვერპლს
 უკანასკნელათ ხელი შევახო... (დაუჩოქებს)
 აბა ხარ, შვილო?.. ეს ვიღა არის?..
 შენი ლევანიც აქა გყოლია?..
 მადლობა უფალს, რომ მაგის ჯავრი
 სამარეში. თან არ ჩაგყოლია!..
 ერთად წასულხართ... აქ არ გელირსათ
 ბედნიერება, შვება და ლხინი,
 მაგრამ იმ სოფელს სამაგიეროთ
 დაგედგასთ თავზედ ნათლის გვირგვინი...
 (მოეხვევა. ზარების რეკა მოისმის)

მეჭე

ჩუ!

დედოფალი

კარისაა ეს ღვთის მშობელი,
 პარაკლის იხდის, ჩანს, სამადლობელს!..
 ჩვენც ღმერთს მადლობით ავუბყრათ ხელი,
 რომ თაყვანი ვსცეთ მის ღიღ განგებას
 და მოვიყაროთ მუხლები მის წინ. (იჩოქებს)

ბეჭე

„აღდეგინ ღმერთი და განიბნინ ენ
ყოველნი მტერნი იმისნი!“

კვარცი

ამინ!

(ისმის რეკა, ფარდა ნელ-ნელა ეშვება)

სატრიბიულო ლიკსები

(შეკრებილი სოსიკო შერკვილაძისაგან)

იმრეთი დამიკლია,
ქართლი შემიჯერებია,
არ მინახავს შენისთანა:
ყელდ მოგიღერებია,
წამწამსა და წამწამს შუა
ბალი გაგიჩერებია,
შიგ სურვილი დაგითესავს
ყველა გაგიშტერებია!..

2

ქალო, მესმა ქება შენი,
უცხო თემსა მიამბესა;
სანახავათ გამოვიჲერ,
მაგრამ ჯაჭვით დამაბესა,
არ მაღირსეს ნახვა შენი,
ყველგნით მახე დამიგესა,
თვალსა ჩემსა ნახვჟ შენი
ვა, თუ დაუგვიანდესა!..

3

ქალმა დაუდვა ურემსა,
ზედ გაურიგა ბერაო,

დაუჯდა ურმის თავზედა,
ხმა წვრილათ დაამლერაო.

არ ნახულა შენისთანა
დედის მუცლით დასახული:
შექმნით — სახე-მხიარული,
წალკოტი ხარ პირმეტყველი,
თითქმის მზე ხარ ამოსული!..
რაც რომ თვალი შენ არ გხედავს,
სულ-ხორცითაც არ არს სრული!..

ქალო, ნეტაი შენი ხმა
ავათ-მყოფს გამაგონაო,
აქიმათ შენვე გაქცია,
შენს ახლოს დამალონაო!..

წყალს გაღმა ქალმა ლამაზმა
ჩიქილა დამიქნიაო,
ის იქით მოკლა სურვილმა, მე
მე აქეთ წამაქციაო..

ქალმა რო კოკა აავსო, ძრები
ჩამოჯდა წყლის პირს ქვაზედა,

დანიშნულს დაპირებოდა:
იქ მოგიცდიო წყალზედა.

8

გოგომ რომ ვაშლი მესროლა,
მატკინა გულის ფიცარი,
თუნდ მომკლან, სახელს არ ვიტყვი,
ღმერთმა უშველოს — ვინც არი.

9

ლამაზმა თქვა: საყვარელსა
სიცილით შევეყვარები,
შორიდან დავწვავ, დავდაგავ,
ახლოს არ მივეკარები.

10

გოგო, ისე ლამაზი ხარ,
ფერსაც ვერ გიცვლის ზამთარი;
მომცემ სიცოცხლეს, თუ მომკლავ?
შემომითვალე მართალი.

11

ნუ იცინი, ნურც მაცინებ,
თვარაშ დაგვაჭორებენო,
სიყვარულს რომ გაგვიგებენ,
დაგვაშორი-შორებენო!..

ჩვენს კორდზედ ერთი ველია,
 ია დგას ვარდი ჰუენია;
 კოშკი დგას მარმარილოსი,
 ცას წვერი მიუბჯენია,
 შიგა ჯის ქალი ლამაზი,
 ტან-ლერწამ-თმა გიშერია,
 ბროლის გულ მკერდა-ლაბაბა,
 პირი თმისაგან ბნელია,
 გულით მტრედია უმანკო,
 ლონით ვეფხვი და ლომია,
 ვისაც შებმია, სუსყველა,
 ვით კატა, დაუმონია,
 იმისა შემბმელი მტერი
 ჭერ არვის გაუგონია.

შაქარზედა უფრო ტკბილო,
 სანთელივით ჩამოქნილო,
 ჩვენ მეუფემ ნუ გაგვყაროს,
 ტურვავ, ქოჩორ-დავარცხნილო!..

ქალო, ეგ რა შემოგიქრავს,
 შუბლი დაგიშავებია,
 მარგალიტის ძუძუები
 გულზედ აგისვენებია,

ჩემი გული შენ მოგიკლავს,
სხვისი გაგიმთელებია!..

15

ქალმა აიღო ქვა, დამკრა,
რა გულმა გააბედვინა?
შიგნიდან გული მომიკლა,
გარს ცეცხლი მოადებინა..

16

ნეტაი ვიყო მე ვარდი,
შენ წინა გავიშლებოდე;
ჰატარა ჩიტათ მაქცია,
უბეში ჩაგიჯდებოდე;
შაქარ-ყინულათ მაქცია,
ენაზე დაგადნებოდე;
მასუკან მოვკვდე, რა მგამა,
შენ კეთილს მოვესწრებოდე!..

17

აქიდანა და შენამდინ,
ვარდი მასხია ენამდი,
რომ ვინმე გამამიშვერდეს,
სულ ფრენით მოვალ შენამდინ.

18

ლამაზმა ქალმა დამწყუვლა,
თავ-შელებულმა ინითა,

ნეტაი იმას შემყარა,
ავივსებოდი ლხინითა!

19

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა წყლისა ჩქერამა,
ყშაწვილი ბიჭი და გოგო
ერთმანეთისა ცქერამა.

20

ქალო, ღმერთმა ბეღი მოვცეს:
შეხაროდე შენსა ქმარსა,
თავზედ გვირგვინი გეკურთბოს.
წმინდა ეკლესიის კარსა.

21

თალალმე, გამათხოვებენ,
თულულმე, წამიყვანენო,
შემიკერვენ წითელ კაბას,
საყდარში შემიყვანენო..

22

რას შერიდები, გოგონა,
რას კეტავ კარებს მაგრათა?
შენი მტერი ხომ არა ვარ,
შემოგივარდე ძალათა?!

23

ყოვლით მესმა ქება თქვენი --
 შეიდ მნათობთა მაგიერათ;
 ყოვლის ტურფის უშჯობესნო,
 ტახტზედ ჯიხართ ლმობიერათ;
 ლმერთმა თქვენი თავ-გვირგვინი
 მოგიხდინოთ ბედნიერათ,
 ყოვლად-შმინდამ ვაჟი მოგცეთ,
 შეგაბეროსთ ლმობიერათ!

24

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
 მწყერი მიწაზედ გოგდება,
 ქალა, რათ გინდა უცხო მხრის,
 დასნეულდება, მოკვდება!..

25

მინცვრილან მოხვალ შენ, ქალო,
 ამომავალი მზე ხარო,
 ნეტაი იმის დედასა,
 რომლის მკლავზელაც წევხარო!..

26

ქალები დაგროვებულან
 სიმიღის სათოხნელათო,
 ლოყე'ი დაწითლებიათ
 ბიჭების საკოცნელათ.

27

დაბრუნდი, თუ დაბრუნდები,
ვით ხარატული ჯარაო;
გამზღველი შენი ვაცხონე,
ერთგული შენი ლალაო.

28.

ქალმა თქვა: ქმარი არ მინდა,
ნუ გამათხოვებ, დედაო;
თუ მიმცე, ისეთ კაცს მიმეც,
რომ იყოს გუთნის დედაო.

29

გოგომ მოაწყო ოჯახი,
ვით პატარძალიმ ორთული,
წინდა, საჩოხე ჩამაცვა,
თავის თითებით დართული.

30

შენი შენობა დაიჭუს,
შენი ქვითკირის კედლები;
მითხარ, თუ ჩემი არა ხარ,
წავალ სხვას შევეკედლები.

31

სად მოიცალა ი ღმერთმა,
შენი თვალ-წარბის წერათა?

ან რით შეგამკო ეგეთი,
ან საღ დასწერა ხელათა?

32

საიდან მოხვალ შენ, ქალო,
მხარზედ რომ გიდგას კოკაო?
მომზადებულხარ სარძლოთა,
დაგწითლებია ლოკაო.

33

ბიჭმა რა იცის გოგოსი,
რას იმას უგდებს ყურსაო?
შამოიჭირებს სარტყელსა,
სამ დღეს არა ჭამს პლრსაო.

34

წყალსა ნაფოტი მოჰქონდა,
ალეის ხის ჩამონათალი;
დადექ, ნაფოტო, მიამბე
მოყვრისა შამონათვალი.
— შენი მოყვარე ტან-წვრილი,
შუა გზას ვნახე დაჭრილი,
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ მივაყარე ქვა წვრილი.

35

გოგომ ფიჩხი ჩააყარა,
თონე ამოპრიალდაო,

მორჩა საქმეს და თამლერა,
ხმები ჩაკრიალაო;
რომ შევხედე, — შემომხედა,
რეტმა დამატრიალაო...

36

ჩემი ძმა გადამეკიდა:
ბიჭო, შეირთე ცოლიო;
მთიულის ქალი დავნიშნე
ბრიყვი და გაუზღელიო;
მერე ლექსი გამომითქვეს
საკიცხავ-სალანძლველიო:
„მთიულის ქალი შეირთო
ბრიყვი და გაუზღელიო,
ტლანქი და ჩასქელებული,
გოგროხას უგავს წელიო!
სამი სარტყელი უყიდა —
სამრვე ჭიათურია —
წვერი წვერზე გადააბა,
ერთიც არ შემოწვდენია!
გერისთობას წაიყვანეს
მორთული საკვირველია,
ურემში არ ჩაეტია,
ცხენს მოუწყვიტა წელია!..

37

გოგო; შენს მოლალატესა
მაღლა ღმერთი გაუწყრესა!

ომში შეტანილი ხმალი
მარაკშიაც გაუტყდესა;
იალბუზის მინდორზედა
ნიავ-ღვარიც აუდგესა;
წყალ ძლიერ მოწყურებულსა
წყაროს წყალიც დაუშრესა;
გოგო, შენს მოლალატესა
მალლა ღმერთი გაუწყრესა!

38

ქალო, შენი ეგ მიყვარდა
ეზო-ეზო სიარული,
ტანთ ჩაცმა და თავთ დახურვა,
თეთრი პირი მხიარული;
წარბი გიგავს ვაზის, წალამს,
წამწამი მელან-თალაქსა;
საითაც შენ გათხოვდები,
ნეტავ იმ სოფელ-ალაგსა!

39

იარე, ქალო, წავიდეთ,
მინდვრის ყანები ვნახოთო,
დავკრიფოთ ია და ვარდი,
დავსხდეთ და ლხინი ვნახოთო.

40

ვაი, დედა, თავი მტკივა,
სად არის შავ-ბალახო?

შავმა ქალმა დამიტირა,
თეთრმა ქალმა დამმარხაო.

41

ამ სოფლისთანა ქალები
არ არის ქვეყანაზედა;
დამწკრივდებიან შეშაზე,
როგორც ვარსკვლავი ცაზედა;
საღამოს მოიმდერიან
სხვა-და-სხვა ტურფა ხმაზედა;
ნეტია იჩათ ოჯახსა,
ვისაც მიუვათ კარზედა!..

42

სამკალშია შევიწიე
ე სოფლის გოგო, ქალიო;
ერთმანეთს ეჯიბრებოდენ,
ძნა დავდგი დიდი ძალიო;
ყველაზე კარგათა მკიდა
ოთარას პატარ-ძალიო,
მაგრამ ჯობნიდა იმასაც
ი გლეხას *) ტურფა ქალიო;
ლოყები დაწითლებოდა,
როგორც რო ცეცხლის ალიო...
იმან მიჩნევლიტა გულშია,
ზე დამრჩა ორივ თვალიო,

*) გლეხა მამაკაცის სახელია ქართლში.

თუ ცოლათ არ წამომყება,
სხვა ნუ მეღირსოს ქალიო!..

43

„ჩარი ჰამას“ პატა

ჩარი რამა, მანანაო!..
ქალო, შენმა სიყვარულმა
მე სიცოცხლე მანანაო!..

—
ჩარი რამა, მაგდანელო,
ჩემო დამწველ-დამდაგველო!..

—
ჩარი რამა, გულქანაო,
თეთრ-ფუნჩულა, სუქანაო,
შენმა მაყვალა, თვალ-წარბმა
ჩატანა გულთანაო!..

—
ჩარი რამა, ბიცოლაო!..
ჩვენ შიმშილით ვიხოცებით,
არა გამოგვიცხვა რაო.

—
ჩარი რამა, ძამიაო,
ჩვენი ასე გაჩერება
ძიმწარე და შხამიაო!

—
ჩარი რამა, მაგდანაო!

ნეტავი შემაძლებინა
მამიყვანა მადანაო!

ჩარი რამა, ბიძიაო!
ხრმალ-ხანჯალი ჩაგუანგვია,
ველარ ამოგიძრიაო!

ჩარი რამა, მამიღაო!
ნეტა მოგვუა ის ძალ-ლონე,
როგორც ეხლა ჩვენ გვინდაო.

ჩარი რამა, ბაბუაო!
ქართულ თუთუნს ვერ გიშოვნი,
მახორუამა გაბრუაო.

ჩარი რამა, მატრონაო!
ნეტავი ჩვენს სახლსა და კარს:
ჩვენვე დაგვაპატრონაო!..

44

ციდან წამოვა ტოროლა,
ჩამოთვლის გალობასაო,
წიგნი, ჭრა-კერვა გულდნია,
ნეტა შენს ქალობასაო!

45

ლამაზი ხარ და კეკლუცი,
კაცი არ მოგევზავნება,

თუ ჩემი თავი შენ გინდა,
ყველა შორს გაემგზავრება.

43

ასეთია კაცის გული,
ვით მორევი შავი ზღვისა;
ქალის გული ისეთია,
როგორც მოწმენდილი ცისა.

44

პატარა გოგოს ვუყვარდი
შავ-თვალ-წარბ-გიშერ-თმიანსა;
ტანი უგავდა საროსა,
ლოყები წითელ ქლიავსა!..

45

ქალმა ვაშლი შემომტყორცნა,
ამოიღო უბიდანა:
— „ჩემეულათ შეინახე,
არ გადმიგდო გულიდანა.“

46

მიყვარს ქალი ფატუნი,
წელში გამოკვართული,
ყელ-ლაბაბ-ბროლ-ფიქალი,
შეხლართ-შემოხლართული.

ნეტაი, გოგო, მე და შენ
ყანები მოგვცა ზიარი,
შიგ სამარგელი გარია,
ნაპირი მისცი ტყიანი;
მე და შენ ტყეში შეგვლალა,
ყანა თუნდ დარჩეს ტიალი!..

ტანი გიგავს ალვის ხესა,
სამოთხეში ამოსულსა,
კბილი ხშირსა მარგალიტსა,
სასურველათ მიწყობილსა;
შენ ხომა ხარ უცხო თემსა,
ვერა გნახავ აქ მოსულსა;
თუ შენ გულით არ მიყვარდე,
ღმერთი ამომართმევს სულსა!..

სოფელი ჭოლევი

(ქუთაისის მაზრა)

სოფელი ჭოლევი ოკრიბაშია.*) ის მდებარეობს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ქ. ქუთაისიდან და ახლავს მას 7—8 ვერსის მანძილზე. ამ სოფელს საზღვრავს: აღმოს, და სამხრ. სოფელი კურსები, დასავლ. სოფ. სორმონი და ჩრდილ. —ზარათი და ოჯალა. ჭოლევის აღმოსავლეთ და დასავლეთ მხარეებზე გაწოლილია ორი მომცრო ქედი, რომლის დაფენება გვერდებზე გაშენებულია სოფელი. ეს ფერდოები ილევა ერთ პატარა ღელესთან, რომელიც ჰყოფს სოფელს ორ ნაწილათ: გაღმა-გამოღმა ჭოლევათ.

მცხოვრებლები ამ სოფელში 26 კომლამდე ირიცხება. მათ შორის՝ 10 აზნაურია, დანარჩენი—გლეხები. აქ ცხოვრობენ: მესხი, ჭიჭინაძეები (მათ შორის ჩვენი ცნობილი მოლვაშე—ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე), ჩარკვიანი, ყიფიანი, ბოჭორიშვილი, მალლაფერიძე, მანუელაშვილები, ნიშნიანიძე და ოკრებიძე. ამათ ცხოვრების უმთავრეს სახსარს შეადგენს ხენა-თესვა. თესვენ: სიმინდს, ღომს, ფეტვს (მჭადს) იშვიათად პურს.

სახნავ-სათესი თუ საპალახო მინდვრები ჭოლევს თვისი საყოფი აქვს. აქაური მიწა ყანობს 7-დამ 10 და მეტ

*) ოკრიბა შედგება 5 საზოგადოებისაგან; აქ 40-ზე მეტი სოფელი ითვლება.

წლამდე. ამ სოფლის ერთ სიმდიდრეთაგანს შეადგენს ხე-
ტყე. განსაკუთრებით საყურადღებოა აქაური წაბლარი
და რცხილნარი. მცხოვრებლები ჭრიან შეშას და ჰყი-
დიან ქუთაისში: ურემს — 4-დან 7 აბაზამდე.

ჭოლევლები ბეჯითად ეკიდებიან აგრეთვე ვენახის
კეთებას. მოსავლიან ძველ წლებში მოსახლეს მოუდიოდა
10—40 საპნამდე ლვინო. ახლა კი ეს მოსავალი ძლიერ
შემცირებულია. აქ აშენებენ შემდეგი ჯიშის ვაზს: ახა-
დასტური, ოსტოური, კამური, მწვანე (თეთრი და შავი),
რკო-გენასი, საფერი, მარგული სალერი, ბოლო დროს
იზაბელა და სხვ. თითქმის ყველა მოსახლეს აქვს მოწყო-
ბილი მარნეულობა.

აქაური ხალხი ზრდილობიანი თავაზიანი და სტუმ-
რის მოყვარეა. უმეტესმა მათგანმა იცის წერა-კითხვა,
თუმცა შკოლა-კი არ აქვთ. აქ იციან გიორგობის დღე-
სასწაულობა. განსაკუთრებული თვისება აქაური დღეო-
ბისა ის არის, რომ გიორგობის მეორე დღეს, 24 აპრილს,
ეკკლესიიდან წმ. გიორგის ხატს გამოასვენებენ; გამოსვე-
ნების დროს შემოკრავენ ზარს. წინ მიღის მნათე, რო-
მელსაც ხატი უჭირავს ხელში, მას მიჰყება მდვდელი და
უკმერს ხატს, ამათ მიჰყებიან მგალობლები წმ. გიორგის
ტროპარის გალობით და შემდეგ — ხალხი. ამ ამბით შემოუვ-
ლიან საყდარს და მერე გაეშურებიან „სათემოსკენ“, სა-
დაც ცაცხვის ძირში მდებარე ქვაზე დასვენებენ ხატს და
დაიწყებენ შეწირვას. მღვდელი დადგება ხატის წინ და
მასთან მიღიან შემწირველები; ამათ მიაქვთ პატარა ნა-
შერი სანთლისა, ზედ შაურიანი (ან შეტი) იქნება დაკრუ-
ლი; ყველა ამას შემოახვევენ ხოლმე „სანთლის გულს“.
შემწირველი დაიჩრებს ხატის წინ, მღვდელი მას ორარს
გადააფარებს თავზე და იტყვის: „შემოუწირავს (ამას და-

ამას) ფული, სანთელი და სანთლის გული თავის საცი-
ცოცხლოთ, საჯანმრთელოთ; გაუმარჯვე, წმ. გიორგი!“
უკანასკნელ სიტყვებს პირიდან გამოაცლიან მღვდელს
და ხალხი გაიძახის: „გაუმარჯოს, გოუმარჯოს, გოუმარ-
ჯოს!“ შემდეგ შეწირვისა ხატს ისევე გალობით და ზარის
რევით მიასვენებენ თავის ალაგას.

რომ პკითხოთ აქაურებს, რატომ პირველ დღეს, 23
აპრილს, არ გამოასვენებთ ხატსო,—გიპასუსებენ: „უჩ-
ვეველსა ნუ დამაჩვევ, დაჩვეულსა ნუ დამიშლიო“,—
ნათქვამია და ჩვენც ასე ვართ დაჩვეული, მოშლა არ
გვინდა და ვერც მოვშლით, რადგანაც ერთხელ გამო-
ვასვენეთ ხატი პირველ დღეს და რა მოხდა! არსით ლრუ-
ბელი რომ არ მოჩანდა, უცბათ იგრიალა, გავარდა მეხი,
გამოუშვა კოხი (სეტყვა) და მანამდე არ დაცხრა ტა-
როსი, სანამ ხატი თავის ალაგზე არ მივასვენეთო!..

ცრუმორწმუნეობას აქაურებში, ნამეტნავათ დედაკა-
ცებში, ლრმათ აქვს ფესვი ვადაგმული. მძინარე ან ლვი-
ძარე კაცს რომ ფეხი გადააბიჯო, სიკვდილი იცის; ბუს
ან ოფოფის ჩამოსვლა ეზოში ცუდი ნიშანია; მარიამობა
ლაშეს არ უნდა დაიძინო, თვარი კუდიანები დაგახრჩო-
ბენ; ახალწელიწადს ნემსს არ უნდა შეხედო, არც სიტყვა
„სავარცხელი“ იხმარო, —ამის მაგიერათ „ფოჩის“ უნდა
თქვა და სხვ. თუმცა ჭოლევი, როგორც ზევითაც ვთქვით,
ოკრიბაშია, მაგრამ აქაურები თავის თავს ოკრიბლებათ
არა თვლიან; ოკრიბლებს კიდეც დაცინიან და შემდეგს
ანეკდოტებს მოგვითხრობენ:

ა) ოკრიბელის ცოლი თავის სახლს წავიდა, ქმარი
შინ დატოვა და დაუბარა: წიწილები ქორმა არ წაგართვას,
კარგათ უდარაჯეო. ოკრიბელმა თქვა, რალა ამ წიწილებს
ვუდარაჯო, მოდი ერთი-მეორეზე გადავაბამ და დარაჯი.

აღარ დაჭირდებაო. ასეც ჰქნა, მაგრამ რა გამოვიდა? მო-
ფრინდა ქორი და სუკველა ერთად წააწიალა!

ბ) ოკრიბელი გვრიფს გამოედევნა დასაჭერათ. გვრი-
ტი ხეზე შეფრინდა. „განა მე ვერ ამოვალ ხეზეო“, — თქვა
ოკრიბელმა და ავიდა კიდეც. ჭარფა ზევით რომ აციც-
და, გვრიტი გაფრინდა, „მე-კი ვერ გამოვფრინდებიო“, —
თქვა ოკრიბელმა, იშვირა ფეხები, გადაფრინდა და მიწა-
ზე კი დაიმსხვრა!..

გ) ოკრიბელს ცულდი (ცული) გაედვა მხარზე და
ტყეში მიღიოდა შეშისთვის. უცბათ ვიწრო ორლობეში
მონადირებისაგან დაფეთხებული შველი შეებეცა. ოკრი-
ბელმა თქვა: „პირით რომ შემოვკრა შველს, ტუავი გაეძ-
რება და ტიკი აღარ გამოვაო“. შველი რომ გაუსწორდა,
ოკრიბელმა შემოუქნია ცული და ყუით შემოჰკრა; მაგრამ
შველს ვერაფერი დააკლო; ტიკიც დაეკარგა და ხორციც!

დ) ორი მონადირე, სისონა და გლახუა, წავიდენ
თურმე შველისთვის, მოიკვლიერ ორი შველი — ნეზვი
(დედალი) და ვაცი (მამალი). ნეზვი მოჰკლეს, ვაცმა
თავს უშველა. სისონაშ უთხრა გლახუას: — „ძმაო, ეს ნეზ-
ვი შველი მე გამატანე, ხვალ ვაცს მოკვლავთ და ის შენ
წაიღეო.“ — „კარგი, მაგრამ შენ ზარალში იქნები: ნეზვი
პატარაა და ის ვაცი, ხომ შეხედე, როგორი იყო?! ამ ნეზვს
ერთი კაი დედალი ეკუთვნის დასამატებლათო“, — მიუ-
გო გლახუამ, დაიჭირა ერთი კარგი დედალი, დადვა
ნეზვ შველს და გაატანა სისონას სახლში. მეორე დღეს
ვაცი თვალითაც ვერ დაინახეს, არა თუ მოეკლათ. დარ-
ჩა გლახუა პირდალებული!

ჭოლევში და მის მიღამოებში ბინადრობენ:

მხეცები:

მელა, ტურა, მაჩვი, კვერნა, თრითინა, კურდღელი.
უწინ ყოფილა: მგელი, დათვი, შველი, გარეული ლორი
და სხვა.

ფრინგელები:

ქორი, ძერა, მიმინო, ბუ, უფეხუა, ზარნაშო, კო-
დარა, სილახოხა, შაშვი, ჩხართვი, წრიპა, ჩხიკვი, მესკია,
ბელურა, სკვინჩა, გულ-წითელა, ჩიორა, მეკვირტია, ჭინ-
ჭრაქა, კულუმბური, წყლის-შაშვი, ბოლოქანჭალა, მე-
გუმბრია, გვრიტი, ტყის-ქათამი და სხვა.

ძგეწარმაგალი:

გველი, ძლოკვი, ხვლიკი, ფსვენა (ფსვლიკვი), მუდო,
ზლარბი, (ტყის ბუძგი), ბაყაყი.

ბუზ-ჰემლები:

ფუტკარი, ბზიკი, ბუზი, კერლანა, ბუზა-ყრუა, ბუ-
ზარია, ჭრიჭინა, კალია, ციცინათელა, ფუნა-გორა (ნებვის
ჭია), მესნეულა, ხატის-პეპელა, ობობა და სხვა.

მატლები: მუხლუხო, მჭრელი და სხვა.

მცენარეულობა

ხები:

ნიგოზი, წაბლი, რცხილა, თხმელა, ხურმა, ნეკერჩ-
ხალი, წიფელა, ურთხმელა, ცაცხვი, დათვისმსხალა, ვერ-

ხვა, თხივსელი, შინდა-ანწლი, ხრეკო, კაპარი. მსხლები: ხეჭაჭური, სასალო, ქვამსხალი, ორშომა; კვირისთავა. ვაშლი: ტყაპალი, წითელი ვაშლი, თეთრი ვაშლი (საზამთრო), კიტრა-ვაშლი და სხვა. ატამი: საპობი (სახეთქი), სათალი. ბია, ლეგვი: (ჩიტა-ლეგვი, ბერძული), ბელია, ტყემალი, ალუჩა, ალუჩა-ტყემალი, ქლიავი: გვირილა, წყალ-ქლიავი, კორკიმელი (ჭანჭური), ბალი, ალუბალი, სხმარტლი და სხვა.

ჩრდილები:

ასკილი, იელი, შქერი, კაპარი (ჯონჯოლი), სირვაშლი, ბაძგარა, ნარ-ეკალა, ჯახვედა, წითელი კუნელა და სხვა.

ბალახები:

მრავალ-ძარღვა (ჭრილობის წამალია), წალიკა, თოვა: ძურწა, წყერფეხა, ბურჩხა. ირაგა (რწყილის წამალია), ქინჯილოჯა, კრავის-კუდა, ნიგვზის-ძირა, ტუხტი, ოსარო (მოტეხილის წამალია), ძმერხლი.

მაფიანი ბალახები:

ფშალი, ხვართქლი, კილამურა (ხველების წამალია), ლეშუტა (ბლეჩის წამალია), გვიმბრა, ანწლი, გვიმრაჭა, ფერა-ფერა, ლენცოფა, ბუძურა, დიყა, ძირ-მწარე, კახა და სხვა.

ბოსტნეულობა:

ჭლაკვი, ტარხუნა, პრასა, ნიორი, ქონდარი, ზაფ-
რანა, ჯაშვილამი, ცერეცო, კამა, ნიახური, ოხრახუში,
ქინძი და სხვა.

მხალეულობა:

წითელი-მხალი, კანაფა-მხალი, მიწა-მხალი, ჩიტის-
თავა, წვადინელა, ეკალა, ქალშავა, ქალაკოდა, თიკნის-
კუდა, ქათმისქონა, ქათანაცერა, ჭინჭარი, ჯიჯლაყა, მო-
ლოქა, ხარის-კბილა, მეჭეხი, სვინტრი, ძროხის ენა და სხვა.

გვაგილება:

ასკილი, ბაია, კოჩეტა, ია და სხვა.

სოქოლები.

ჯღავანა, ზურგ-მაგარა, არყა, ჩოხა-შავა, სოკო-შავა
(ზამთარშია), ჭეჭეტა (ჭადუა), ტრედუა, ლვინუა, სოკო-
წითელი (ნიკვი), ხახვილა, მიქელა, ქამა, წერესო და სხვ.
მანჭევალა, ბერლის სოკო (სოკოლია).

დარუბანდის გარების ჩამოხსნა და გელათში მოტანა
დაგით აღმაშენებელისაგან

(ლეგენდა)

ერთ ქართველ ვაჭარს საქონელი წაელო დარუბანდ-
ში გასაყიდათ. გზაში თურმე ლეკები დაეცენ და თუ რა-

მე ებადა, ყველაფერი წაართვეს. ვაჭარი მიიქცა ლეკის უფროსისადნი თხოვნით: შენს საპრანებელში მოვედი, საქონელი მოვრტანე გასაყიდათ და შენმა ხალხმა სულ წამართვა; სამართალს ვითხოვ: წართმეული დამიბრუნეთო.

— შენ სადაური ხარ? — ჰეითხა ლეკის უფროსმა.

— მე ქართველი ვარ.

— ჴო, აბა, მიდი საქართველოში და შენს მეფეს, დავითს, ფეხ-ქეშ ჩაუგორდი და სამართალი იმას თხოვე, — უთხრა ლეკმა.

— სამართალს მე შენა გთხოვ, თვარა დავითს რომ ეს ვუთხრა, საქმე ცუდათ წავა.

— ჴმ!.. ცუდათ წავა!.. რას მიზამს დავითი? დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნას!..

ვაჭარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე უამბო დავითს; ისიც დასძინა, ლეკმა რომ თქვა „დავითმა დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნას“. დავითმა ვაჭარს უბრანა: „რადგან შენ ლეკებმა საქონელი წაგართვეს და მათმა უფროსმა შენი თხოვნა არ შეიწყნარა, ამისთვის მე იმ დაკარგულ საქონელს საქონელითვე უკან დავიბრუნებო“. ეს თქვა და მიაყვანია ათასი ცხენი, ათასივე მათი წინამდლოლი, გააკეთებია რომ ათასი კიდობანი და თითოში ჩასვა თითო შეიარაღებული ქართველი; ცხენების წინამდლოლები გამოაწყო ვაჭრულათ; ყველა ამაებს წინ გაუმძლვარა მომჩინანი ვაჭარი და გაისტუმრა დარუბანდში, თითონ-კი უკან წაჰყვა. როცა დარუბანდს მიუახლოვდენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკის უფროსთან, საქონელი მომაქვს გასაყიდათ და ქალაქის კარები გააღეო. ლეკებს გაეხარდათ: უფრო მეტ საქონელს ვიშვავითო და გააღეს კარები. დაღამდა. შუალამისას დავითმა გაახსნე-

ვინა კიდობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა სამი ათასი გულოვანი მეომარი. ამათ აიღეს დარუბანდი, წართვეს ქალაქის კლიტები ლეკთა მთავარს და ნადავლით დაბრუნდენ შინ. დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარები, რომელიც დარუბანდში შესავალ გზას იცავდა, შეუსა შიგ ლეკები და ისე ჩამოიტანა გელათში. ერთი ამ კართაგანი დღესაც მოწმობს დავითის სიდიადეს.

ლეკების მთავარს მეფე ლმობიერათ მოეპყრო, დანაშაული აპატივა, დაჭერილი ჰყავდა და გაუშვა. მაშინ გათავისუფლებულმა უთხრა მეფეს: „რადგან ამდენი სიკეთე მიყავ, ეს მადლიც ზედ დასძინე: ერთი ხარის ტყავის სიფართე აღგილი მიბოძე დასასახლებლათო“. დავითმა უბოძა. ლეკთა მთავარმა მოატანია ხარის ტყავი, დაჭრა იგი წვრილ-წვრილ თასმებათ, გადააბა ერთი მეორეზე და ამ სახით თასმა იმ სიგრძე შეიქნა, რომ მთელ დარუბანდს გარშემოუარა, დავითმა ვერაფერი ველარ თქვა და დარუბანდი ისევ ლეკებს დარჩათ.

მოხუცი და სომეხი

(ხალხური)

ერთ სოფელში ცხოვრობდა მოხუცებული ცოლებარი. მათ ერთი ლომის ყანა ჰქონდათ; შიგ წეროებმა დაიწყეს სიარული და ლომის ჭამა. ერთხელ დაუდარაჯდა ბერი-კაცი, დაიჭირა ერთი წერო და წაიყვანა შინ. გზაში წერომ უთხრა: «გამიშვი და ბედს გწევ: ყველა წეროებს დაგაჭერინებო». მოხუცებულმა დაუჯერა და გაუშვა. წერომ მადლი უთხრა; დაუბარა, ამა და ამ დროს

მოვალ, წეროებს მოვიყვან და შენი სახლის კარები ლია დამიხვდესო. დანიშნულ დროს მართლაც მოფრინდენ წეროები, წინ მოუძღვნდათ ნაცნობი წერო, რომელმაც ისინი მოხუცის სახლში შეიყვანა. მოხუცი კარებთან იყო მიმალული; უცბათ კარები მიუგდო და წეროები სახლში დაამწყვდია, ნაცნობი წერო-კი გაუშვა. მოხუცებულებმა წეროები დაკლეს, გაფრქვნეს და შესაწვავათ გაამზადეს. იმ ღამეს ამათ ერთი სომხი ვაჭარი ესტუმრათ. ვახშმათ მოიტანეს ოთხი შემწვარი წერო: ორი ცოლქმარს მოუნდებოდა, ერთი ვაჭარს მიართვეს და ერთიც — თავის ბებერ კატას. ვაჭარი გაკვირდა: ერთი მოსარიდებელი სულიერია ასეთი, რომ მაგასაც მთელი წერო შეიძლება. „მოსარიდებელია და არა!.. — მიუგო მოხუცმა: ეგ წეროები ყველა მაგ კატის დაჭრილია! — მაგას დავაკრავ ფიცარზე, შევდებ მაღალ ხეზე და რაერთიც ფრინველი გაიჭროლებს ჰაერში, სუსველას დაიჭერს და ძირს ჩამოჰყრისო“.

გაუკვირდა სომებს! „მომყიდე ეგ კატაო“, — უთხრა მოხუცს“. — „მაგის ფასი დიდია, ვერ შეიძლებ ყიდვას, თავი გაანებეო,“ — უთხრა მოხუცმა.

— მანწკ?

— ათასი მანეთია უკანასკნელი ფასი!

სომებმა ამოიღო ათასი მანეთი და მისკა მოხუცს; კატა წაიყვანა, დააკრა ფიცარზე გულ-ალმა, როგორც მოხუცმა ასწავლა, შედვა მაღლა ხეზე და ერთ ღამეს ამყოფა ზედ. მეორე დღეს, დილით, სომხი აჩქარებული მიერდა ხის ძირში, თან ტომრები წამოელო ფრინველების ჩასაყარათ, მაგრამ იქ ვერაფერი ნახა, გარდა კბილებ-დაკრეჭილი კატისა! გაჯავრდა ვაჭარი: ერთი ხრიუ და ბებერმაო, და გასწია მოხუცისას. უკანასკნელმა

ადრევე იცოდა, რაც მოხდებოდა. ამისთვის აიღო ხარის
გარეცხილი წელი, გაავსო ქათმის სისხლით და შემოახვია
ცოლს კისერზე ისე, რომ არც-კი ეტყობოდა. როცა ვა-
ჭარმა ფულების თხოვა დაუწყო მოხუცს, უკანასკნელმა
ამოილო დანა, გაუქნია ცოლს კისერში, ქალი იქვე დაე-
ცა და სისხლი ლვარათ წასკდა. „ამის ბრალი იყო იმ
კატის გაყიდვაო“, — იძაბოდა მოხუცი. სომეხი შეშინდა,
გაქცევა დაპირა, ხათაბალი არაფერი გადამეკიდოსო. მო-
ხუცმა შეაჩერა: რას მირბიხარ? რამ შეგაშინა? ამ ქალს,
თუ გინდა, ახლავე გავაცოცხლებო, იმ ჩემი შავ-ტარია-
ნი დანა აქა არა მაქვსო? ეს თქვა და იილო დანა, უჩურ-
ჩული რალაცა და ქალი ფეხზე წამოდგა! გაუკვირდა სო-
მეხს: რას ხედავს ჩემი თვალებიო! მომყიდე ეგ დანაო,
შეეხვეწა სომეხი მოხუცს. მორიგდენ კიდევ ათას მანეთათ.
გახარებული სომეხი წაეცდა შინ. იქ ქორწილი ჰქონდა:
ქალიშვილი გაათხოვა. სომეხი გადმოევლო თავზე სუფ-
რას და ცეკვა დაიწყო. ხელში დანა დაიკავა. პატარა ხანს
იქით ცოლიც გამოითხოვა საცეკვრათ და ისიც გამოჰყეა.
გამხიარულებულმა სომეხმა მოინდომა სასწაულის ქმნა და
გაუყარა ცოლს დანა კისერში. ქალი იქვე დაეცა. შეიქნა
ერთი წივილ-კივილი და ყველანი მომაკვდავს მიესიენ!...
სომეხი-კი არხეინათ ცეკვავდა! მაგას ახლავე ალვადგენო,
თქვა ვაჭარმა, აილო ნაყიდი დანა, დაუწყო ჩურჩული და,
როდესაც გაათავა, ქალმა სული დალია! იყვირა სომეხმა,
ითავცემა და გაჯავრებული წავიდა მოხუცთან. ბებერმა
უთხრა: „ჩემი ქმარი სამი დღეა, რაც მოკვდა, ქილახორ-
ში გდია, გამსეენებელიც არავინ არისო“. — მაშ, მე გა-
ვასვენებ მაგასო, უთხრა სომეხმა, მოიკიდა ზურგზე ქილა-
ხორი და წაილო ზღვისკენ. გზაში ჩამოისვენა, ტყისკენ
გადაუხვია. მაშინ მოხუცი ამოძრა ქილახორიდან და

იქვე ცხვრის მწყესს უთხრა: „მე მეფეთ მივყავარ იმ კაცს შორეულ ქვეყანაში, მაგრამ, რადგანაც მოხუცებული ვარ და მეფობა აღარ შემიძლია, ამისთვის იმ ჩემ ადგილს შენ გაძლევ, წადი ჩაწევი ქილახორშიო. მწყესს გაეხარდა და ჩაწვა ქილახორში. სომებს არაფერი შეუტყვია, მოიკიდა ზურგზე ქილახორი, მიიტანა ზღვასთან და გადაუშვა შიგ. დაბრუნდა, მოდის და რას ხედავს! წყალში გადაგდებული, დამრჩვალი მოხუცი აკი ცხვრის ფარას მიერეკება აგერ!! — „შენ აქ რა გინდა, ზღვაში არ გადაგაგდეო?“ შეჰყვირა, სომებმა. — მართალია, ბაგრამ ხომ გაიგონე, ზღვაში როგორ ვბუყბუჯებდი; მაშინ ცხვარს ვერეკებოდი ზღვიდან, გამოვრჩეკე და აი, აგერ მომყავს. სომებმა იფიქრა, ალბათ ბევრი იქნება კიდევ ზღვაში ცხვარი, მოხუცი ყველას ვერ გამორეკავდაო, დაბრუნდა უკან, იშვირა ფეხები, გადავარდა ზღვაში და ჩაირჩი შიგ.

ხალხური ლექსები

შესხმითი.

ნეტავ რა არის მისთანა, ამომავალი მზისთანა?
გალმა-გამოლმა ქალაქი, შუაზე მაიღნისთანა?
წყალში რომ ფეხი უდგია — იმ „ოქროს ჩარდაყისთანა“.
კაცის ხელითა ნაშენი — საყდარი გელათისთანა,
დედის ძუძუთი ნაზარდი — მარიამ დედოფლისთანა?..

ბერივაცის გოდება

ბერივაცი ვიყავი, ლაშქარს გამაწვიესო;
ხიდზე რომ ვერ გავედი, ფეხით გამათრიესო;
ჩემი კაკუჭელა ჯოხი თავზე დამამტვრიესო,
გარეთ ველარ გამოვჩნდი, სახლში დამამწყვდიესო!..

ჩონგურზე დასამღერებელი

ჩონგურო ჩემო, ხისაო!
 პაბუა ჩემის მოჭრილო,
 ბებია ჩემის ხნისაო,
 თავათ ტანი გაქვს ბუოლისა,
 ტარი გაგია მსხლისაო;
 წაგილებ დარბაისლებთან,
 გაგვაწევინებ ლხინსაო.

წუხელი რწყილმა მიკბინა შუა-ლამისა ხანაო,
 ავდექ, სანთელი ავანთე, გაულექ რწყილის კვალსაო,
 მივეწიე და დავკარი შუა ბეჭისა ფრთასაო;
 სისხლი ამდენი ვაღინე, — ფეხში მტაცებდა ქვასაო.
 აუმართე მისი ბარკალი, ზე აწვდა მაღლა ცასაო,
 ქართლი-კახეთი მოუნდა მის გასასხიპავ ტყავსაო!

სატრაფიალო დექსები

ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ,
 სული ხარ ამომავალი!..
 ოდეს გამოვა იგი დღე,
 პირსა გაკოცო მრავალი?

მაღლიდან გაღმოვიხედე,
 ზაგხედე მწოლიარესა,
 ფერი მიგიგავს ლალ ლვინოს,
 კიქაში მდგომიარესა.

ავი ქალი

ავი ქალი და კაბასი
მოაკრაჭუნებს კბილებსა,
ქმარს მოსაკლავათ არ ზოგავს,
ამოსაწყვეტათ შვილებსა!

ბურმაგი

სტუმარი მიყვარს ასეთი,
კბილი არ ჰქონდეს არც ერთი.

სუფრული

წავიდეთ, ბიჭო, წავიდეთ,
მინდვრის ყანები ვნახოთო,
პური და ლვინო წავიდოთ,
დავსხდეთ და ლხინი ვნახოთო.

მასპინძელ კარგათ მასპინძლობს
გულითა მხიარულითა,
ახალი ჩექმა დაგლიჯა
მარანში სიარულითა.

ანდაზები

ვირს რქა ან ამოუვიდა და თავის თავი ყმაწვილი
ეგონა.

2

ნაგავზე ამოსული სოკო დიდი გაიზრდება, მაგრამ
მალე წაიქცევა.

3

ღმერთი მექუდეა: ამ ქუდს დღეს მე დამახურავს,
ხვალ შენ, ჩეგ სხვას.

4

უძუუო თავმა ფეხებს ზარალი მისცა.

5

ფარა (ცხვრის ჯოგი) მობრუნდა, კოჭლი ცხვარი
წინ დადგა!

6

ორი ქოთანი მივადგი: ყურიანი და უყურო,
გაზაფხულს ერთად გავედით პურიანი და უპურო.

ნაგები

ზამთარი იყო, ქართლელი გზაში მიღიოდა. უცბათ
ძალლი გამოვარდა და ყეფა დაუწყო. მგზავრი ქვის ასა-
ლებად დაიხარა, მაგრამ ვერ აიღო, რადგანაც ქვა მიწა-
ზე მიყინულიყო. მაშინ ქართველმა თქვა: „შე დალოც-
ვილო ღმერთო! ეგ რასა ნიშნავს, რომ ძალლი აგიშვია
და ქვა-კი დაგიბამსო?!”

შეღოცვები

სისხლის დოცვა:

ძმამ ძმა მოკლა, დამ და მოკლა, კაენმა აბელი;
სისხლო დადეჭი, კმარა ამდენი!

შაგიგის (თავის ტკივილი) დოცვა

შაკიკი შემოჩევეულა სათიბისა ბოლოსაო;
ისე ჭამდა ქვიშასაო, როგორც ხარი თივასაო,
გაუწყრა წმ. გიორგი, გაიპარა დილასაო.

ჭვალის დოცვა

დიდი, დიდი, დიდებული, ზედ საყდარი შენებული,
წიწილოვან მთასა პავლე იჯდა ქვასა.

პეტრემ უთხრა პავლესა; „რათ არა ჭამ პურსაო?“
მით არა ვჭამ პურსა, ჭვალი მასევია გულსა.

რა არის მისი წამალი? უხელოთ დაჭერილი ქორი,
უჟეხოთ ჩამოყვანილი, უდანოთ დაკლული,
უცეცცხლოთ შემწვარი, უკბილოთ შეჭმული.

წავალ ჭალასა, მოვთხრი თავისით ამოსულ კანაფსა,
გადავყრი ზღვასა, არ გაეუშვებ გზასა!
ღმერთო, არგე ლოცვა ჩემი, ბრძანება შენი!

მუშაბადი ლექსიგი.

(შეკრებილი სოსიკო მერკევილაძისაგან)

1

ორშაბათობით გაშენდა
ციხე-ქალაქი ქვაზედა;
აღამიანის ცხოვრება
ვერავინ იდვა თავზედა;
აღგა ხარმა მოახსენა:
— „მე დამაწერეთ ქედზედა“.
წყვილი სანთელი აინთო,
მიეკრა თრთავ რქაზედა;
ვინც კვირა-უქმით შეაბას
რისხვა მიადგეს კარზედა.

2

ხარო, ხარი ვინ დაგარქვა?
ხარო, სახე-შვენიერო,
ჩვენ ნუგეშათ გაჩენილო,
ქედ ნაკურთხო, ლონიერო!

3

უდელი ხარი ვიყიდე,
ყანა ავიზიარეო;
მოვხანი, პური მოვიდა,
კევრი ზავაპზიალეო.

3

4

შენ, ჩემო შავო კამბექო,
 რა დავაშავე შენზედა?
 ზაფხულს გითიბე ბალახი,
 ზამთარს დაგაბი ბზეზედა.

5

შენ, ჩემო გუთნის დედაო,
 ხარი გიბია მტრედაო;
 მეხრეებს გამოართმევდი;
 შეუხტებოდი ზედაო,
 სიმღერა კარგი გცოდნია,
 დასძახდი ზედი-ზედაო.

6

მთას ირემი გასუქდება,
 ძირს ჩამოვა ლიჭობასა,
 ბევრი მეხრე გავაცრუე
 ჩემ პატარა ბიჭობასა.

7

შენ-კი გენაცვალე, ლმერთო,
 ჩვენი გამოსახვისთვისო,
 ახლო-ახლო დაგვასახლე,
 ერთმანეთის ნახვისთვისო!

8

ზოგიერთმა კაცმა იცის,
გაძლება და გაგორდება,
რაგინდ საქმე უხდებოდეს,
საქმე აღარ აგონდება!

9

ქალაქიდან რო გიახელ,
გაღმოვიარე მცხეთაო,
მოყვრისეული კამბეჩი
ყინულზე დამეჩხაო.

10

ბატონო, შენი სასახლე
ჰგავდა ქალაქის ქუჩასა;
განა არ მოგეხსენება,
პატივი უნდა მუშასა?

11

ვხნათ და ვთესოთ, ლხინიც ვნახოთ
ზედ ლავლიოთ კამურიო;
თუ ბატონმა შეგვაწუხოს,
გამოვიხსნათ მამულიო.

12

ულელი ხარის პატირონსა
ენა უნდა ქონდეს მოკლე;

კამბექების პატრონს უთხრეს:
საყევარი დაუმოკლე.

13

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა!
შენა ხარ პურის მომყვანი,
დამძველებელი ქერისა.

14

ურემო, ფესვო-მაღალო,
ხუნდი გიყრია გიშრისო;
ხარები კარგი გიბია,
მაგრამ ტალახი გიშლისო.

15

ამილახვრიანთ ყმობითა,
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,
ვერცა ვხან, ვერცა მოვთესე
ვერც კალო ვლეწე მოზვრითა.

16

უფალმა ღმერთმა შენ მოგცეს
ოჯახი საძირკვლიანი,
ხარი, კამბექი გუთნებით,
ურემი სავსე ძნიანი;

იმყოფებოდე ხალხ მრავლათ
მამიან-რძლიან-ძმიანი,
ლამაზი შემოგეყვანს,
შვენიერი და ჭკვიანი.

17

გუთნის დედას რა აცხონებს,
რა შეიყვანს საყდარშია?
კაი ღარში თვითონ იხნავს,
მოდგმურს უხნავს აედარშია!

18

შე დალოცვილო, გუთანო,
შენი მიყოლა ძნელია;
დლისითა ხარი გირეკო,
ღამე გიტეხო ბნელია!..

19

ასე ჰერია დუშმანსა,
არცა ხვნენ არცა სთესენო,
არცა უბიათ ხარები,
არცა კალოსა ლეწენო!

20

კაშბეჩი წევს და იცოხნის,
თავის ამინდი ჰერია,

ლაფში დაფლული ურემი,
შინ მიტანილი ჰგონია!

21

ჩავვარდი საგონებელსა,
ვითა კამბეჩი მორევსა,
ვიწევ და ვერ ამოველი,
დახე ამ ჩემსა ღონესა!

22

სახნის საკვეთი ჯამბარა
ჯაბიაშვილმა დაგვპარა,
ი ოჯახ ამოსაწყვეტმა
უხნავ უთესი დაგვყარა!

23

აკი გითხარი ძითო—
თქვენში ეგეთი ზნეაო,
წახვალ და მიუჩიდები,
სადაც კოჭობში რძეაო.

მესტვირული საჯიბრო

1

ლექსები ვიცი იმდენი,
დილმის მინდორზე გძელია,

თუ გინდა, შინაც გაგატან,
მოგაწყვეტინო წელია.

2

კავლელაშვილი ელია
შაირის გამომთქმელია,
ჩაჰავაკანებს,
როგორც მწირველი მღვდელია!

3

შაირის თქმითა ცერ დამლობ,
ახლოს ნუ მომეკარები,
წადი, სხვისაგან ისესხე,
ადე, მოძებნე კარები!

4

შაირებისა გამოთქმა
შენთვის რა გასაჭირია?
გული და თავი სავსე გაქვს,
გამოგიქნია პირია.

5

ქალაქს ვიყიდე ბარები,
მცხეთას დავაგე ტარები
თუ შაირები არ იცი,
რატომ არ მოშებარები?

ეს რუისი რუისია, *)
 ამას იქით რუებია,
 შენისთანა მოშაირე
 ბევრი გამიბრუებია.

ჩამოვიარე დირბია,
 სოფელი ვნახე დიდია;
 ქვრივ-ოხრის მისაშველებლათ
 არა სცოდნიათ რიდია.

ეშმაკათა და ქაჯათა
 ჩამოვიარე გომზედა;
 რძალ დედამთილი ჩხუბობდა
 ახლათ შედღვებილ დოზედა.
 რძალმა აჯობა დედამთილს,
 თავი უხალა ქვაზედა,
 ქმარს მიუტანა ამბავი,
 გააგდებინა კარზედა.

ქალაქიდან წამოვედი
 შაქრის პურები მომაქო,

*) რუისი სოფელია ქართლში.

სამი ტომარა შაირი
 პირ წახლართული მომაქო,
 თუ ისიც გამომელევა,
 სამი ტომარა სხვა მაქო.

10

სამი სიტყვა გუშინ გითხარ,
 სამი დღესა — გახდა ექვსი;
 შენთან ვერა გავყიდე რა
 ვერც შაირი, ვერცა ლექსი!

11

აღიდებულა ტანაო, *)
 თან მღვრიემ მოატანაო,
 ამიტივტივა, წამილო,
 შუა მტკვარს შემიტანაო;
 იქ სამი მჭადი დავკარგე,
 ზარალი იმისთანაო...
 მცურავთან კაცი გავგზავნე,
 მცურავი დავიბარეო,
 სანამ მცურავი მოვიდა;
 მჭადი შიგ ჩაიშალაო,
 ნეტავ იმ სამი მჭადისა
 ამბავი მამიტანაო,
 მე მაშინვე მუხლს მომკვეთა,
 ყელს დანა გამიყარაო.

*) მდინარეა ქართლში.

12

ეს ოხერი და ტიელი
 რა დროს მოვიდა მარხვაო?..
 ამ დენმა ხახვის ჭამამა,
 ყელები ამოგვხახაო... .

13

თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო,
 თქვენ მომარჩინეთ ამასო,
 მუცელი ვერ გამოვიძლე
 ამ სატიალო ქალაქესო!..

14

ჩამოვიარე წილკანსა, კულტურა
 თხა მოეწოვა თიკანსა, კულტურა
 ქმარი ქალაქს წასულიყო,
 ცოლი ერდოზე ტლინკავსა!

15

რა ვუთხრა ციციანთ სუფრას?
 თარხანიანთ გალობასა?
 რა გინდ სიმართლით მოექცე,
 ნუ მოელი წყალობასა!..

16

ალალის შიშით ვერ წავა
 ნიბლია ჯვარობასაო;

და თუ რომ გაიპარება,
ვერ იტყვის გალობასაო.

17

მოძმე და მანდილოსანნია,
არიგება-ჩარიგება,
ერთმანეთის საკეთილოთ
აგისრულოთ გულის ნება;
გაცოცხლოთ, ღმერთმა გაცოცხლოთ,
სანამ იყოს თქვენი ნება!

18

ძირულა მოდიდებული,
ყვირილას შიაქ ხიდიო,
ვისაც წამალი გინდოდეს,
თურმანიდესთან მიდიო.

19

არაოდეს არ ცხონდება
უშვილო და პურა-ძვირი,
თუ რომ პურ-შავი ცხონდება,
სამოთხეში. შევა ვირი.

20

რას ღირსა. შავი მელანი
თეთრი ქალალდის წერასა?
კაცი ვერსად ვერ წაუვა
თავის ბედსა და წერასა.

21

ჩემო მტერო, ჩემო მკვლელო,
 ჩემო კარის წეზობელო!
 შენ რომ ცეცხლი მამიკიდე,
 ნეტა როდის მოვინელო?

22

ერთ სიტყვას ისეთს გასწავლი,
 დასამარხავათ კმარიყოს:
 არ მოეხმარო ქვეყნის მტერს,
 თუ საღმე წყალმა წაიღოს!..
 ვინ იცის, ბედი გარისხდეს,
 ნაპირში საღმე გარიყოს,
 ღმერთს არ შესუოდო, არ იხსნა,
 ხელი ჰკარ, მანვე წაიღოს!..

23

რაჭილან გამოვიპარე,
 გაღმოვჰყევ ქარის ქროლასო;
 მწარე ამიდი დაგვიდგა,
 ვერ მოვეფარეთ გორასო.
 მოუხდათ მოძბებს ჩხუნკალი,
 ერთი მეორეს ჭორავსო
 და ღმერთმა ნურავინ შეგასწროთ
 შეგობრებ შუა ბრძოლასო!

24

ბიჭნო, ყველასგან დევნილნო!
ძმა-ძმას რად უწევთ მტრობასო?
ისა ჯობს მხარი-მხარს მივცევ,
უფრო შეშვენის ძმობასო!

25

ჭინჭველს ღმერთი გაუწყრება,
ფთები მხრებში გამოუვა,
ზეცას ასვლას მოინდომებს,
გზაში სული აშოუა.

26

გადავიარე ავჭალა,
პური არავინ მაჭამა,
იმათი თხა და თიკანი
მშიერმა მგლებმა დაჭამა!

27

მე რო დათვმა საქმე მიყო?
თავი ძალათ შემომაკლა!..
აღმართში თოფი ვესროლე,
თავდაღმართში გადიბარკლა,
მე რომ დანა არა მქონდა,
ჩემმა ამხანავმა დაკლა,
უხეირო ხორცი ჰქონდა,
იმას ჯობდა ცერცვი-ბაკლა.

28

ზოგიერთსა დედაკაცსა
 სულ მუდამ ჯობს ნეზეი ლორი:
 სახლი ვერ გამოუგვია,
 მურტალია ოჯახქორი,
 ისე გდია ნაცარშია,
 როგორც მენახშირის ჯორი!..

29

დიდმა ლიახვმა პატარას,
 შერთულს, გადახვია ხელი:
 „გორამდინ ერთათ ვიაროთ,
 შენ ძმობილი იყავ ჩემი,
 შენ შამფური წამოიღე,
 მე სამწვადე მომაქს ბევრი:
 სამი ქართველი დავახჩვე,
 ახლა სომხებს მივჰყავ ხელი.

30

ამ ტიალ წუთი სოფელში
 ბევრი ამბები ყოფილა,—
 ყველას ჰქონდა თითო რამ სევდა,
 ვინც კი ამ ქვეყნათ შობილა!

31

ამილახვრიანთ ბიჭებსა.
 შორს შეეტყობათ ქუდზედა

მხარზე უწყვიათ ჯოხები,
თვალი უჭირავთ ჩხუბზედა!

32

ბერი კაცი თვრესო,
ვაშკაცს ერთი ხვდესო,
ყმაწვილს სუნი მიედინოს,
ღმერთს თაყვანი სცესო.

33

უკუდო ხარი კუდისთვის
საძებრათ იარებოდა,
მებალემ ყური მოჰკვეთა,
არამც თუ კუდი რგებოდა! ..

34

შენ სატიალო, სიკვდილო,
როდის მოგეცი პირობა?
ცხენ ფრენით ჩამომირბინე,
სულ დამიკარგე ზდილობა! ..
შენზე ქრთამი ვერ გავყიდე,
ვერც დიდი კაცის შვილობა! ..

35

წავიდა, ალარ მოვიდა
ის მეწიწილე ძერაო,

ერთი ისეთი წაილო,
თავისი გულის ჯერაო.

36

დედა, ობლების დამყრელი,
კაცის მკვლელს ედარებოდა,
უბეში უჯდა ჩველები,
ძუძუებს ეტანებოდა.

37

ვაი, დედიჩემის ღმერთსა,
ხმა აგვირია ხველამა,
ერთმანეთი შეგვაძულა
სხვა-და-სხვა მტრების ენამა,
ერთი წიწილა გაგვაჩნდა,
ისიც მოგვტაცა ძერამა!

38

კაცი თუ ვარგა, ჯილაგი
ნეტა რა საძებარია?
თუ თვით არ ვარგა,—სუპველა
ფუჭი და საცინარია.

გაცხადებანი

ტელევიზონი № 444

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობა.

„ყუამავალი“

ამით აცხადებს საყოველ-თავოლ, რომ მან გა-
მართა საბაკალეო და გასტრონომიული მაღაზიები,
საღაც მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ პირიანათ
სხვა და სხვა სანოვაგე, სანელი და ხილეული; ჩაი,
შაქარი, კაკაო და შეკოლადი; ღვინო, არაყი, და
სხვა და სხვა სასმელები ადგილობრივი, რუსეთისა და
საჭლვარ-გარეთისა; პაპიროზი და თამბაქო სხვა და
სხვა ფირმებისა და ყოველ-გვარი საყოველდღეო
საჭირო საგნები.

1 ენკენისთვიდან გაიხსნა აქვე საყასბო, ევ-
რობიულად მოწყობილი, და გაიმართა მასთან სა-
ბაყლო და რძის ნაკეთობის განყოფილებები.

მაღაზიებში მკაცრად არის დაცული სისუფთა-
ვე და ზრდილობიანობა მუშტართან.

ამხანაგობა იღებს კოშისით და ყიდულობს ნაღდ
ფულად სოფლის მწარმოებელთაგან ყოველსაკე მათს ნა-
წარმოებს.

შემოსვლა ამხანაგათ შეუძლიათ ყველას გა-
ნურჩევლად წილებისა, სქესისა და სარწმუნოებისა.
სრული საწევრო წილი არის მხოლოდ ერთი თუმანი;
ამ წილის ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწი-
ლადაც. მსურველთ შეუძლიათ აიღონ რამდენიმე
წილი (რაოდენობა წილისა განუსაზღვრელია).

აღრმისი კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი
თ. პ. ი. მუხრან-ბატონისა, № 8/1

საბოლოიდება, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებისანი გაზეთი

„პ ვ პ ლ ი“

გამოვა 1898 წელს ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდან სამ
თაბაშაძე

„კვალის“ ხელმძღვანელობას და რედაქციის მარ
თვასტამგეობას I იანვრიდან 1898 წ. იკისრებს
ბ. ნოე შორდანია.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ,
ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნე-
ლათ 3 მან. 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გა-
უგზავნელათ 2 მანეთ. გაგზავნით 2 მან. 50 კ. თითო
ნომერი — სამ შაურათ. ხელის მომწერლებს წლის ფული
შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ამ წლის გასულს დაურიგდებათ პრემია „ჩვენი
ძეველი გმირები“ 1896 წლის იმ ხელის მომ-
წერლებს, რომელთაც წლის ფული სრულათ აქვთ
შემოტანილი.

„ივერია“

გამოვა 1898 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც ჭინად.

ფასი გაფეთისა:

12	თვით . . .	10 ბ. — კ.	6	თვით . . .	6 ბ. — კ.
11	" . . .	9 „ 50 „	5	" . . .	5 „ 50 „
10	" . . .	8 „ 75 „	4	" . . .	4 „ 75 „
9	" . . .	8 „ — „	3	" . . .	3 „ 50 „
8	" . . .	7 „ 25 „	2	" . . .	2 „ 75 „
7	" . . .	6 „ 50 „	1	" . . .	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ერიობა 17 მან. მთელის წლით.
სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობა 8 მან.

თუ თფილისში დაბარებული განეთი თფილის გარეშე აღრეს-
ზედ შესცვალა ვინმეტ, უნდა უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერ-
თი მანეთი; ხოლო თუ თფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერ-
თის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი
აბაზი.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო-ჯერ სტრიქონი — 8 კ., პირველზედ — 16 კაპ.

გაფეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

თ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგა-
დოების“ კანცელარ. სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

„ივერიის“ ფელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРИА“.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

„მომისა“

თემი უნი უუნი ალი

(წელიწადი მეოთხე)

გამოვა იმავა პროცესით

ფასი უუნიალისა გაგზავნით:

1 წლით	6 თვით	3 თვით
რესერვის და კავშირის ქაღაქებში.	10 მან.	6 მან.
საზღვარ გარედ	13 მან.	7 მან.
	5 მან.	

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან. 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება თვითლისში, უუნიალ „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმუოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იყისრებენ უუნიალ „მოამბეზე“ ხელის-მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილნაწილ შემოიტანენ, არაფერდ დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) უუნიალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის შიღების კვირისწარი გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც უუნიალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვირანციაზე.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის დოკუმენტი: *Tифлисъ, Periodique „Moambe“.*

რედაქციამ მოსახერხებლადა სუნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს უუნიალი დაუთმოს რეა მანეთად წელიწედში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში თასი მანეთი შემოიტანოს და თა-თა მანეთიც მარტში და აგვისტოში.

„ცნობის ფურცელი“

1898 წელს გამოვა უფრო პროფესის შინაარსით და
მრავალის ცნობებით საქართველოს ყველა კუთხიდან

„ცნობის ფურცელი ერთად-ერთი ყოველ-დღიური გაზე-
თა, რომელიც სიათვისა გამო ყველასათვის სელ-მისაწილებელია.

 წლიურ ხელის-მომწერთა საყურადღებოთ:

ვინც გაზეთს წლიურად დაიკვეთავს, იმას უსასყიდლოდ გაეგზავნება

კედლის კანკენდარი 1898 წლისათვის,
სურათებიანი და შეკრის ქალალ. დაბეჭ. სხვა-და-სხ. ფერადებით..

სამაგალითო და ძირიზასი ნობათი

„ცნობის ფურცელის“ რედაქტირ შეიძინა უფლება და დამდევს 1898
წელს გამოსცემს

ჩვენის ახალგაზრდა ნიჭიერას მწერალის

— შილ არაგვისპირელის

ს რ უ ლ ს თ ხ ზ უ ლ ე გ ა თ ა

ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიით და ბ-ნ ტასიაშვილის
კრიტიკულის განხილვით

წიგნში მოთავსებული იქნება ოცხე მეტი სხვა-და-სხვა
საუკეთესო მოთხრობები, დაწერილი 1898 წლამდე.

წიგნი იქნება მშენიერს ქალალზე დასტამბული, დიდის ზო-
მისა და 300 გვერდზე მეტი

გაზითის ფასი: წლიურათ ყველა ნობათებით 6 მან. ნახევარის
წლით 4 მან. ერთის ფასი 60 კ. ცალკე ნომერი 3 კაპ.

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც წლიურ ფასის სრულად
შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქტირ შეღავათს აძლევს:

ხელის მოწერის დროს 2 მ. წარმატებინონ და მერე ყოველ
თვე და თვე ფასის ფასის შეასრულებდნენ.

საქმაწვილო ნახატებიანი ქურნალი

„ჯ ა ჯ ი ლ ი“

ფ ე ლ ი ფ ა დ ი მ ა ც ხ ე რ ა

გამოვა 1898 წელს თვეში ერთხელ იმავე პრო-
გრამით, როგორათაც აქმდის.

1898 წლის ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ
ნახატებიანი წიგნი „ალბომი“ ცხოველთა ცხოვრებიდან.

ქურნალი „ჯ ა ჯ ი ლ ი“ თფილისში დატარებით
ღირს — 4 მან.. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის დასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელის-მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-
ვარი წლით.

ხელის-მოწერა მიიღება:

1) თვილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“

კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка №
102), და თვით „ჯ ა ჯ ი ლ ი“ რედაქციაში (Артиллер.
ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

2) ქუთაისში — 3. ბეჟანეიშვილთან.

3) ბორში — არ. კალანდაძესთან.

4) ჭიათურაში — ნიკო მთხმეზურთან.

5) სიღნაღში — ივან. ქიტიაშვილთან.

6) საჩხერეში ზარამან ჩხეიძესთან.

7) გლისავათოვოლში: ა. მიქაბერიძესთან.

8) თიონეთში — ივ. ჩიბალაიშვილთან.

9) მცში — დარია ივ. ქავთარაძისასთან.

10) ვოთში — ი. პოხრეიძესთან.

11) ხაშურში — გენ. მესხისთან.

ფოსტის აღრესი: Въ Тифлисѣ, въ редакцію гру-
зинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

სადღესასწაული შევნიერი საჩუქრებია.

„პომისავლეთის გაღაზია“

მმათა მეტკეილამეებისა

(ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლებში, სემინარიის პირდაპირ, № 4)

იყიდება კავკასიისა და იაკონის საუცხოვოთ დამზადებული ნაწარმოები— სადღესასწაულოთ მისართმევი შევნიერი საჩუქრები: ოქროთი მოვარაყებული ზუთები, ძვლისა, რქისა, ბრინჯაოსი და ვერცხლის ნივთები; ნაბდები ჩალისა და კაცისა, საბეჭურები (პელვარიცხები), ჩაგალახები, მათ-რახები, ჩამარ-ხანჯლები, ხმლები, როგორც დიდებისა, ისე ყმაწვილებისა, კახური ჟვენიერი ლეჩაშის არაშიები.

აბრეშუმეულობა ჩინეთისა და იაკონისა: დამზადებული ხალათები, ჯუბები, თავსაფრები, მრავალი ცხვირსახოცები, ფანჯა თეთრეულისა-თვის, ჩესუნჩა და სხვა.

მაღაზიას აქვს საგაგალითო საგვერდეალო, სახელოსნო, საღაც მზადდება ჩვენებური საუცხოვო, ტანისამოსი.

აქვე იყიდება: იმერული, მეგრული, ლიგორული, და ლეპური ზალები, თივთიცები და სხვა და სხვა.

ფასები ცველა საქონელზე გადაჭრილია. ვისაც სურს ზედ დადებილი ფასით საქონლის გამოწერა, წინ-და-წინ უნდა გამოგზავნოს საქონლის ლირებულობის ერთი მესამედი.